ერთი „კაკალი„ ქურთებისათვის A2

მაის-ივნისში ნათელაშვილი შევარდნაძისგან ქვეყნის გათავისუფლებას ითხოვს A2

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 23 მაისი, 2003 წელი. №139 (351)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### არასამთავრობოები არჩევნებისას მასმედიასაც შეამოწმებენ

გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციათა ნაწილმა პრესკლუბში გამართულ შეხვედრაზე, მასმედიის წარმომადგენლებს, არჩევნების გასაშუქებლად სარედაქციო პოლიტიკის შემუშავება შესთავაზა. კერძოდ, მასმედიის საშუალებებმა არჩევნების გაშუქებისათვის ინდივიდუალური ეთიკური კოდექსი უნდა შეიმუშაონ.

A2

## ეკონომიკა

### მორიგი რაუნდი ურჩი გადამხდელების წინააღმდეგ

საგადასახადო დეპარტამენტი ურჩი გადამხდელების მიმართ იძულებითი ღონისძიებების გატარებას კვლავ აგრძელებს. დღეისათვის დაყადაღებულია 174 საწარმო, რომელთა ქონებასაც, დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, აუქციონზე გაყიდვა ელის.

A4

## უცხოეთი

### მოსკოვმა, პარიზმა და ბერლინმა აშშ-ს დაუჭირეს მხარი

გაერო-ს უშიშროების საბჭომ ამერიკისა და მისი მოკავშირეების მიერ შემუშავებულ რეზოლუციას მხარი დაუჭირა და ერაყს დაწესებული სანქციები მოუხსნა.

A5

## საზოგადოება

### სტუდენტები ბრაზდებიან...

საქართველოს პრეზიდენტის მისამართით წერილების წერა სტუდენტებმაც დაიწყეს. პასუხი რომ ვერ მიიღეს, დახმარებისთვის ჟურნალისტებს მიმართეს.

A6

## სამართალი

### გაქცეული დამნაშავის ადგილი ბადრაგის თანამშრომლებმა დაიკავეს

სამსახურებრივ გულგრილობაში ბრალდებულ რობაქიძე-ვაშაკიძეს, გუშინ, კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ სამი თვით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

A7

## ეკონომიკა

დღეს, 23 მაისს **"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის"** ძირითადი საექსპორტო მილსადენის მშენებლობა საზეიმოდ დაიწყება ნავთობსადენის მარშრუტის თეთრიწყაროს რაიონის მონაკვეთზე.

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 26 |
| ქუთაისი | 28 |
| ბათუმი | 23 |
| სოხუმი | 26 |
| ფოთი | 26 |
| თელავი | 24 |
| ზუგდიდი | 28 |
| გორი | 23 |
| ახმეტა | 24 |
| ჭიათურა | 26 |
| გაგრა | 25 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1550 |
| ევრო | 2.4569 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4909 |
| რუბლი | 0.0698 |

# საქართველოს დელეგაციას სიმწრის ოფლი ადინეს

*22 მაისს საღამოს, ნატო-ს შტაბ-ბინაში დასრულდა 19+1-ის ფორმატით მიმდინარე შეხვედრა, რომელზეც საქართველოს დაგეგმარებისა და მიმოხილვის დოკუმენტი განიხილებოდა. შეხვედრიდან გამოსულმა საქართველოს დელეგაციის წევრებმა განაცხადეს, რომ ეს იყო ურთულესი გამოცდა, რომელიც სამ საათს გრძელდებოდა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებში შექმნილი ვითარების ანალიზს შეეხებოდა. თუმცა, საქართველოს დელეგაციის წევრები დარწმუნებული არიან, რომ მათი გამოსვლა დამაჯერებელი იყო და ქვეყანა პირველსავე გამოცდაზე ჩაჭრას გადაურჩა.*

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის" ბრიუსელიდან

ნატო-ს 19 ქვეყნის წარმომადგენლებმა საქართველოს დელეგაციის წევრებს იმაზე უფრო მეტი შეკითხვა დაუსვეს, ვიდრე ამას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, ბრიგადის გენერალი ვლადიმერ იმნაძე წარმოიდგენდა, რომელიც ბოლო მომენტამდე დარწმუნებული იყო, რომ მწვავე შეკითხვის ადრესატი ნატო-ს შტაბ-ბინაში ჩასული მისი ფინანსისტი კოლეგა იქნებოდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ერთადერთი ფიგურა, ვინც კრემლს კომფორტს უქმნის, შევარდნაძეა

მაია ჭალაგანიძე

*მესამე დღეა, თბილისში მიმდინარეობს კონფერენცია საქართველოს და რუსეთის ფედერაციას შორის ევროპული უშიშროების სფეროში თანამშრომლობის საკითხებზე. ორ ქვეყანას დიალოგისთვის გერმანიის ფრიდრიხ ნაუმანის ფონდმა მოუხმო. ინიციატორები აგრეთვე არიან მედია ასოციაცია "Kamera Lucida" და კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი...*
*კონფერენცია მედიისთვის დახურული იყო და იქნებ ეს რუსეთის დელეგაციის წევრების, საქართველოს მიმართ რადიკალურად განწყობილი დეპუტატების ზატულინისა და მიგრანიანის გამოც მოხდა...*
*ჩვენ ამ დელეგაციის ერთ-ერთ წევრს, ცნობილ ჟურნალისტს, ოპოზიციური ყოველკვირეულის "Московские Новости"-ს მთავარი რედაქტორის მოადგილეს მიხაილ შეველიოვს ვესაუბრეთ. იხუმრა - მაგარი რუსული დელეგაციაა - ორი ებრაელი, ერთი ქართველი და ერთიც სომეხია ჩამოსულიო...*

გაგრძელება B1 გვერდზე



ლევან ხერხეულიძის ფოტო

საქართველოს და რუსეთს საერთო პრობლემა აქვთ - ხელისუფლება.

# მიწისძვრა ალჟირში

ლევან ღირსიაშვილი

ასეულობით ადამიანი დაიღუპა და რამდენიმე ათასი დაშავდა ალჟირში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის შედეგად. მიწისძვრის სიძლიერემ რიხტერის შკალით 6,7 ბალს მიაღწია.

სამაშველო სამუშაოები ახლაც გრძელდება. ნანგრევებში უამრავი ადამიანია მოყოლილი. დაღუპულთა და დაჭრილთა რიცხვი სწრაფად მატულობს.

"შენობები დაინგრა. ქვეშ მთელი ოჯახებია მოყოლილი," – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა აჰმედ უიაჰიამ ტელევიზიით გამოსვლისას. მან სამედიცინო პერსონალს - საგანგებო რეჟიმში მუშაობისაკენ, მოსახლეობას კი სისხლის ჩაბარებისაკენ მოუწოდა.

მიწისძვრის ეპიცენტრი ქვეყნის დედაქალაქ ალჟირის აღმოსავლეთით მდებარეობდა, მჭიდროდ დასახლებულ სანაპირო ზოლში. რყევა იმდენად ძლიერი იყო, რომ იგი ესპანეთშიც იგრძნობოდა.

ჩვენს ხელთ არსებული ბოლო მონაცემებით, 536 ადამიანი დაიღუპა და 4800 დაშავდა. ადგილობრივი ექიმები აცხადებენ, რომ საავადმყოფოები დაჭრილებს ველარ იტევს.

გაგრძელება A5 გვერდზე



REUTERS

ალჟირის მიწისძვრამ არ დაინდო არც დიდი და არც პატარა.

## დაეწევა თუ არა ჩინეთი ამერიკას?

შოთა უტიაშვილი

ჩინეთი, მინიმუმ, ოცი წლით ჩამორჩება ამერიკას სამხედრო თვალსაზრისით, და ნაკლებად სავარაუდოა, რომ მან, კიდევ რამდენიმე ათეული წელი, საფრთხე შეუქმნას ამერიკის ინტერესებს მსოფლიოში, მათ შორის, აზიაშიც.

მოხსენება, რომელიც ამ დასკვნას შეიცავს, აშშ-ს ყველაზე ავტორიტეტულმა ანალიტიკურმა ცენტრმა, საგარეო ურთიერთობათა საბჭომ გამოაქვეყნა. მოხსენება ჩინეთის ეკონომიკურ და სამხედრო მოდერნიზაციას შეეხება.

ბოლო წლებში, ამერიკულ ანალიტიკურ წრეებში, განსაკუთრებით, კონსერვატიული შეხედულებების ექსპერტებში გავრცელებულია მოსაზრება, რომ სულ ახლო მომავალში, ჩინეთი, რომლის ეკონომიკაც ბოლო 13 წელია საოცარი ტემპებით იზრდება, აზიაში საკუთარი გავლენის გავრცელებასა და იქიდან ამერიკელების გამოდევნას შეძლებს. ამერიკელი ანალიტიკოსების განსაკუთრებულ შეშფოთებას ჩინეთის სწრაფად მზარდი სამხედრო ხარჯები იწვევს. მათი ნაწილი იმასაც ვარაუდობს, რომ ჩინეთი ამერიკისათვის "ახალ საბჭოთა კავშირად" იქცევა.

გაგრძელება A5 გვერდზე

## ქუთაისის ციხის "დამპყრობთა" სასამართლო

ბექა სისაური,
ქუთაისი

ქუთაისის საოლქო სასამართლომ ქუთაისის ციხიდან განხორციელებულ უპრეცედენტო გაქცევაში მონაწილე პირების - ბექა ნემსაძისა და დავით ზარნაძის სასამართლო პროცესი დაიწყო.

2001 წლის 18 იანვარს ოთხმა პატიმარმა - ბექა ნემსაძემ, დავით ზარნაძემ, ზვიად სახამბერიძემ და ილია მიქელთაძემ - ქუთაისის საპყრობილის ხელში ჩაგდება მოახერხეს. დაცვის წევრები ზეწრების საშუალებით შეკრეს, ხოლო ციხის რეჟიმის უფროსი (საპყრობილეს უფროსი ადგილზე არ იმყოფებოდა) მძევლად აიყვანეს. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, 2001 წლის 18 იანვარს, საღამოს 10 საათისთვის, ბექა ნემსაძემ მორიგეს სთხოვა შეხვედრაზე შეთანხმებულები ვართ და რეჟიმის უფროსთან - ლევან ლევიძესთან ამიყვანეო. საკნის კარის გაღებისთანავე ბექა ნემსაძემ, უკვე ნახსენებ სამ პატიმართან - მის ყოფილ თანასაკნელებთან ერთად, რკინის გალესილი "შტირის" მეშვეობით მორიგე მძევლად აიყვანა. რის შემდეგაც, პატიმრებმა მძევალთან ერთად საპყრობილის

გაგრძელება A7 გვერდზე

## კონფერენცია, რომლის ერთადერთი შედეგი კამათია

ლენა მიქაძე

*დეტალურად იმის თქმა, თუ რაზე იმსჯელეს გუშინ კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში შეკეტილმა საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებმა, არ შეიძლება. კონფერენციის მონაწილეები მასობრივი ინფორმაციის საშუალებების - "ზედმეტი ყურების" - გარეშე საუბრობდნენ და ამით ძალზე კმაყოფილნიც გახლდნენ.*

ჩვენი პოლიტოლოგ-ექსპერტების შეფასებით, მსგავს შეკრებებს, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების თვალსაზრისით, გარდამტეხი ცვლილების მოტანა არ შეუძლია. რამაზ საყვარელიძის აზრით, **"რუსეთის დელეგაციის წევრთა უმეტესობა, პრეზიდენტ პუტინის და მისი გარემოცვის პოზიციას იზიარებს. ამდენად, მათთვის საქართველოს პროდასავლური კურსი აშკარად მიუღებელია."** მართალია, კონფერენციის სახელწოდება "საქართველოსა და რუსეთს შორის ევროპული უშიშროების სფეროში თანამშრომლობის პერსპექტივებია", როგორც სხდომაზე დამსწრენი აღიარებდნენ, გუშინ საუბარი, ძირითადად, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს ეხებოდა და არა - ევროპული უშიშროების სფეროში თანამშრომლობის პერსპექტივებს. სტრატეგიული კვლევითი ცენტრის პრეზიდენტის ალექსანდრე რონდელის შეფასებით, **"რუსეთი თავისი იმპერიული ამბიციებით ისეთივედ დარჩა, როგორიც მე-18 საუკუნეში იყო."**

გაგრძელება A3 გვერდზე

## ცენტრალური საარჩევნო კომისია კვლავ ჩვეულ ფორმაშია

თამარ მჭედლიშვილი

*ცენტრალური საარჩევნო კომისია მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის სამზადისს შეუდგა. კომისიის გუშინდელი სხდომა ჩვეულ რეჟიმში წარიმართა - მისმა წევრებმა დღის წესრიგით დადგენილი საკითხები განიხილეს და ამის პარალელურად, არც პოლიტიკური განცხადებებისა და ხუმრობებისთვის დაინანეს საკუთარი (და ჟურნალისტების) დრო. ერთი სიტყვით, გუშინ ყველაფერი ძველებურად იყო და სხდომის მსვლელობისას არავის არაფერი უთქვამს იმ გაურკვეველ მომავალზე, რომელიც წესით ცესკო-ს წევრებს ემუქრებათ. არადა, პარლამენტართა აბსოლუტურ უმრავლესობას თუ ვენდობით, დღევანდელი ცენტრალური საარჩევნო კომისია, არც მეტი არც ნაკლები, საკუთარი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლის.*

თუკი პარლამენტმა საარჩევნო კოდექსის განხილვის დღეს აღებული ტემპი უცვლელი დატოვა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებს შეუძლიათ აბსოლუტურად მშვიდად იყვნენ – მათი ყოფნა-არყოფნის საკითხს არათუ მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე, არამედ 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ვერ განიხილავენ.

თანაც, კულუარული ინფორმაციის თანახმად, ცესკო-ში შესანიშნავად უწყიან, რომ მათ არაფერი ემუქრებათ და ამიტომაც, პარლამენტში მიმდინარე პოლიტიკურ თამაშებს საკმაოდ აუღელვებლად ადევნებენ თვალს. თუმცა, კომისიაში არც იმას გამორიცხავენ, რომ კოსმეტიკური ცვლილებები მაინც მოხდება, მაგრამ იგი კომისიის დღევანდელ შემადგენლობაზე დიდად ვერ იქონიებს გავლენას.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პოლიტიკა

B2 რევიუ B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 კვირის TV-პროგრამა B8 სხვადასხვა

## გორში "გაერთიანებული დემოკრატების" წევრი აცემეს

"გაერთიანებული დემოკრატების" პოლიტიკური მდივნის, გიორგი გაბაშვილის ინფორმაციით, გვიან ღამით, გორში გაიტაცეს "გაერთიანებული დემოკრატების" რეგიონული ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი არჩილ მინდიაშვილი. მინდიაშვილის მამა ამავე ორგანიზაციის წევრი და "გაერთიანებული დემოკრატების" გორის ბიუროს თავმჯდომარის, გოგი მჭედლიშვილის მეგობარია. არჩილ მინდიაშვილი ამბობს, მუცელზე დანით ამოჭრეს "კარა გოგი" და უგონო მდგომარეობაში ტყეში დატოვეს.

შევახსენებთ, რომ დაახლოებით, ორი კვირის წინ, გოგი მჭედლიშვილის სახლის ეზოში ხელყუმბარა შეაგდეს, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ არჩილ მინდიაშვილი გაიტაცეს, ტყეში ნაცემი და ნაწამები იპოვეს.

*"24 საათი"*

## „გადარჩენის გზა" - გაერთიანებული ოპოზიციის სამოქმედო პროგრამა

სოფიკო ოხანაშვილი

"ნაციონალურმა მოძრაობამ" გუშინ "ნარიმნებელ" ქარხანაში საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროგრამის - "გადარჩენის გზა" - პრეზენტაცია მოაწყო. პრეზენტაციას, მუშებთან ერთად, აშშ-სა და საფრანგეთის საელჩოების, ეკოლოგიების წარმომადგენლები, "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი ზურაბ ჟვანია და ამ პარტიის სხვა წევრებიც ესწრებოდნენ. პროგრამის ავტორი აშშ-ში მოღვაწე ქართველი ეკონომისტი გია მაისაშვილია.

"გადარჩენის გზა" სამი პუნქტისგან შედგება: საქართველოში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და უნარ-ჩვევების დანერგვა; ქვეყანაში უსაფრთხოების ბადის შექმნა და ზოგადი ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება. მაისაშვილის თქმით, საჭირო ეფექტის მისაღებად აუცილებელია ქვეყანაში მკვეთრი და გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა. ეს კი მხოლოდ ისეთ მთავრობას შეუძლია, რომელიც მოსახლეობის ნდობითაა აღჭურვილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოება რადიკალური რეფორმების გატარების უფლებას არ მისცემს ხელისუფლებას. მაისაშვილის მტკიცებით, ამ პროგრამის განხორციელებით საქართველო მსოფლიოს სრულყოფილი წევრი 40 წლის ნაცვლად უმოკლეს ვადაში - სამ წელიწადში გახდება.

პროგრამა "გადარჩენის გზის" ავტორის მტკიცებით, ნოვაციების დანერგვა, ცოდნა და ხალხის ნდობის მქონე ხელისუფლება - ეს ის აუცილებელი პირობაა, რომელიც საქართველოს გამარჯვებას უზრუნველყოფს. **"ეს პროგრამა არ არის არც მემარჯვენეების და არც მემარცხენეების. ეს არის საქართველოს გადარჩენის გზა,"** - განაცხადა მაისაშვილმა. საქართველოს გადარჩენისთვის [illegible] მისი თქმით, ეს არის არა მარტო ნაციონალური მოძრაობის, არამედ მთელი ოპოზიციის, მათ შორის - "გაერთიანებული დემოკრატების" სამოქმედო გეგმა.

ნაციონალური მოძრაობის ლიდერები და პროგრამის ავტორი საქართველოს ყველა რაიონს ესტუმრებიან, რათა ამომრჩეველს გააცნონ აღნიშნული პროგრამა.

## მამალაძე დახმარებას ელჩებისაგან ელის

მაია მოსიაშვილი

გუშინ რუსთავს რუმინეთის ელჩი კონსტანტინ გირბეა სტუმრობდა. ის ქვემო ქართლის გუბერნატორს ლევან მამალაძეს შეხვდა. ელჩისა და გუბერნატორის შეხვედრის მიზნად ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაღრმავებისა და სავაჭრო ურთიერთობების განვითარების აუცილებლობა დასახელდა. **"შეიძლება ითქვას, რომ რუმინეთი საქართველოს დეფაქტო მეზობელია. ნავთობპროდუქტების 90 პროცენტი აქ ჩვენი ქვეყნიდან შემოდის. მივესალმებით თქვენს ძალისხმევას ნატოსა და ევროკავშირში შესასვლელად. რუმინეთმა ხომ ერთ-ერთმა პირველმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა,"** - განაცხადა ბატონმა გირბეამ.

რუმინეთის ელჩმა ყველაზე დიდი აქცენტი სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებაზე გააკეთა: **"განსაკუთრებით დაინტერესებულნი ვართ "აზოტის" საქმიანობით. მერე რა, რომ იქ უკვე რუსები არიან შესულნი. მთავარია, მათ თავისი მაფიოზური ქცევები არ გადმოიტანონ. რას ვიზამთ, რუსეთი მეზობელია და ამიტომ ჩვენი ურთიერთობებიც ნორმალურ ჩარჩოებში უნდა მოვაქციოთ."**

ელჩმა გუბერნატორთან საუბრის დასაწყისშივე განაცხადა, რომ მისი ფუნქცია პოლიტიკაში ჩარევა არ არის, თუმცა ლევან მამალაძემ მას არჩევნებში დახმარება მაინც სთხოვა. **"ჩვენ ღიად ვუჭერთ მხარს პრეზიდენტ შევარდნაძეს და ამის გამო არჩევნებზე პრობლემები შეგვექმნება. ძალადოპოზიცია ქვემო ქართლში სოციალური და ეთნიკური პრობლემებით მანიპულირებას გეგმავს. ამიტომ მივმართავ ყველა განვითარებული ქვეყნის ელჩებს, დაგვეხმარონ დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაში და რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელი, დამკვირვებელი გამოგვიგზავნონ ქვემო ქართლში,"** - მამალაძემ ასეთივე თხოვნით ცოტა ხნის წინ მასთან სტუმრად მყოფ გერმანიის ელჩსაც მიმართა.

**"არსებობს გაერთიანება "ელჩების ჯგუფი სამართლიანი არჩევნებისათვის", რომელშიც ამერიკისა და ევროპული ქვეყნების ელჩები არიან გაერთიანებულნი. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს არჩევნები ბევრს ნიშნავს საქართველოსთვის და ის ყველა წესის დაცვით უნდა ჩატარდეს. აუცილებლად დაგეხმარებით რჩევებითა და დამკვირვებლებით,"** - დაჰპირდა რუმინეთის ელჩი გუბერნატორს.

## აშშ-ს პრეზიდენტმა დამოუკიდებლობის დღის მოლოცვა ყველას დაასწრო

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესა და საქართველოს მოსახლეობას 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის მე-12 წლისთავი მიულოცა. **"ამ პერიოდის მანძილზე საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის ფარგლებში მომზადდა ქართველი ჯარისკაცების ორი ბატალიონი, დაიწყო "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" ნავთობსადენის მშენებლობა"**, - ნათქვამია წერილში.

აშშ-ს პრეზიდენტი "აფასებს საქართველოს მტკიცე მხარდაჭერას ერაყის საკითხში".

ჯორჯ ბუშის განცხადებით, 2 ნოემბერს დანიშნული საპარლამენტო არჩევნები საშუალებას მისცემს საქართველოს, დაანახოს, რომ ის რეგიონის ლიდერია დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით.

## მოკლედ

**თბილისი.** კახეთის რეგიონს 24 მაისს ევროპის რეგიონული ასამბლეის 35-კაციანი დელეგაცია ეწვევა, რომლის მიზანია რეგიონთან დამყარებული თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელის პირველმა მოადგილემ ნუგზარ სამსონიამ ხუთშაბათს განაცხადა, რომ მისი უწყება ფლობს "ოპერატიულ მონაცემებს, რომლითაც ქართველი პარტიზანები დივერსიულ აქტებს ამზადებენ" საქართველოს დამოუკიდებლობის თარიღთან დაკავშირებით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გასული წლის აგვისტოში დაწყებული ანტიტერორისტული ოპერაციის ფარგლებში სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმი აგრძელებს ღონისძიებების გატარებას პანკისის ხეობაში, რათა მოხდეს ეჭვმიტანილ პირთა გამოვლენა და ნეიტრალიზება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო კონტინგენტის სარდალი, გენერალ-მაიორი სვიატოსლავ ნაბზდოროვი ამჟამად სრულფასოვნად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას", - განუცხადა ხუთშაბათს "პრაიმ-ნიუსს" შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარემ, სამხრეთ ოსეთის საგანგებო დავალებათა მინისტრმა ბორის ჩოჩიევმა. მისი თქმით, "სარდალი მთლიანად გაერკვა სიტუაციაში და შექმნილ ვითარებას ფლობს". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, პოლიტოლოგი ლევან ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ "ლეიბორისტული (შრომის) პარტია", მისი ბოლო მოქმედებებიდან გამომდინარე, ოპოზიციურ პოლიტიკურ ორგანიზაციას არ წარმოადგენს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების ორი კატარღა მონაწილეობას მიიღებს ნატო-სა და ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის პარტნიორი ქვეყნის ფართომასშტაბიან საზღვაო სწავლებებში სახელწოდებით - "Cooperativ partner-03", რომელიც ივნისის შუა რიცხვებში, ოდესის აკვატორიაში გაიმართება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფრაქცია „ერთიანი საქართველოს" წევრი, პოლიტიკური გაერთიანება „ერთობის" ლიდერი ჯუმბერ პატიაშვილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებას საარჩევნო კოდექსის მიღება არ სურს და ამის გამო, საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის შეფერხებას ცდილობს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**გალი.** დღეს გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში გამართული ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრის მთავარი თემა გახდა მესტიაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 200-კაციანი ქვედანაყოფის შეყვანა (ერთ-ერთი ვერსიით, ეს ქვედანაყოფი ადგილობრივი მოსახლეობისგან დაკომპლექტდება), რაც უახლოეს ხანში იგეგმება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსის თავმჯდომარეს გიორგი კობახიძეს მიაჩნია, რომ 2003 წლის საპარლამენტო და 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გაირკვევა, საქართველოს ხელისუფლება დაიბრუნებს თუ არა აფხაზეთს და სამაჩაბლოს, თუ „ეს პრესპექტივა მომავალ თაობებს დარჩათ". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული სამხედრო აღლუმი, სათანადო საბიუჯეტო სახსრების უქონლობის გამო არ გაიმართება. **პრაიმ-ნიუსი**

# ცენტრალური საარჩევნო კომისია კვლავ ჩვეულ ფორმაშია

პირველი გვერდიდან

ასე რომ, ცესკო კვლავ ფორმაშია და თავის საქმიანობას აგრძელებს. გუშინ, მაგალითად, მისმა წევრებმა რამდენიმე სერიოზული გადაწყვეტილება მიიღეს: გამოსცეს განკარგულება, რომელიც მომავალი საპარლამენტო არჩევნების ძირითადი საარჩევნო ღონისძიებების ვადებს განსაზღვრავს და დაასახელეს ის თანხა, რომელიც არჩევნების გასამართად არის საჭირო.

ცესკო-ს გადაწყვეტილებით, არჩევნებისთვის საჭირო თანხა 4 მილიონ 994 ათას 940 ლარით განისაზღვრა. აქედან მილიონ 916 ათას 530 ლარი უშუალოდ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დასჭირდება. სწორედ ამ თანხიდან გაიცემა ხელფასები, ანაზღაურდება ტრანსპორტისა და ტელეფონებით სარგებლობის, ასევე საკანცელარიო ხარჯები, დაიბეჭდება საარჩევნო კონვერტები და ბიულეტენები, ჩაუტარდებათ ტრენინგები საოლქო კომისიების წარმომადგენლებს, დამზადდება ვიდეოსაარჩევნო კლიპები და ა.შ.

რაც შეეხება საარჩევნო ღონისძიებათა ვადებს. კომისიის გადაწყვეტილებით, არჩევნებამდე არაუგვიანეს 55 დღისა, ცესკო-მ საოლქო კომისიებს უნდა გადაუგზავნოს ამომრჩეველთა მონაცემები და ფინანსთა სამინისტროს საარჩევნო ხარჯთაღრიცხვის საკუთარი ვარიანტი წარუდგინოს. თავის მხრივ, ფინანსთა სამინისტრომ, კომისიის მიერ მოთხოვნილი თანხა, 13 სექტემბრამდე უნდა გადარიცხოს ანგარიშზე.



ცესკო-ს სხდომამ მხიარულ ტალღაზე ჩაიარა

ამავე პერიოდში არჩევნებში მონაწილეობის მსურველმა პარტიებმა კომისიას შესაბამისი განაცხადი უნდა წარუდგინონ, ხოლო იმ პარტიებმა, რომლებმაც საარჩევნო ბლოკში გაწევრიანება გადაწყვიტეს, ეს პროცედურა 18 სექტემბრამდე უნდა ჩაატარონ.

ამავე განკარგულებით, განისაზღვრა პარტიებისა და ბლოკების, ასევე მაჟორიტარი კანდიდატების რეგისტრაციის, საარჩევნო სუბიექტების რიგითობის დადგენის, ამომრჩეველთა სიების გამოქვეყნების და სხვა პროცედურების გამართვის ვადები.

გუშინდელ სხდომაზე "სოციალისტმა" დენის დავითაშვილმა კვლავ ხარაგაულის არჩევნების შედეგები გააპროტესტა და განაცხადა, რომ 18 მაისს დაბაში გამართული კენჭისყრა "ტოტალურად გაყალბდა". მან ცესკო-ს საარჩევნო მონაცემების გადამოწმება მოსთხოვა, მაგრამ ამაოდ – კომისიის წევრებმა მის ხმამაღალ განცხადებებს ყური არ ათხოვეს და ხარაგაულის საკრებულოს არჩევნები გამართულად მიიჩნიეს.

# არასამთავრობოები არჩევნებისას მასმედიასაც შეამოწმებენ

თეა ხოფერია

*გუშინ, არასამთავრობო ორგანიზაციათა ნაწილმა პრესკლუბში გამართულ შეხვედრაზე, მასმედიის წარმომადგენლებს, არჩევნების გასაშუქებლად სარედაქციო პოლიტიკის შემუშავება შესთავაზა. კერძოდ, მასმედიის საშუალებებმა არჩევნების გაშუქებისათვის ინდივიდუალური ეთიკური კოდექსი უნდა შეიმუშაონ. მასმედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთი ნაწილი მონიტორინგს ჩაუტარებს.*



არასამთავრობოები არჩევნების პერიოდში მედიას ეთიკის დაცვისკენ მოუწოდებენ

პრესკლუბში შეხვედრის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრმა ლევან რამიშვილმა განაცხადა, რომ ამ იდეის მთავარი მიზანია ამომრჩეველს არჩევნებამდე მიეწოდოს სრული, გადამოწმებული და მიუკერძოებელი ინფორმაცია. ამ ინიციატივის ავტორების მოსაზრებით, მასმედიის საშუალებათა საქმიანობაზე მონიტორინგის განხორციელება და გავრცელებული ინფორმაციის გაკრიტიკება მასმედიას საკუთარი შეცდომების გააზრებაში დაეხმარება.

სარედაქციო პოლიტიკის შემუშავების მომხრეთა აზრით, სასურველი იქნებოდა, რომ მასმედიის წარმომადგენლებს ინდივიდუალურ კოდექსებში ელემენტარული, გნებავთ ბანალური, ეთიკის წესები ჩაეწერათ. მაგალითისთვის ისეთი, როგორიცაა "გადმოეცით საკითხის არსი", "არ დაუშვათ კონფლიქტის გაზვიადება", "თანაბარი დრო და სივრცე ყველასათვის", "ნუ დაივიწყებთ ამომრჩეველს", "ერიდეთ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებით მანიპულირებას", "დაიცავით ზომიერება ანალიტიკური ინფორმაციის მიწოდების დროს", "ერიდეთ საეჭვო წარმოშობის ინფორმაციას"...

სახელმწიფო ტელეკომპანიის თავმჯდომარის მოადგილემ ედნარ გიორგობიანმა პრესკლუბში განაცხადა, რომ, მართალია, მასმედიის თვითრეგულირების პროცესი მისთვის მისაღებია, მაგრამ ეს საკმაოდ გრძელი პროცესია და მოახლოებეული არჩევნებისათვის თითქმის განუხორციელებადი: **"საქართველოს კანონმდებლობა უკვე ითვალისწინებს, თუ რა ფარგლებში შეუძლია მასმედიის ამა თუ იმ საშუალებას გააშუქოს არჩევნების წინა პერიოდში ესა თუ ის პარტია ან ბლოკი. სჯობს, ჩვენ ისევ ამ კანონმდებლობით ვიხელმძღვანელოთ, რადგან თვითრეგულირება ძალიან დიდ დროს წაიღებს, თუმცა არ ვარ წინააღმდეგი ამ მეთოდისაც."**

ლევან რამიშვილი კი იხსენებს მასმედიის მიერ წინა არჩევნების დროს გამოქვყნებულ მასალებს და აღნიშნავს: **"ხშირად პრობლემა მარტო ის კი არ არის, თუ როგორ შუქდება, არამედ ისიც, თუ რა არ შუქდება."** მისი აზრით, ხშირად მასმედიის საშუალებები ამა თუ იმ პარტიის მიმართ სუბიექტურ მიდგომას იჩენენ და მათთვის სასურველ პარტიას აშუქებენ. ლევან რამიშვილის აზრით, მონიტორინგის პროცესში ასეთი ფაქტებიც დაფიქსირდება.

დაბოლოს, არასამთავრობო ორგანიზაციები, უახლოეს მომავალში, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლავ აპირებენ შეხვედრების მოწყობას მასმედიის წარმომადგენლებთან.

# ერთი „კაკალი" ქურთებისათვის

მერაბ მეტრეველი

"საქართველოს ქურთები "ახალი საქართველოსთვის!" – ასეთი ლოზუნგი გამოაკრეს გუშინ ჟურნალისტთა სახლში. იქ რჩეული ქურთული საზოგადოება მაღალ სტუმრებს, სახელმწიფო მინისტრს და ქვემო ქართლის გუბერნატორს მასპინძლობდა. ქურთები, ერთგულების და არჩევნებში მხარდაჭერის სანაცვლოდ, პარლამენტში ერთ ადგილს ითხოვენ – აი, ეს იყო გუშინდელი შეხვედრის მთელი ალია-ბალია. თუმცა, მივყვეთ თანმიმდევრობით.

სახელისუფლებო ბლოკი, უკვე კარგა ხანია, სხვადასხვა ეთნიკურ თუ პროფესიულ ჯგუფებს იკრებს გარშემო. მათ ელექტორატი, ლამისაა, მთლიანად ეთნიკური და პროფესიული ნიშნით დაყონ. ქვემო ქართლის აზერბაიჯანელებზე ხელისუფლება ექსკლუზივს დიდი ხანია ფლობს. ახლა მათ ქურთებიც დაემატნენ. ადრე რკინიგზელებმა და მეგზურეებმა შეჰფიცეს ხელისუფლებას ერთგულება. მათთან საკითხი ასე დგას: თუ ნამდვილი ქურთი, ან ნამდვილი აზერბაიჯანელი, ნამდვილი მეგზური, ან ნამდვილი რკინიგზელი ხარ, მხარი ხელისუფლებას უნდა დაუჭირო. ეს ყველაფერი ხშირად ერთი ადამიანის კეთილდღეობისთვის კეთდება, რომელზეც, მათი აზრით, ყველას კეთილდღეობაა დამოკიდებული. ვთქვათ, აკაკი ჩხაიძე იმით ფასობს, რომ მას არჩევნებზე რამდენიმე ათასი ადამიანის წასხმა შეუძლია. მართალია, ქურთების შემთხვევაში მდგომარეობა ცოტა სხვაგვარადაა, მაგრამ ერთი კაცი, ვისაც ამ ადამიანების ხმები მოემსახურება, იქაც გამოჩნდა. ეს გენერალური პროკურატურის განსაკუთრებულ საქმეთა უფროსი გამომძიებელი ისკო დასენია. სწორედ ბატონი ისკო თაობდა გუშინდელ შეხვედრას და ქურთებიც ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ითხოვდნენ მის პარლამენტში გაყვანას.

თავად ისკო დასენი კი გუშინ ძალიან "მორცხვობდა". ჯერ არაფერი გადამიწყვეტიაო, ამბობდა. სამაგიეროდ, დიდი შემართებით საუბრობდა არა მარტო თბილისელი, არამედ რუსთაველი და კახელი ქურთების სახელითაც კი. **"ჩვენ მხარს ვუჭერთ ბლოკს "ახალი საქართველოსთვის" (ტაში). მიზეზი შევარდნაძე და მისი კურსია,"** – განაცხადა გუშინ ბატონმა ისკომ. მანვე ამცნო ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ შეიქმნა სპეციალური საკოორდინაციო საბჭო, რომელიც ყველა ქურთულ ორგანიზაციას ერთი დროშის ქვეშ დარაზმავს. ერთმა ქურთმა ქალბატონმა ჯორბენაძეს, ერაყის ტერიტორიაზე ქურთული სახელმწიფოს შექმნის შემთხვევაში, საქართველოს ნავთობით მომარაგებაც კი აღუთქვა. სამაგიეროდ, ქურთები ხელისუფლებას ერთ რამეს სთხოვდნენ: არ "გადაგვაგდოთო". ასეთი თხოვნა მათ მწარე გამოცდილების გამო დააყენეს. ქურთები აცხადებდნენ, რომ წინა არჩევნების დროს სმკ-ს მაშინდელი ხელმძღვანელობა თავიანთ სიაში ერთი კაცის ჩასმას დაჰპირდა, მაგრამ საბოლოოდ ეს არ მოხდა.

მამალაძეს გუშინ არაფერი უთქვამს. მხოლოდ ერთი რეპლიკა ისროლა, როცა სმკ-ს ხელმძღვანელობის მიმართ საყვედური მოისმინა. **"სმკ-ს ხელმძღვანელობა კი არა, გარკვეული პიროვნებებიო,"** – გაუსწორა ქურთებს. ჯორბენაძემ კი ერთორი ტკბილი სიტყვა მხარდამჭერებს არ დაამადლა და, ძირითადად, ქართველების ყბადაღებულ ტოლერანტობაზე ისაუბრა. თუმცა ბოლოს, მთავრობის სახელითაც გასცა დაპირება. **"საქართველოში ნებისმიერი ეროვნების წარმომადგენელს ყველაზე დიდი მხარდამჭერი საქართველოს პრეზიდენტი ჰყავს. ჩვენ შევეცდებით, მოვამზადოთ ბაზა იეზიდებში სპეციალური განათლების პროგრამის მხრდაჭერისთვის" (ტაში),** - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა. სიტყვის დასასრულს კი ერთი კენჭი სწორედ "სმკ-ს ძველი ხელმძღვანელობის" ბოსტანში ისროლა: **"ჩვენ მეგობრების მიტოვება არ გვჩვევია, ამის პირობა შემიძლია მოგცეთ"**(ზურნა და დოლი).

# მაის-ივნისში ნათელაშვილი შევარდნაძისგან ქვეყნის გათავისუფლებას ითხოვს

ვერიკო თევზაძე

*"პრეზიდენტს მოტროსოვივით მკერდით გადაეფარნენ "ნაციონალური მოძრაობა" და ე. წ. "გაერთიანებული დემოკრატები", რომლებმაც გაილაშქრეს მთლიანად კანონპროექტის წინააღმდეგ, სინამდვილეში გაილაშქრეს პრეზიდენტის ვადამდე გადაყენების წინააღმდეგ", - ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი მიხეილ სააკაშვილს და ზურაბ ჟვანიას შევარდნაძესთან ალიანსში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ისინი ერთობლივად ბლოკავენ ლეიბორისტების ინიციატივით პარლამენტში განსახილველად შესულ საკონსტიტუციო ცვლილებათა კანონპროექტს. ნათელაშვილი დარწმუნებულია, რომ პარლამენტი დროის გაწელვას ცდილობს, "რათა საქმე მივიდეს 2005 წლამდე, როცა მოხდება გარიგება შევარდნაძესა და მის დღევანდელ და ყოფილ შეგირდებს შორის."*



შალვა ნათელაშვილი ერთ თვეში აპირებს საქმის მომთავრებას.

ნათელაშვილი სასტიკად უარყოფს მოსაზრებას, თითქოს იგი დაინტერესებულია ამჟამინდელი მაჟორიტარი დეპუტატებისთვის უფლებამოსილების გაგრძელებით. **"ეს არის წარმოუდგენელი სისულელე, რომელსაც ვერ მოიფიქრებდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაწოლილი ახალი გიჟიც და ვერც მსოფლიოში ცნობილი ქოსატყუილა მიუნჰაუზენი. პროექტში გარკვევით წერია, რომ იგი ახალი, შემცირებული რაოდენობის ორპალატიანი პარლამენტის არჩევნებს ითვალისწინებს."**

ჟურნალისტებმა ლეიბორისტული პარტიის ლიდერს მისი შევარდნაძესთან ალიანსიის შესახებ გავრცელებულ ხმებზე გადაუკრეს სიტყვა. ნათელაშვილმა "ქოში უკულმა ყარა". **"საქმე იქამდე მივიდა, რომ ამბობენ: ორპალატიანი პარლამენტის იდეა შევარდნაძეს ეკუთვნის, ნათელაშვილიც მსგავსი ინიციატივით გამოდის და შევარდნაძესთან არის ალიანსშიო. წაიკითხეთ ვოლტერი, ჟან-ჟაკ რუსო და დაინახავთ, რომ ორპალატიანი პარლამენტი ფრანგმა განმანათლებლებმა მოიგონეს..."**

ვისაც სახლში ფრანგი განმანათლებლების წიგნები არ მოეპოვება, ეროვნულ ბიბლიოთეკაში წასვლა კი ეზარება, იმათ ნათელაშვილი ლოგიკურად უხსნის: **"როგორ შეიძლება, შევარდნაძესთან ვიყო ალიანსში და იმავდროულად მისი ვადამდე გადაყენების მოთხოვნით გამოვდიოდე?"**

შრომის პარტიის ლიდერი პარლამენტს მოუწოდებს, შექმნას ინტერფრაქციული ჯგუფი, რომელიც ლეიბორისტთა კანონპროექტის გარშემო წარმოშობილ სადავო საკითხებს შეაჯერებს და **"მაის-ივნისში მოამთავრებს შევარდნაძისგან ქვეყნის გათავისუფლების საქმეს."**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# კონფერენცია, რომლის ერთადერთი შედეგი კამათია

პირველი გვერდიდან

როგორც გაირკვა, კონფერენციის გუშინდელ ნაწილზე არც დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორს კონსტანტინ ზატულინს და არც ექსპერტ ანდრანიკ მიგრანიანს ახალი არაფერი უთქვამთ. ისინი კვლავ ძველ შეხედულებებსა და პოზიციებზე დარჩნენ. **"რუსეთი დიდი სახელმწიფოა და რა გასაკვირია, რომ მას საქართველოს მიმართ საკუთარი ინტერესები ჰქონდეს,"** - დაახლოებით ასეთ შეხედულებას სხვებსაც ახვევდა თავს ზატულინი. მიგრანიანთან დუეტში იგი საქართველოში გაღვივებული და დღემდე ჩაუმქრალი კონფლიქტების მიზეზად თავად საქართველოს მიიჩნევდა.

ოპონენტების სახით, რუსული დელეგაციის წარმომადგენლებს საერთაშორისო საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველი გელა ჩარკვიანი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე, ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი, სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევითი ფონდის პრეზიდენტი ალექსანდრე რონდელი, პოლიტოლოგები ივლიანე ხაინდრავა, რამაზ საყვარელიძე და სხვები ჰყავდათ. საკმაოდ განსხვავებული შეხედულებების მქონე ქართული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები გუშინ ერთად იცავდნენ საქართველოს საგარეო კურსს.

თუმცა, სამართლიანობისათვის ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავად სტუმრებს შორისაც აღმოჩნდა რამდენიმე პიროვნება, ვინც ზატულინ-მიგრანიანის რადიკალურ გამოსვლებს მხარი არ დაუჭირა. ესენი იყვნენ სახელმწიფო სათათბიროს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე იური შეკოჩიხინი და დღეისათვის პუტინის მრჩეველი, ეთნოლოგიური და რეგიონული კვლევითი ცენტრის დირექტორი ემილ პაინი. ასევე, გაზეთ "მოსკოვსკიე ნოვოსტის" რედაქტორის მოადგილე მიხაილ შეველიოვი, შუაზღვისპირეთისა და შავი ზღვის ევროპის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ალა იაზიკოვა და იური კობალაძე, რომელიც რუსეთის ფედერაციის შიდა და თავდაცვის პოლიტიკის საბჭოს წევრია. თბილისში დაბადებულმა კობალაძემ უმაღლესი სასწავლებელი უკვე მოსკოვში დაამთავრა და სამსახურებრივი წინსვლაც იქ განაგრძო. დაზვერვის სამსახურის პარალელურად, იგი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებშიც მუშაობდა. გუშინ კობალაძე კონფერენციის მონაწილეებს ზომიერების დაცვას სთავაზობდა, იმისათვის, რომ ისედაც შერყეული, საქართველო-რუსეთის ურთიერთობები სამომავლოდ კიდევ უფრო ეჭვქვეშ არ დამდგარიყო.



ჩხიკვიშვილი, მიგრანიანი და კობალაძე - კონფერენციაში მონაწილე რუსეთის დელეგაციის წევრები.

დღეს კონფერენციის მონაწილეები პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს შეხვდებიან და შემაჯამებელ პრესკონფერენციას გამართავენ.

# ნატო-ს "ასპირანტ" ქვეყნებს პლუს საქართველო

## პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი ლიტვაში

თამარ ხორბალაძე

სულ ერთი დღით გახლდათ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ლიტვაში, თუმცა საქართველოში დაბრუნებულს, ამ პერიოდის მანძილზე მშობლიურ პარლამენტთან დაკავშირებით, არაერთ კითხვაზე მოუხდა პასუხის გაცემა.

**"ორპალატიანი პარლამენტის შემოღების საკითხზე მსჯელობა აუცილებელია. ეს არის საკითხი, რომელიც სერიოზულ განსჯას საჭიროებს. ორპალატიან პარლამენტს აქვს როგორც ძალიან სერიოზული პლუსები, ისე - მინუსები საქართველოს ტიპის ქვეყნისთვის. თუმცა, ვეჭვობ, რომ დღევანდელ პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებისთვის 157 ხმა მოგროვდეს, თუ არ იქნა სხვა ინტერესები, რომელზეც არის ხოლმე საუბრები,"** – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ თბილისის აეროპორტში ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე. ამასთან, ნინო ბურჯანაძემ ისიც აღნიშნა, რომ შვედეთში ვიზიტისას მისი განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია იქაურმა გამოცდილებამ, სადაც ორპალატიანი პარლამენტი ერთპალატიანად გადააკეთეს.

პარლამენტის თავმჯდომარე მაჟორიტარებისთვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების უკვე ყბადაღებულ თემასაც გამოეხმაურა, რომელიც ამ ბოლო დღეებში, ლეიბორისტების ცნობილი ინიციატივის გამო, კვლავ აქტუალური გახდა.

**"რაც შეეხება მაჟორიტარებისთვის ვადების გაგრძელებას, მე იმავე პოზიციაზე ვრჩები და არ ვურჩევდი არც მაჟორიტარებს და არც სხვა დეპუტატებს ამ იდეის მხარდაჭერას. ზოგიერთი მაჟორიტარი ღირსეულად ასრულებდა თავის ფუნქციას, ზოგი – ნაკლებად, ამიტომ, არა მგონია, რომ ჩვენი მოსახლეობა შეეგუოს ვინმესთვის უფლებამოსილების ავტომატურად გაგრძელებას. მოსახლეობას ძალიან დიდი მოლოდინი აქვს არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით, ამიტომ სიფრთხილისკენ მოვუწოდებ ყველას, ვინც მსგავს ინიციატივას უჭერს მხარს,"** – განაცხადა მან.

ნინო ბურჯანაძემ საკუთარი აზრი გამოთქვა სარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესთან დაკავშირებითაც: **"მე დიდი იმედი მინდა ვიქონიო, რომ ცესკო-ზე შეთანხმება მოხდება. თუ ცესკო ახალი ხალხით არ დაკომპლექტდა, შეიძლება შედეგად მივიღოთ ის, რომ ხალხი არ მოვა არჩევნებზე, რადგან ნდობა კომისიისადმი დაბალია."**



ნინო ბურჯანაძეს აეროპორტშივე მოუხდა მის არყოფნაში განვითარებულ მოვლენებზე კომენტარის გაკეთება.

რაც შეეხება მაჭავარიანისა და ბარამიძის განცხადებებს იმუნიტეტის მოხსნასთან დაკავშირებით, პარლამენტის თავმჯდომარე ფიქრობს, **"რომ დღეს იმუნიტეტის არასწორი გაგება ჩამოყალიბდა. თუ დეპუტატი თანამშრომლობს გამოძიებასთან, თუ არ გაურბის ურთიერთობას საგამოძიებო სტრუქტურებთან, მაშინ სულაც არ არის სავალდებულო იმუნიტეტის მოხსნა."**

და მაინც, მიუხედავად საქართველოში ამ დღეებში განვითარებული მოვლენებისა, მათ მაინც ვერ შეძლეს ლიტვაში ვიზიტის მნიშვნელობის გადაწონვა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ლიტვაში პირველად მიიღო მონაწილეობა "ვილნიუსი ჯგუფის", ანუ ვილნიუსის ათეულის - ნატო-ს "ასპირანტი" ქვეყნების შეხვედრაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ამ შეხვედრებზე წევრის სტატუსით არ მონაწილეობდა, დასავლურ პრესაში უკვე გამოჩენილმა შეფასებებმა - ამ შეხვედრის "ათს პლუს ერთი" ფორმატით გამართვის თაობაზე - და მიღებულმა განცხადებამ, რომ ათეულის წევრი ქვეყნები საქართველოს ნატო-სკენ სავალ გზაზე დახმარებას აღუთქვამენ, ხაზი გაუსვა საქართველოს განსაკუთრებულ სტატუსსა და მდგომარეობას.

გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ საგანგებოდ აღნიშნა ლიტვაში ვიზიტის **"უდავოდ დიდ მნიშვნელობა"** და ისიც დასძინა, რომ ნატო-სკენ სავალ გზაზე საქართველოს მისი სტანდარტების დაკმაყოფილება მაინც მოუწევს: **"ბალტიისპირეთის ქვეყნებმა შეძლეს დაეკმაყოფილებინათ ნატო-ს სტანდარტები; მაგალითად: თავდაცვის სფეროზე, თავდაპირველად, ეს ქვეყნები მშპ-ს თუ არა, ბიუჯეტის ორ პროცენტს მაინც ხარჯავდნენ. ჩვენ ამ სტანდარტებისგან შორს ვართ. რაც მთავარია – ერთია ბიუჯეტში გათვალისწინება და მეორე - ბიუჯეტის შესრულება. ამ მიმართულებით საქართველომ თავად უნდა გადადგას ნაბიჯები."**

# საქართველოს დელეგაციას სიმწრის ოფლი ადინეს

პირველი გვერდიდან

მაგრამ, როგორც წინა სტატიაში ვვარაუდობდით, 31 შეკითხვიდან 29-ზე პასუხის გაცემა ასეთი დონის შეხვედრისთვის ნაკლებად მომზადებულ დელეგაციას მოუწია (საერთოდ, მნიშვნელოვან ღონისძიებებზე გასაგზავნი სამთავრობო დელეგაციების დაკომპლექტება ცალკე საუბრის თემაა).

ნატო-ში საქართველოს მისიის წარმომადგენლებისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის მრჩევლის პატრიცია შეარინგის მიერ წინა დღით ჩატარებულმა "მოთელვამ" დადებითად იმოქმედა და საქართველოს დელეგაციის წევრებმა შეძლეს დაერწმუნებინათ ნატო-ელი ექსპერტები, რომ ქვეყანა გააგრძელებს სამხედრო რეფორმებს და უახლოესი ორი წლის განმავლობაში გათვალისწინებული იქნება ყველა შენიშვნა, რაც ალიანსის დაგეგმარებისა და მიმოხილვის ჯგუფის წარმომადგენლებმა გამოთქვეს. ეს შენიშვნები კი არსებითი ხასიათისაა. იმ ილუზიის გასაფანტად, რომ ამ რეკომენდაციების შერულება მხოლოდ ფინანსთა და თავდაცვის სამინისტროების პრობლემაა, უადგილო არ იქნება მათი ჩამოთვლა:

უნდა მოხდეს შეიარაღებული ძალების რესტრუქტურიზება და რეალურად გაიმიჯნოს გენერალური შტაბისა და თავდაცვის სამინისტროს ფუნქციები;

უნდა დაიწყოს სამხედრო მოსამსახურეებისთვის ხელფასების პროპორციული მატება და მათი მიახლოება "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამაში მონაწილე ქვედანაყოფების წარმომადგენლების შრომის ანაზღაურების მაჩვენებელთან;

იმპერატიული უნდა გახდეს ქართველი ოფიცრებისთვის ინგლისური ენის შესწავლა;

ქვეყანამ უნდა შეიმუშაოს სამხედრო გაწვევის მოქნილი სისტემა;

რეალურად უნდა დაიწყოს სამობილიზაციო საქმიანობა;

ქვეყანას შედგენილი უნდა ჰქონდეს სამხედრო-საჰაერო ძალების მოდერნიზების, ან ასეთი შესაძლებლობის არარსებობის შემთხვევაში, მისი ფუნქციების შეკვეცის გეგმა;

ანალოგიური სამუშაოა ჩასატარებლი სამხედრო-საზღვაო ძალებისა და სანაპირო დაცვის ძალების გონივრული ოპტიმიზებისთვის;

და მთელი ეს სამუშაო, პროგრამულად გაწერილი, ბიუჯეტით შეუფერხებლად უნდა ფინანსდებოდეს.

როგორც შეხვედრის დამთავრების შემდეგ, საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში დავით თევზაძის მრჩეველმა, პატრიცია შეარინგმა განაცხადა, ეს იყო რთული შეხვედრა, მაგრამ კიდევ უფრო რთული სამუშაო წინ არის, როდესაც პარპ-ის შეუსრულებელ მიზნებს, პარტნიორობის ინდივიდუალური სამოქმედო პროგრამით ნაკისრი ახალი ვალდებულებები დაემატება. **"ამ ყველაფრის შესასრულებლად კი საქართველოს ძალინ ცოტა დრო ექნება"**, - აცხადებს შეარინგი, რომელიც მომავალ კვირას თბილისში ჩამოდის და 19+1-ის ფორმატით მოწყობილი განხილვის შედეგებს დაწვრილებით გააცნობს საქართველოს სამხედრო უწყების ხელმძღვანელობას.

# აჭარის წარმომადგენლობა სკეპტიკურად აფასებს ნატო-ში ინტეგრაციის პერსპექტივას

ბელა მახარაძე

ბოლო ხანს საკმაოდ ხშირად საუბრობენ საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის შესახებ. გუშინ ამ საკითხით დაინტერესდნენ და საკუთარი აზრი გამოთქვეს აჭარის წარმომადგენლობაში. დისკუსიას ჰამლეტ ჭიპაშვილი ხელმძღვანელობდა. მისი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ ძალზე პესიმისტურია. ჰამლეტ ჭიპაშვილს არ აქვს იმედი, რომ საქართველო თუნდაც ოცი წლის შემდეგ მაინც შეძლებს ნატო-ს წევრობას. ამისათვის ქვეყნის ხელისუფლებას მოუწევს ნატო-ს პირობების დაკმაყოფილება, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და სხვ. ამ საკითხების მოგვარების არც სურვილი და არც შესაძლებლობა, მისი შეხედულების მიხედვით, საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნია. ამ პირობების დაკმაყოფილებას ჰამლეტ ჭიპაშვილი და მისი თანამოაზრენი დაახლოებით ოც წელიწადზე "წელავენ".

ჰამლეტ ჭიპაშვილი, პრეზიდენტის განცხადებას ნატო-ში ინტეგრაციასთან დაკავშირებით, სახელისუფლებო ბლოკის სარეკლამო საუბრად მიიჩნევს. **"ხელისუფლებას ამ განცხადების გაკეთება მხოლოდ სარეკლამოდ სჭირდება. პრეზიდენტმა, ერთი კვირის წინ, მეორედ გააკეთა განცხადება, რომ ჯერ არ არის გადაწყვეტილი, როდის გახდება საქართველო ნატო-ს წევრი,"** - აკრიტიკებს პრეზიდენტის გამოსვლას ჭიპაშვილი. ის მოუწოდებს საზოგადოებას, ასე იოლად არ შეხედოს ამ საკითხს. მისი აზრით, საქართველოში დღეს არ არის ისეთი პოლიტიკური სიტუაცია, რომ ამ თემაზე ლაპარაკის დრო იყოს. ჭიპაშვილი იხსენებს რამდენიმე დღის წინ ლიტვაში ჩატარებულ რეფერენდუმს, სადაც მოსახლეობამ დააფიქსირა თავისი აზრი ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. მისი აზრით, საქართველოს ხელისუფლებამაც, სანამ გადაწყვეტს ნატო-ში გაწევრიანებას, უნდა ჩაატაროს რეფერენდუმი და ხალხის გადაწყვეტილების შესაბამისად უნდა იმოქმედოს, თუმცა აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობა არ არის ინფორმირებული იმ დონეზე, რომ შეძლოს სწორი გადაწყვეტილების მიღება. **"მე არ მინდა, საზოგადოებამ იფიქროს, თითქოს წინააღმდეგი ვიყო ნატო-ში ინტეგრაციისა, მაგრამ საამისოდ ჯერ საქართველოში უნდა მომზადდეს ნიადაგი,"** - ამბობს ჭიპაშვილი.

შეხვედრაზე საკუთარი პოზიცია გამოხატა პარლამენტის წევრმა გივი ბოლოთაშვილმა, რომლის აზრიც, შეიძლება ითქვას, იდენტური იყო. მას აღელვებს ნატო-ს მომავალი და ფიქრობს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ამ საკითხსაც უნდა მიაქციოს ყურადღება. "**ნატო-ში გაწევრიანება, ჩემი აზრით, ბევრს არაფერს მოუტანს საქართველოს. ეს არის ერთგვარი შირმა ჩვენი პრეზიდენტისათვის, საქართველოს უნდა ამერიკის ფრთებქვეშ ყოფნა. რამდენად იქნება მისაღები ეს ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისათვის, ეს მეორე საკითხია,"** - ამბობს ბოლოთაშვილი. მისი აზრით, სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს რუსეთის აზრიც. ბოლოთაშვილს აღელვებს საქართველოში ამერიკელების "**ფეხმოკიდების**" საკითხი, რომელიც უფრო მეტად გააღიზიანებს რუსეთს, რადგან, ბოლოთაშვილის პროგნოზით, ამერიკა იმუშავებს ჩრდილოეთ კავკასიაზე; "**ჩრდილო კავკასია კი, რუსეთის ყველაზე სუსტი წერტილია,"** - ამბობს ბოლოთაშვილი.

დისკუსიას "ნატო და საქართველო" მოგვიანებით შემოუერთდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გელა ბეჟუაშვილი. მას შედარებით ნეიტრალური პოზიცია ეკავა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და აქცენტს ძირითადად აკეთებდა იმაზე, რომ ეს პოლიტიკური პროცესია. მან შეახსენა საზოგადოებას, თუ რა დახმარება გაგვიწია ამერიკამ წვრთნისა და აღჭურვის პროგრამით. მან, ასევე, აღნიშნა, რომ ეს არის კომპლექსური საკითხი და ასე ადვილად არ გადაწყდება.

სიახლე ჯეოსელისგან!

ამოიცანით დაფარული ნომერი!

ჯეოსელი გთავაზობთ ახალ სერვისს - დაფარული ნომრის იდენტიფიკაცია.

სერვისის აქტივაციისათვის მიაკითხეთ ჯეოსელის მომსახურების ოფისებს.

ინფორმაციისათვის დარეკეთ: 928 ან 822 770177.

ჯეოსელი GEOCELL

www.geocell.ge

## სოროსის საინვესტიციო კომპანია "თი-ბი-სი" ბანკის აქციების მფლობელი ხდება

დღეს, სასტუმრო "თბილისი მერიოტში" დაგეგმილია პრეზენტაცია, სადაც, სავარაუდოდ, ოფიციალურად გაცხადდება ფონდ "სოროსის საინვესტიციო კაპიტალის" მიერ "თი-ბი-სი" ბანკის აქციების ყიდვის შესახებ. ჯერჯერობით არ კონკრეტდება, აქციათა რამდენ პროცენტს ყიდულობს სოროსის საინვესტიციო ფონდი. არც ის არის ცნობილი, გახდება თუ არა ეს უცხოური კომპანია საქართველოში ყველაზე მსხვილი ბანკის საკონტროლო პაკეტის მფლობელი.

მსოფლიოში ცნობილი და ავტორიტეტული საერთაშორისო ინსტიტუტი - "სოროსის საინვესტიციო კაპიტალი" წარმოადგენს საინვესტიციო ფონდს 200 მილიონი დოლარის ოდენობით, რომელიც შექმნილია ჯორჯ სოროსისა და "საერთაშორისო კერძო საინვესტიციო კორპორაციის" (OPIC) მონაწილეობით. "საერთაშორისო კერძო საინვესტიციო კორპორაცია" (OPIC) წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სააგენტოს; ამდენად, ფონდი "სოროსის საინვესტიციო კაპიტალი" აშშ-ს მთავრობის სერიოზული მხარდაჭერით სარგებლობს.

დღეისათვის "თი-ბი-სი" ბანკის აქციონერებს შორის არიან საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) და გერმანიის ინვესტიციებისა და განვითარების კომპანია (DEG). წინასწარი არაოფიციალური ინფორმაციით, ახალი უცხოელი აქციონერის შემატების შემდეგაც ბანკის აქციათა საკონტროლო პაკეტი და მართვა ქართული მხარის პრეროგატივად დარჩება.

"სოროსის საინვესტიციო კაპიტალის" (Soros Investment Capital) 75% ეკუთვნის "საერთაშორისო კერძო საინვესტიციო კორპორაციას" (OPIC), ეს კორპორაცია 1971 წელს დააარსა აშშ-ს კონგრესმა. იგი 150-ზე მეტ ქვეყანაში აფინანსებს პროექტებს, რომელთა მიზანია ახლად შექმნილი კომპანიების განვითარების ხელშეწყობა, პოლიტიკური სტაბილურობის მხარდაჭერა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის რეფორმების განხორციელება.

ფონდი "სოროსის საინვესტიციო კაპიტალი" (Soros Investment Capital) 2000 წლის ნოემბერში დაარსდა. ფონდმა განახორციელა მნიშვნელოვანი ინვესტიციები თურქეთსა და ბალკანეთში მოქმედი კერძო კომპანიების კაპიტალში, ხოლო კავკასიის რეგიონში ეს მისი პირველი ინვესტიციაა.

ფონდი "სოროსის საინვესტიციო კაპიტალის" (Soros Investment Capital) მიზანია კავკასიაში, თურქეთსა და ბალკანეთში მოქმედ კერძო კომპანიებში ინვესტიციების განხორციელება. ფონდი ინვესტირებას ახდენს კომერციულად ორიენტირებულ და სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელ კომპანიებში და თავისი წვლილი შეაქვს ხსენებული რეგიონების კერძო სექტორის განვითარებაში. ამ ორგანიზაციის ინვესტიციები მიმართულია რეგიონის ეკონომიკის იმ სუბიექტებისკენ, რომლებიც პრიორიტეტად სახავენ ბიზნეს-სტრატეგიის განვითარებას და მენეჯმენტის მაღალ ხარისხს, ასევე ესწრაფვიან ხელსაყრელი ინვესტიციების მოზიდვასა და კაპიტალური შემოსავლების მიღწევას. "სოროსის საინვესტიციო კაპიტალის" (Soros Investment Capital) პრიორიტეტებია: ტელეკომუნიკაციები, მედია, საინფორმაციო ტექნოლოგიები, მომსახურებისა და საფინანსო სფეროები.

*"24 საათი"*

## მორიგი რაუნდი ურჩი გადამხდელების წინააღმდეგ

სოფო კვინტრაძე

*საგადასახადო დეპარტამენტი ურჩი გადამხდელების მიმართ იძულებითი ღონისძიებების გატარებას კვლავ აგრძელებს. დღეისათვის დაყადაღებულია 174 საწარმო, რომელთა ქონებასაც, დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, აუქციონზე გაყიდვა ელის. მათ შორისაა საკაბელო ტელევიზია "აიეტი TV". საფეხბურთო კლუბ "დინამოს" კი, რომელსაც საგადასახადო დეპარტამენტი 8 მილიონ ლარს ედავება, ჯერჯერობით მხოლოდ ოფიციალური შეტყობინება აქვს გაგზავნილი.*



ზაუტაშვილი ურჩ გადამხდელებზე ახალ შეტევას იწყებს.

საგადასახადო დეპარტამენტის უფროსის იასე ზაუტაშვილის ინფორმაციით, ურჩი გადამხდელების წინააღმდეგ დაწყებული კამპანია საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს. მთავრობის სხდომაზე დასახელებული ურჩი გადამხდელი კომპანიებისაგან უკვე ამოღებულია 6 მილიონ ლარზე მეტი. 510-მა საწარმომ დავალიანების დაფარვა დაიწყო, 271-მა კი საგადასახადოსთან დავალიანების დაფარვის გრაფიკი შეათანხმა. თუმცა, არიან კომპანიები, რომლებიც არც საგადასახადო დავალიანებას ცნობენ და არც იძულებითი ღონისძიებების ეშინიათ. მათ შორის არის ცნობილი საკაბელო ტელევიზია "აიეტი TV", რომელსაც 300 ათასი ლარის ოდენობის დავალიანება აქვს. იასე ზაუტაშვილის განცხადებით, ტელევიზიის ხელმძღვანელობამ საგადასახადოს შეტყობინებაზე არანაირი რეაგირება არ მოახდინა, შესაბამისად, მას ქონება დაუყადაღეს. გადაუხდელობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, "აიეტი TV"-ის ქონებას აუქციონზე გაყიდიან.

ანალოგიურ სიტუაციაში 174 საწარმო იმყოფება, მათ შორისაა: "თბილისის ქაღალდის ფაბრიკა", "კრისტალი 1887", "ანალიზხელსაწყო", "საქელექტრომანქანა", "სპეცმშენი", "მშენსერვისი", "ელექტროშედუღება", "თბილთევზი", "გლობალ აუდიტი", "თბილფოლადკონსტრუქცია – საქართველოს საშენმასალების საცდელი ქარხანა", "მეტალოპლასტიკა", "სილიკატი", "თბილაბრეშუმი", "ცისარტყელა", "ელეგანტი-ავეჯის სახლი", "კამვოლნართი", "ალიონი", "თბილთამბაქო", "თამბაქოს ფაბრიკა ქართლი", "საკანცელარიო ფაბრიკა", ქუთაისის მესამე პურის ქარხანა, "ვაზისა", სამტრედიის სასურსათო კომბინატი, მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკა, ფოთის ლუდის ქარხანა და სხვა.

დღეისათვის ჩატარებულია 24 აუქციონი, ივნისის თვეში კი საგადასახადო დეპარტამენტი 58 აუქციონის მოწყობას გეგმავს, სადაც გამჭვირვალობის მიზნით მედიასაც ეპატიჟება. როგორც ცნობილია, ქვეყანაში არსებულმა ვადაგადაცილებულმა დავალიანებებმა მილიარდ შვიდასი ათას ლარს გადააჭარბა. თუმცა, იასე ზაუტაშვილი აღიარებს, რომ **"თუ ამ თანხიდან 400-500 მილიონი ლარის ამოღება მოხერხდა, დიდი მიღწევა იქნება."** დანარჩენი, საგადასახადოს უფროსის აზრით, უიმედო დავალიანებაა და უნდა ჩამოიწეროს.

რაც შეეხება საფეხბურთო კლუბ "დინამოს", იასე ზაუტაშვილის განცხადებით, ამ სახელწოდებით რამდენიმე შპს არსებობს. მოქმედი ლუბი "დინამო", რიგით მეორეა, იგი რამდენიმე წლის წინ დაფუძნდა და შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილებაში გახლდათ, ვიდრე ცნობილი ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი იყიდდა. როგორც იასე ზაუტაშვილმა განმარტა, საგადასახადო დავალიანება პირველ "დინამოს" ჰქონდა და, რადგანაც მეორე "დინამო" მისი სამართალმემკვიდრეა, დავალიანების გადახდაც მას ევალება. საგადასახადო დეპარტამენტმა ოფიციალური შეტყობინება დავალიანების შესახებ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას გაუგზავნა. როგორც იასე ზაუტაშვილი აცხადებს, ამ დღეებში იგი ჟორდანიას შეხვდება და ვალის სამართალმემკვიდრის ვინაობას საბოლოოდ გაარკვევს. თუ კლუბი "დინამო" 8 მილიონი ლარის გადახდაზე ისევ უარს იტყვის, მის ქონებას ყადაღა დაედება, შემდეგ კი აუქციონზე გაიყიდება.

## სნსკ-ში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ენერგოუსაფრთხოების პოლიტიკა იგეგმება

მაია ურუშაძე

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია ნატო-ს ეგიდით გამართულ სამეცნიერო-ტექნიკურ სემინარს მასპინძლობს. "ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოება სატრანზიტო ქვეყნების გავლით" - ასე ეწოდება ნატო-ს წევრი და კანდიდატი 11 ქვეყნის მეცნიერთა დისკუსიას გაზის ენერგოსატრანზიტო მარშრუტების უსაფრთხოების შესახებ. სემინარს, რომელიც გუშინ დაიწყო და დღეს დასრულდება, ესწრებიან აშშ-ს, რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ევროპის ქვეყნების მეცნიერები და იმ კომპანიების წარმომადგენლები, რომლებიც რეგიონში გაზის სატრანზიტო პროექტების განხორციელებით არიან დაინტერესებულნი.

საქართველოს მხრიდან სემინარში ტექნიკური უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს, პარლამენტის, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის, კომპანია „გეოინჟინერინგისა" და სხვა უწყებების 30-მდე წარმომადგენელი მონაწილეობს.

სემინარის მიზანია, შეიმუშაონ ექსპერტული რეკომენდაციები სამხრეთ კავკასიის პოლიტიკოსებისთვის, რათა რეგიონის ენერგეტიკული პოლიტიკის განსაზღვრა სწორი პრიორიტეტების მიხედვით მოხდეს. ამ პრიორიტეტებზე საუბრისას მეცნიერები, უპირველეს ყოვლისა, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების გავლით სატრანზიტო პროექტების განხორციელების აუცილებლობას შეეხნენ. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ **"სასურველია, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის პროექტი, რომელსაც სამხრეთ კავკასიისთვის ენერგოუსაფრთხოებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, არ უნდა იყოს ერთადერთი სატრანზიტო პროექტი რეგიონისათვის."**

სემინარის ქართველი თანადირექტორია კომპანია "გეოინჟინერინგის" ხელმძღვანელი, ექსპერტი და პროფესორი თემურ გოჩიტაშვილი, რომელმაც გუშინ საქართველოსთვის და მთელი სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის გაზის მოწოდების დივერსიფიკაციის მნიშვნელობაზე ისაუბრა. **"ქვეყანა არ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ ერთ მომწოდებელზე,"** – განაცხადა მან. გოჩიტაშვილის აზრით, საქართველოსთვის უპირატესობა ამერიკისა და ევროპის ინტერესებს უნდა მიენიჭოს, რადგან **"რუსეთი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ საქართველოს სატრანზიტო დერეფნის ფუნქცია დაეკარგა."**

სემინარზე ხაზგასმით დაფიქსირდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მიწისქვეშა გაზსაცავების აშენების აუცილებლობაც. ამ საკითხში საქართველო სომხეთს მნიშვნელოვნად ჩამორჩება: აქ მიწისქვეშა გაზის რეზერვუარების მშენებლობა დაწყებით სტადიაშია, სომხეთს კი ეს საკითხი მოგვარებული აქვს, ამიტომ გაზის მოწოდების შეწყვეტის შემთხვევაში სომხეთს ენერგეტიკული კოლაფსი არ ემუქრება. საქართველოში კი მიწისქვეშა გაზსაცავების აშენებისთვის საჭირო ტექნიკური დახასიათება მხოლოდ ახლა მუშავდება. ამ დოკუმენტზე, ქართველ სპეციალისტებთან ერთად, დანიური "რამბოლი" მუშაობს.

დღეს დაგეგმილია ქართველ ექსპერტთა მოხსენებები. სემინარი დიდ ყურადღებას დაუთმობს რეგიონის ენერგობაზრისადმი გაზის რუსული გიგანტის "გაზპრომის" მზარდ დაინტერესებასაც. ქართველი ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ "გაზპრომის" დაინტერესებას საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ბაზრებით განაპირობებს არა იმდენად ეკონომიკური, რამდენადაც პოლიტიკური მოტივები.

## ქართული ნოუ ჰაუ ენერგეტიკას გადაარჩენს?!

ნინო ნარჩემაშვილი

**"ეს არის ქართული ენერგეტიკის გადარჩენის პირდაპირი და უმოკლესი გზა. ქართველ მეცნიერთა გამოგონება ქვეყნის ენერგეტიკას კრიზისიდან გამოიყვანს,"** - ასე შეაფასეს ელექტროენერგიის გასაღებისა და აბონენტებთან ანგარიშსწორების ავტომატიზებული სისტემა "ეგაასი" ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიაში გამართულ პრეზენტაციაზე. მისი გამომგონებლის, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის არჩილ ფრანგიშვილის განცხადებით, "ეგაასს" მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება. რაც შეეხება თვითონ სისტემას, იგი, ჯერჯერობით, საშუალო და მაღალი ძაბვის ელექტროენერგიის, გადაცემა-დისპეტჩერიზაციის ობიექტებისათვის - ერთი სიტყვით, მსხვილი ობიექტებისათვის არის განკუთვნილი და წარმოადგენს აბონენტის ელექტროენერგიის მრიცხველისა და მისადგმელი ციფრული ბლოკის ერთობლიობას. მისი ჩართვა მხოლოდ წინასწარი გადახდის შემთხვევაშია შესაძლებელი. ე.ი. "ეგაასის" საშუალებით მომხმარებელს მხოლოდ იმ რაოდენობის ელექტროენერგია მიეწოდება, რაც წინასწარ შეიძინა. მისი რაოდენობის ამოწურვის შემთხვევაში მომხმარებელს ავტომატურად უწყდება დენის მიწოდება, რომლის შეძენა შესაძლებელია სრული და ნაწილობრივი კრედიტით, ან წინასწარი გადახდით. გამოგონების ავტორის განმარტებით, მრიცხველის ჩვენების გაყალბება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ამიტომ "ეგაასის" დანერგვა ხელს შეუწყობს საქართველოს ელექტროსისტემაში არსებული დანაკარგების შემცირებას და თუკი ქვეყანაში მოგვარებული იქნება ყველა მსხვილი გადამხდელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის სრულად გადახდის პრობლემა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მოსახლეობის მდგომარეობაც.

მრიცხველები, ჯერჯერობით, სააქციო საზოგადოება "ორიონში" მზადდება. არჩილ ფრანგიშვილის თქმით, მისი სერიული წარმოებისათვის დღეისათვის უფუნქციოდ დარჩენილი, გაჩერებული ქარხნების ამუშავებაც იქნება შესაძლებელი. გამომგონებელი მრიცხველის ღირებულებას არ აკონკრეტებს, თუმცა აცხადებს, რომ იგი სხვა ყველა მრიცხველზე იაფია.

აღსანიშნავია, რომ "ეგაასის" სისტემა აჭარაში 2000 წლის აპრილიდან ფუნქციონირებს და ამჟამად სამასამდე ობიექტზეა დამონტაჟებული. აჭარის ენერგოკომპანიის გენერალური დირექტორის გია თავაძის განცხადებით, შედეგი 100-პროცენტიანია და აღნიშნულ ობიექტებზე კომერციული დანაკარგები არ არსებობს.

პრეზენტაციაზე დასასწრებად არც ერთი იმ ობიექტის წარმომადგენელი არ გამოცხადდა, ვისთვისაც ახალი ტექნოლოგიაა განკუთვნილი. სემეკ-ში აცხადებენ, რომ ეს ლოგიკურია, რადგან "ეგაასის" დანერგვა ყოველგვარ გაყალბებას და ქურდობას გამორიცხავს. ეს კი მათ ინტერესში არ შედის. მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარის ელიზბარ ერისთავის განცხადებით, იმ ობიექტის ხელმძღვანელი, რომელიც "ეგაასის" წინააღმდეგი იქნება, ფაქტობრივად, დანაშაულში ამხელს თავს და ვალდებულია თანამდებობა დატოვოს.

კიდევ ერთი საყურადღებო გარემოება - "ეგაასის" მრიცხველები კარგა ხნის წინ, ჯერ კიდევ "ეი-ი-ესის" საქართველოში შემოსვლამდე იყო სერტიფიცირებული. არსებობს აღნიშნული პერიოდით დათარიღებული საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება და პარლამენტის დადგენილება, რომელთა საფუძველზეც ახალი ტექნოლოგია კარგა ხნის დანერგილი უნდა იყოს. არჩილ ფრანგიშვილის თქმით, მაშინ "ეგაასის" განხორციელება თანხების უქონლობის მომიზეზების გამო არ მოხდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ დღეისათვის, როცა ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მონაცემებით დანაკარგებმა 70 პროცენტზე მეტი შეადგინა, როცა მიღებულია გადაწყვეტილება, რომ შემოსავლებიდან მთლიანად ენერგოსისტემაზე ყოველთვიურად 30 ათასი ლარი უნდა დაიხარჯოს, როცა მსოფლიო ბანკი დარგისათვის 56 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კრედიტის გამოყოფაზე საუბრობს, აღნიშნული მიზეზი ვეღარ გამოდგება.

## საქართველო უახლოვდება ცივილიზებულ ინტერნეტ-სამყაროს

**"საქართველო უახლოვდება ცივილიზებულ ინტერნეტ-სამყაროს,"** - აცხადებს საქართველოს სარეკლამო ბანერების ქსელის "ბანერდოტს"-ის (BannerDots.com) ადმინისტრატორი კონსტანტინე დუგლაძე. მას ამის თქმის საფუძველს ის აძლევს, რომ უფასო ქსელში ჩვენებების რაოდენობამ თვეში უკვე მილიონს გადააჭარბა. ცხადია, რომ საქართველოში ინტერნეტი უკვე შეიძლება ჩაითვალოს მასმედიის საშუალებად.

ეს პროექტი მეორე წელია წარმატებით ხორციელდება. მასში ქართული საიტების აბსოლუტური უმრავლესობაა გაერთიანებული.

"ის ფაქტი, რომ ჩვენებების რიცხვი ძალზე სწრაფად იზრდება, მიუთითებს, რაოდენ წარმატებით ვითარდება ინტერნეტი საქართველოში და რაოდენ პერსპექტიულია ინტერნეტის სარეკლამო ბაზარი ჩვენს ქვეყანაში,"- უთხრა "პრაიმ-ნიუსს" დუგლაძემ. დუგლაძის თქმით, დასრულდა სისტემის განვითარების პირველი ეტაპი, რომელიც გულისხმობდა ქართული ინტერნეტ-რესურსების ერთიან სარეკლამო სივრცეში გაერთიანებას. მისივე თქმით, იწყება განვითარების მეორე ეტაპი, რომლის დროსაც მოხდება სპონსორებისა და სარეკლამო კომპანიების მოზიდვა.

აღნიშნულ სისტემაში ჩართვა შეუძლია ნებისმიერ საიტს, რომელსაც საწყის ეტაპზე უფასოდ ენიჭება ათასი კრედიტი, ანუ ათასი გამოჩენა სხვა ვებ-გვერდებზე. ამის შემდეგ საიტის კრედიტების გაზრდა ან შემცირება დამოკიდებულია უკვე მის პოპულარობაზე.

BannerDots-ი პერიოდულად, სადღესასწაულო დღეებში, ქსელში მონაწილე საიტებს ჩუქნის ბანერების ჩვენების ათასობით უფლებას.

*პრაიმ-ნიუსი*

## ამერიკის სავაჭრო პალატა პოლიტიკური შანტაჟის შეწყვეტისკენ მოგვიწოდებს

ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს მოუწოდებს, დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები იმ პოლიტიკური შანტაჟის შესაჩერებლად, რომელმაც საქართველოში თურქული და ბრიტანული ავიაკომპანიების რეისების შეწყვეტა გამოიწვია. ამერიკის სავაჭრო პალატა მიიჩნევს, რომ "პარლამენტის 2003 წლის 27 თებერვლის დადგენილება თურქული და ბრიტანული ავიახაზების ლიცენზიების გაუქმების შესახებ, ნათელი მაგალითია იმისა, რომ ქვეყანაში პირად ინტერესებს გაცილებით მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე ქვეყნის განვითარებასა და მის კეთილდღეობაზე ზრუნვას."

შეგახსენებთ, რომ "თურქიშ ეარლაინზისა" და "ბრითიშ ეარვეიზისათვის" რეისების განხორციელების უფლების შეჩერება ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის პრეტენზიებმა გამოიწვია. კერძოდ, საგადასახადო დეპარტამენტი "თურქიშ ეარლაინზს" გადასახადების სახით 17 მილიონ ლარს, ხოლო "ბრითიშ ეარვეიზს" - 13 მილიონ ლარს ედავება. დეპარტამენტის პრეტენზიებს ავიაკომპანიები არ ეთანხმებიან.

ამერიკის სავაჭრო პალატა მიიჩნევს, რომ ამ კომპანიების მიმართ გამოყენებული სანქციები გააუარესებს ბიზნეს-გარემოს და საინვესტიციო კლიმატს საქართველოში და ასეთი სახის ფინანსური დავები ბიზნესის საერთაშორისო ნორმებითა და საერთაშორისო იურიდიულ ორგანოებში უნდა წყდებოდეს.

*"24 საათი"*

## "უორლდკომს" თაღლითობა ნახევარი მილიარდი დაუჯდა

თორნიკე შარაშენიძე

გასული წლის კორპორაციული სკანდალების ერთ-ერთი "გმირი", წარსულში "უორლდკომად" ცნობილი კავშირგაბმულობის გიგანტი "ემ-სი-აი" ჯარიმის სახით 500 მილიონ დოლარს გადაუხდის იმ მოქალაქეებს, რომლებიც კომპანიის ფინანსური მაქინაციების გამო დაზარალდნენ. "უოლ სტრიტ ჯორნალის" ცნობით, აშშ-ს ფასიანი ქაღალდების კომისიამ ამის თაობაზე გარიგებას მიაღწია კავშირგაბმულობის გიგანტთან, რომელმაც შარშან, "ენრონთან" და "ანდერსენთან" ერთად, მთელი საქმიანი სამყარო ყირაზე დააყენა. თუმცა,"ემ-სი-აის" კიდევ აქვს შანსი. კომპანიამ შარშან მე-11 მუხლს "შეაფარა თავი" (აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საკამათო კანონი, რომელიც კორპორაციებს საშუალებას აძლევს, ბანკროტად თავის გამოცხადებასთან ერთად, გარკვეული ვადის განმავლობაში არ გადაიხადონ დავალიანებები და თუკი ვადის გასვლის შემდეგ კორპორაციამ მევალეები გაისტუმრა, იგი გაკოტრებას გადაურჩება) და მას შემდეგ რესტრუქტურიზაციას ატარებს. მუხლის მოქმედების გასვლის შემდეგ "ემ-სი-აის" 500 მილიონის გადახდა მოუწევს. ჯარიმა თავიდან 1,5 მილიარდით განისაზღვრა, მაგრამ ბანკროტად თავის გამოცხადების შემდეგ კავშირგაბმულობის გიგანტს გარკვეული შეღავათები მიეცა და გადასახდელი თანხის მოცულობა სამჯერ შემცირდა.

"უორლდკომის" საქმე შარშან, ივნისში გასკდა. როგორც აღმოჩნდა, კომპანიამ გვარიანად გააყალბა თავისი საბუღალტრო ანგარიშები და ფინანსური მონაცემები. კომპანიას არც ისე კარგად მიუდიოდა საქმე, მაგრამ ამის გახმაურება, ცხადია, ერთობ უარყოფითად იმოქმედებდა აქციების ფასზე. ამიტომ "უორლდკომმა" გაბერა თავისი მიღწევები და აქციონერებს ზღაპრული რიცხვები შესთავაზა არც ისე სახარბიელო რეალური სურათის ნაცვლად. ამან კომპანიის აქციები გაამყარა, მაგრამ სიმართლე არ დაიმალა, სიძნელეებმა კომპანიას მაინც უწია და ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, თაღლითობა ეღიარებინა. ამას ბანკროტად თავის გამოცხადება, ახალი ხელმძღვანელობის მოსვლა და სახელის გადაკეთება მოჰყვა: აშკარა იყო, რომ "უორლდკომი" უკვე არც ისე სასურველ ასოციაციებს აღძრავდა, ამიტომ კომპანიამ ახალი სახელი - "ემ-სი-აი" დაირქვა.

როგორც ცნობილი გახდა, რეფორმირებული "ემ-სი-აი" საკმაოდ ეფექტურად მუშაობს და მან, წესით, ჩვეული პოზიციები მალე უნდა დაიბრუნოს. კომპანიის ყოფილ თავკაცებს კი ასეთი კარგი მომავალი არ ელით. "უორლდკომის" მთავარი აღმასრულებლის ბერნი ებერსის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ებერსს ნაბრძანები აქვს, "ემ-სი-აის" დაუბრუნოს 25 მილიონი დოლარი, რომელიც მან ადრე თავისი ყოფილი კომპანიისგან "ისესხა" და, ცხადია, აღარ დაუბრუნებია. თუკი ებერსმა "სესხი" ნაღდი ფულით არ აანაზღაურა, ვალში მისი ქონება გაიქვითება. კერძოდ, უკვე 15 მილიონად გაიყიდა ებერსის კუთვნილი იახტების სამშენებლო ბიზნესი. დარჩენილი 10 მილიონის გასაქვითად დღის წესრიგში დგას ებერსის ვილის გაყიდვა.

## მოკლედ

**თბილისი.** ბიუჯეტის დეფიციტთან დაკავშირებით, რაც ამჟამად თითქმის 100 მილიონს შეადგენს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იძულებულია, მიმდინარე წლის 1 ივნისიდან საბიუჯეტო ხარჯები 85 მილიონი ლარით შეამციროს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**სოხუმი.** ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ტორნბენ ჰოლცემ სოხუმში ყოფნისას განაცხადა, რომ ევროკავშირი ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციისათვის თანხებს გამოყოფს. აღდგენითი სამუშაოები სამი წლის შემდეგ დასრულდება, რაც აფხაზეთის ელექტროენერგიით სტაბილურად მომარაგების შესაძლებლობას შექმნის. "ევროკავშირი მზად არის, აფხაზეთის მოსახლეობას, განსაკუთრებით, სოციალურად დაუცველ ფენებს ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში დაეხმაროს", - აღნიშნა ტორნბენ ჰოლცემ. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ვარაზისხევში გამავალ გაზსადენზე მომხდარი ავარიის გამო, გუშინ ვაკისა და ვერის მოსახლეობის ნაწილს გაზმომარაგება დროებით შეუწყდა. დაზიანების შედეგად, მილსადენიდან აირის დიდმა მოცულობამ გამოჟონა. "თბილგაზმა" უკვე დაასრულა აღდგენითი სამუშაოები ავჭალის დასახლებაში გამავალ დაზიანებულ მილსადენზე. გამოცვლილია მილსადენის 120-მეტრიანი მონაკვეთი, რომელიც ჭაობზე გადიოდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ სახელმწიფო მინისტრ ავთანდილ ჯორბენაძესთან დახურულ კარს მიღმა გაიმართა "ეი-ი-ეს თელასსა" და მთავრობას შორის არსებული პრობლემების გადაჭრის მიზნით შექმნილი შემთანხმებელი კომისიის სხდომა. როგორც სხდომის შემდეგ დედაქალაქის მერმა ვანო ზოდელავამ და „ეი-ი-ეს თელასის" გენერალურმა დირექტორმა იგნასიო ირიბარენმა განაცხადეს, მიღწეულია შეთანხმება „თბილწყალკანალისადმი" "ეი-ი-ეს თელასის" დავალიანების დაფარვის თაობაზე. რაც შეეხება დანარჩენ სადავო საკითხებს, რომელთა შორისაა თბილისში მცხოვრები სხვადასხვა კატეგორიის ვეტერანებისათვის "ეი-ი-ეს"-ის მიერ შეჩერებული შეღავათის აღდგენა, ფასების სახელმწიფო ინსპექციის მიერ „ეი-ი-ეს თელასისათვის" დარიცხულ 96-მილიონიანი ჯარიმისა და სხვა საკითხები, მათ თაობაზე შეთანხმება მიღწეული არ არის. **მედია-ნიუსი**

## მონიტორინგი

### სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

ოპერატიული ინფორმაცია 22 მაისისთვის

მილიონ ლარებში

| დასახელება | ექვსი თვის პროგნოზი | შესრულება | % | 21 მაისი |
|---|---|---|---|---|
| სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები | 529.80 | 325.47 | 61% | 2.52 |
| ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები | 385.09 | 231.29 | 60% | 2.00 |
| საგადასახადო შემოსავლები | 310.64 | 196.91 | 63% | 1.97 |
| სოციალური ფონდი | 116.81 | 80.60 | 69% | 0.51 |
| საგზაო ფონდი | 24.05 | 13.72 | 57% | 0.02 |
| დეფიციტის დაფინანსება | 118.66 | 80.99 | 68% | -0.24 |

სპს "დვალიძე, ვარშალომიძე, ნოდიძელი და ქავთარაძე"
სამართლებრივი, საფინანსო და მართვის კონსულტაციები
www.dvnk.ge

# მიწისძვრა ალჟირში

პირველი გვერდიდან

ყველაზე მეტად ალჟირიდან 30 კილომეტრით დაშორებული ქალაქი რუიბა დაზარალდა. ქალაქის თითქმის ყველა შენობა ნანგრევებად იქცა. ასზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

"ამხელა უბედურება ცხოვრებაში არ მინახავს. ყველაფერი განადგურდა," – განუცხადა "როიტერის" კორესპონდენტს ამ ქალაქის მკვიდრმა, იაზიდ ხელფაუიმ, რომელმაც მიწისძვრის შედეგად დედა დაკარგა.

მიწისძვრა საღამოს 7:44-ზე მოხდა, როდესაც მოსახლეობის უმეტესობა სახლებში იმყოფებოდა.

ადგილობრივმა ტელევიზიამ აჩვენა ქუჩებში დასვენებული ათეულობით ცხედარი, რომლებსაც ზეწრები ჰქონდათ გადაფარებული. "იმდენი დაჭრილია, რომ ვეღარც ვითვლით," – განაცხადა სასოწარკვეთილმა ექიმმა. საავადმყოფო ხალხითაა გარშემორტყმული, რომლებიც თავიანთი ნათესავების ამბის გაგებას ცდილობენ. "ჩემი ძმის ნახვა მინდა. გამაგებინეთ, ცოცხალია თუ მკვდარი," - მოთქვამდა ახმედი ალჟირის ცენტრალური საავადმყოფოს წინ.

50-მდე ადამიანი დაიღუპა ქალაქ ბუმერდესში. ქალაქში დაინგრა საავადმყოფოს შენობაც.

"ერთადერთი, რაც ამაღამ შეგვიძლია გავაკეთოთ, ეს ნანგრევებში მოყოლილი ადამიანების გადარჩენაა, – განაცხადა ტელევიზიით გამოსვლისას პრემიერ-მინისტრმა, – რაც მოხდა, უბედურებაა მთელი ალჟირისათვის".

პირველი ბიძგებისთანავე, ხელისუფლებამ ხალხს მოუწოდა, დაეტოვებინა სახლები და ქუჩაში გამოსულიყო.

ამან ახალი პრობლემა შექმნა: მაროდიორობა. მასთან საბრძოლველად მთავრობა იძულებული გახდა, ქუჩებში უსაფრთხოების დამატებითი ძალები გამოეყვანა.


ნანგრევებში მოყოლილ ადამიანებს ჯერ კიდევ ეძებენ.

მიწისძვრა სულ რამდენიმე წამი გაგრძელდა, თუმცა მომდევნო ბიძგები კიდევ ორი საათის მანძილზე გრძელდებოდა. სეისმოლოგებმა 200 ბიძგი დააფიქსირეს. მიწისძვრის გამეორებას ისინი არ გამორიცხავენ.

აშშ-ს მიწისძვრების საინფორმაციო ცენტრის ცნობით, მიწისძვრის ეპიცენტრი ალჟირიდან 70 კილომეტრის დაშორებით, მიწის ზედაპირიდან 10 კილომეტრის სიღრმეში მდებარეობდა.

ინსტიტუტის წარმომადგენლის განცხადებით 1980 წლის მერე ჩრდილოეთ აფრიკაში ეს ყველაზე ძლიერი მიწისძვრაა. მაშინ, 7,7 ბალიან მიწისძვრას 4400 ადამიანი შეეწირა. 1994 წლის მიწისძვრის შემდეგ 150 ათასი ადამიანი უსახლკაროდ დარჩა.

მაღრიბის რეგიონში, რომელიც ალჟირსა და ტუნისს მოიცავს, აფრიკული და ევროპული კონტინენტური შელფები ხვდება ერთმანეთს, ამიტომ რეგიონი გეოლოგიურად უკიდურესად არასტაბილურად ითვლება.

*როიტერი, ბი-ბი-სი*

# ალ-ზავაჰირმა მუსულმანებს ტერორის გაძლიერებისკენ მოუწოდა

ლევან ღირსიაშვილი

კატარის არაბულენოვანმა ტელეკომპანია "ალ-ჯაზირამ" "ალ-ქაიდას" ლიდერის ოსამა ბინ ლადენის მოადგილის აიმან ალ-ზავაჰირის აუდიოჩანაწერი გადასცა. ალ-ზავაჰირი მუსულმანებს, კამიკაძეთა გამოყენებით, ტერორისტული აქტების გაგრძელებისკენ მოუწოდებს. მისი თქმით, **"ჯვაროსნებს და ებრაელებს მხოლოდ სიკვდილის ენით უნდა ელაპარაკო."** ტელეკომპანია "ალ-ჯაზირას" განცხადებით, გაურკვეველია, თუ როდის არის აუდიოჩანაწერი გაკეთებული. ალ-ზავაჰირი მისდამი დაქვემდებარებულ ტერორისტებს სამიზნეებსაც უკონკრეტებს. ის მათ მოუწოდებს, დარტყმები აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, ავსტრალიის და ნორვეგიის საელჩოებსა და საწარმოებზე განახორციელონ. **"მათ ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს,"** - იმუქრება ბინ ლადენის უახლოესი თანამებრძოლი. მიუხედავად იმისა, რომ გაურკვეველია, თუ რატომ მოხვდა ნორვეგია "ალ-ქაიდას" მტრების სიაში, ამ განცხადების შემდეგ აშშ-მ ამ ქვეყანაში თავისი საელჩოს მუშაობა შეაჩერა.

ალ-ზავაჰირის რისხვის და მუქარის საგნად ის არაბული სახელმწიფოებიც იქცნენ, რომელთაც ერაყში ამერიკელების შეჭრას მხარი დაუჭირეს.

აიმან ალ-ზავაჰირი ეგვიპტელია. ის ერთ დროს თვალის ექიმად მუშაობდა. 1990-იან წლებში მან რადიკალური ისლამური დაჯგუფება დააარსა და ეგვიპტის ხელისუფლების ხელში ჩაგდებას შეეცადა. ამავე პერიოდში, ის დაუკავშირდა ოსამა ბინ ლადენს და მისი უახლოესი თანამებრძოლი და მრჩეველი გახდა. ბინ ლადენის სიკვდილის შემთხვევაში, "ალ-ქაიდას" ლიდერად სწორედ ალ-ზავაჰირს განიხილავენ. ამდენად, მის მოწოდებას ტერორისტებისათვის, ბინ ლადენის გამოსვლაზე არანაკლები ეფექტი გააჩნია.

აშშ-ს ადმინისტრაციამ უკმაყოფილება და შეშფოთება გამოთქვა "ალ-ჯაზირას" ეთერში ამ აუდიოჩანაწერის გაშვების გამო. სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა კატარის საგარეო საქმეთა მინისტრთან საუბარში ამის თაობაზე პროტესტიც კი გამოხატა.

პარალელურად, აშშ-ს სპეცსამსახურები აშშ-ს ტერიტორიაზე მასშტაბური ტერაქტების განხორციელების საფრთხეს უკვე სერიოზულად განიხილავენ. ამის თაობაზე იუწყება ლონდონში გამომავალი არაბულენოვანი გაზეთი "ალ-შარქ ალ-ავსათი", რომელიც აშშ-ს მაღალჩინოსნის ინფორმაციას ეყრდნობა. გაზეთის ცნობით, გამოძიების ფედერალურმა ბიურომ სხვა მტკიცებულებებთან ერთად ორი ელექტრონული წერილიც ჩაიგდო ხელში. ერთ-ერთი წერილის თანახმად, სულ მალე აშშ-ს აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ორ ქალაქში – ბოსტონსა და ნიუ-იორკში მასშტაბური ტერაქტი განხორციელდება. ტერორიზმთან ბრძოლის ექსპერტების განცხადებით, ეს წერილი უცხოელის დაწერილია. წერილში ნათქვამია, რომ ამ ქალაქებში მცხოვრებმა მუსულმანებმა 48 საათის განმავლობაში უნდა დატოვონ ტერიტორია. გამოძიების ფედერალურ ბიუროს ხელში ჩაუვარდა მეორე წერილიც, რომლის თანახმადაც ტერაქტი მოსალოდნელია თავად აშშ-ს დედაქალაქში.

სპეციალისტების განცხადებით, ორივე წერილი საკმაოდ გაურკვეველი წარმოშობისაა და არ შეიძლება, რომ სერიოზულ მტკიცებულებად იქნას განხილული. თუმცა, ამის გარეშეც აშშ-ს ხელისუფლებას უსაფრთხოებაზე ზრუნვა არ აკლია. იქ გუშინწინ წინასაგანგაშო მდგომარეობა გამოაცხადეს.

# მოსკოვმა, პარიზმა და ბერლინმა აშშ-ს დაუჭირეს მხარი

*გაერო-ს უშიშროების საბჭომ ამერიკისა და მისი მოკავშირეების მიერ შემუშავებულ რეზოლუციას მხარი დაუჭირა და ერაყს დაწესებული სანქციები მოუხსნა.*

საფრანგეთის, რუსეთისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრებმა 21 მაისს განაცხადეს, რომ ისინი გაერო-ს უშიშროების საბჭოში მხარს დაუჭერენ რეზოლუციას, რომელიც ერაყს 12 წლის წინ დაწესებულ სანქციებს მოუხსნის.

უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს საშუალებას მისცემს, ერაყის ეკონომიკა და იქ მიმდინარე პოლიტიკური პროცესები გააკონტროლონ, სანამ ერაყში საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული მთავრობა არ ჩამოყალიბდება.

პარიზში შეხვედრისას საფრანგეთის, რუსეთისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრებმა, რომლებიც ერაყში ომს ეწინააღმდეგებოდნენ, განაცხადეს, რომ შეერთებული შტატების ომისშემდგომ გეგმებს მხარს დაუჭერენ იმის მიუხედავად, რომ ერაყის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში გაერო-სთვის მინიჭებულ შეზღუდულ როლს არ ეთანხმებიან.

"მართალია, ტექსტი მთლიანად ისე არ არის შედგენილი, როგორც გვსურს, მაგრამ ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ, ხმა მივცეთ რეზოლუციას", - განაცხადა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დომინიკ დე ვილპენმა პრესკონფერენციაზე, რომელსაც გერმანიისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრებიც ესწრებოდნენ. "ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის გაერთიანების გზა ავირჩიეთ".

ამ განცხადებების შემდეგ ნათელი გახდა, რომ მოკავშირეების მიერ შემუშავებულ რეზოლუციას 15-წევრიან უშიშროების საბჭოში წინააღმდეგობა არ შეხვდებოდა. ერაყის ომის მოწინააღმდეგეების მიერ ამერიკისათვის მხარდაჭერა მიმომხილველებმა ბუშის ადმინისტრაციის მნიშვნელოვან დიპლომატიურ გამარჯვებად შეაფასეს.

ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა თქმით, სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა ფრანგ, რუს და გერმანელ კოლეგებთან საბოლოო შეთანხმებას სატელეფონო საუბრების დროს მიაღწია.

შვიდგვერდიანი რეზოლუცია ერაყის სანავთობო ინდუსტრიაზე გაერო-ს კონტროლის უფლებას შეერთებულ შტატებსა და მის მოკავშირეებს ავტომატურად გადააბარებს. ამერიკელების მტკიცებით, ნავთობიდან მიღებული შემოსავლები ქვეყნის რეკონსტრუქციას, ერაყის სამოქალაქო ადმინისტრაციის შენახვას, ერაყის საბოლოო განიარაღებასა და "ერაყელი ხალხის სიკეთეს" მოხმარდება.

ერაყის სანავთობო შემოსავლები ერაყის განვითარების ფონდში ჩაირიცხება, რომელსაც ამერიკელი ჩინოვნიკი უხელმძღვანელებს. შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი აუდიტორს შეარჩევენ, რომელიც ფონდის მიერ გაწეულ დანახარჯებს მკაცრად გააკონტროლებს. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ფონდში აკუმულირებული თანხები ერაყის საგარეო ვალის დასაფარად არ იქნება გამოყენებული მანამ, სანამ შეერთებული შტატები ერაყის მართვას საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ ერაყის მთავრობას არ გადასცემს.

რეზოლუცია ამერიკის მიერ ერაყის უშუალო მართვას ლეგიტიმურობას შესძენს და საშუალებას მისცემს ვაშინგტონს, რომ "ერაყელი ხალხის კეთილდღეობას ხელი შეუწყოს". რეზოლუციის მიღების შემდეგ, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებსა და ქვეყნებს საშუალება აქვთ, ერაყის რეკონსტრუქციაში მონაწილეობა მიიღონ, მათ შორის, იმათაც, ვინც ომს ეწინააღმდეგებოდა.

მხარდაჭერის მოსაპოვებლად, შეერთებულმა შტატებმა გაერო-ს შეზღუდული როლი დაუტოვა. გენერალურ მდივან კოფი ანანს უფლება აქვს, რომ გაერო-ს მიერ გაწეული საფინანსო და ჰუმანიტარული დახმარების გასაკონტროლებლად სპეციალური წარმომადგენელი დანიშნოს. კოფი ანანის წარმომადგენელი ერაყის მთავრობის ჩამოყალიბების პროცესშიც ჩაერთვება. პაუელმა მოუწოდა ანანს, რომ ამ პოსტზე ბრაზილიელი დიპლომატი სერჟიო ვიერა დე მელო დანიშნოს, რომელიც ამჟამად ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში გაერო-ს უმაღლესი კომისარია. გაერო-ს მხრიდან სწორედ დე მელო ხელმძღვანელობდა აღმოსავლეთ ტიმორის დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესს.

საფრანგეთი და რუსეთი ბოლო დღეებამდე ცდილობდნენ, რომ რეზოლუციის შინაარსი შეცვლილიყო, რათა ერაყის ნავთობის ინდუსტრია გაერო-ს გაეკონტროლებინა და აღდგენით სამუშაოებზე ზედამხედველობაც მას განეხორციელებინა.

მართალია, შეერთებულმა შტატებმა რეზოლუციის ძირითადი პუნქტები არ შეცვალა, მაგრამ რეზოლუციის პროექტში 90 შესწორება მაინც შეიტანა, რათა უშიშროების საბჭოს დანარჩენი წევრების ინტერესები დაეკმაყოფილებინა. ამერიკელები პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დაჟინებულ მოთხოვნას დაეთანხმნენ, რომლის თანახმად, უშიშროების საბჭო რეზოლუციის შედეგებს 12 თვის შემდეგ განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს.

დომინიკ დე ვილეპენმა განაცხადა, რომ იგი რეზოლუციის შინაარსით კმაყოფილია, რადგან ის გაერო-ს "ხელშესახებ და დამოუკიდებელ" როლს ანიჭებს.

შეერთებული შტატები დათანხმდა გაერო-ს მოთხოვნას, რომ ომის დაწყებამდე "სურსათი ნავთობის სანაცვლოდ" პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ყველა კონტრაქტი შესრულდება. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი კონტრაქტის თანახმად, რუსეთმა ერაყს უახლოესი თვეების განმავლობაში 4 მილიარდი ამერიკული დოლარის ოდენობის საქონელი უნდა მიაწოდოს.

შეერთებულმა შტატებმა ასევე ნება დართო გაერო-ს ინსპექტორებს, ერაყის შემოწმება გააგრძელონ. რუსეთი და საფრანგეთი მოითხოვდნენ, რომ ერაყში ჯერ ინსპექტირება დასრულებულიყო და შემდეგ მოეხსნათ სანქციები.

# ავღანური ოპიუმი - მსოფლიოს თავისტკივილი

ლევან ღირსიაშვილი

პარიზში ორდღიანი საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა, რომელშიც 50-ზე მეტი ქვეყნის ოფიციალური წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას. კონფერენცია ავღანეთში წარმოებული ოპიუმის და ჰეროინის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლას ეძღვნება. აღსანიშნავია, რომ 2001 წელს ავღანეთში თალიბთა რეჟიმის დამხობამ, ნარკოტიკების მოყვანა და წარმოება ავღანეთში არა თუ შეამცირა, არამედ მკვეთრად გაზარდა. ექსპერტთა შეფასებით, ოპიუმის და ჰეროინის წარმოების მოცულობის შემცირებას ავღანეთში რამდენიმე წელი მაინც დასჭირდება.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროპაში შეტანილი ნარკოტიკების უდიდესი წილი ავღანეთში წარმოებულ ნივთიერებებზე მოდის, ევროპის ქვეყნების შეშფოთებაც გასაგები ხდება. ავღანეთში ნარკოტიკების წარმოებასთან ბრძოლის ინიციატივით, რამდენიმე ხნის წინ საფრანგეთის ხელისუფლება გამოვიდა და ამ გლობალურ პრობლემას მასშტაბური კონფერენციაც მიუძღვნა. ამჯერად, პარიზი ასეთ კონფერენციას მეორედ მასპინძლობს.

კონფერენციის მონაწილეებს განზრახული აქვთ, ნარკოტიკების გადამზიდავი და იმპორტიორი ქვეყნების თაობაზე ღიად ისაუბრონ. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ავღანეთში ნარკოტიკების წარმოების შემცირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას სწორედ სატრანზიტო ქვეყნებში ამ ტვირთების გადამზიდავი ჯგუფებისათვის დარტყმის მიყენება წარმოადგენს.

ექსპერტული შეფასებების თანახმად, ამჟამად სამ მილიონზე მეტი ავღანელის საარსებო საშუალებას სწორედ ოპიუმის ყაყაჩოს კულტივირება წარმოადგენს. 2002 წელს, ავღანეთში ყაყაჩოს მოსავალმა 3,5 ათასი ტონა შეადგინა. ნარკოტიკების წარმოება ავღანეთში, ფაქტობრივად, ეროვნული ეკონომიკის ძირითად დარგს წარმოადგენს. ევროკავშირმა და, კერძოდ, დიდმა ბრიტანეთმა ავღანეთში გრძელვადიანი პროექტების განხორციელება დაიწყო, რომლის მიზანსაც ავღანელი ფერმერების სხვა სფეროებში დასაქმება წარმოადგენს.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ნარკოტიკებზე საკმაოდ დიდი მოთხოვნილება არსებობს. ყველასათვის ცხადია, რომ ვიდრე არსებობს მოთხოვნა, იარსებებს მიწოდებაც. ეს მოთხოვნა კი, აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის ქვეყნებში, რუსეთსა და შუა აზიაში უფრო და უფრო იზრდება.

ამდენად, კონფერენციის მონაწილეები პრობლემის სამ ძირითად ფაქტორზე გაამახვილებენ ყურადღებას. ეს ფაქტორებია: ავღანეთში მოსახლეობის სხვა სფეროებში დასაქმებისათვის ხელშეწყობა და დაფინანსება, სატრანზიტო და იმპორტიორ ქვეყნებში ნარკობარონებთან ბრძოლა და გადაზიდვის გზების ჩაკეტვა და მესამე, აქტიური კამპანია ნარკოტიკების მოხმარების შემცირების მიზნით.

**"ცალკეულმა ქვეყნებმა უნდა გააცნობიერონ, რომ მათ ქცევას საერთაშორისო თანამეგობრობა გულდასმით აკვირდება. უმოქმედობის ფასი საკმაოდ მაღალი იქნება,"** - განაცხადა კონფერენციის გახსნისას საფრანგეთის წარმომადგენელმა.

# დაეწევა თუ არა ჩინეთი ამერიკას?

პირველი გვერდიდან

დღეს აშშ-ს უმთავრეს სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს, არ დაუშვას ისეთი ქვეყნის ან ქვეყანათა ჯგუფის აღმოცენება, რომელიც აშშ-ს გლობალურ ჰეგემონიას საფრთხეს შეუქმნის. ამიტომ, ჩინეთის მზარდი ძლიერების შესახებ ცნობები ამერიკაში დიდ რეზონანსს იწვევს.

"საბჭოს მიერ შედგენილი მოხსენების მთავარი მიზანი ისაა, რომ დამოუკიდებლად გააანალიზოს ჩინეთის სამხედრო მოდერნიზაციის პროგრამა, რათა თავიდან აიცილოს ამ ქვეყნის სამხედრო ძლიერების გადაჭარბებული შეფასება, რაც საბჭოთა კავშირთან მიმართებაში ხშირად ხდებოდა", – განაცხადა საბჭოს პრეზიდენტმა ლეს გელბმა.

საგარეო ურთიერთობათა საბჭოს დოკუმენტი შეიმუშავა ექსპერტთა ჯგუფმა, რომელსაც აშშ-ს ყოფილი თავდაცვის მინისტრი ჰაროლდ ბრაუნი და აშშ-ს წყნარი ოკეანის ფლოტის ყოფილი სარდალი ჯოზეფ პრუერი ხელმძღვანელობდნენ.

მათი აზრით, ჩინეთი ამჟამად შორსგამიზნულ სამხედრო მოდერნიზაციის პროგრამას ახორციელბს. ამ მიზნით დახარჯული თანხები ქვეყნის ოფიციალურ სამხედრო ბიუჯეტს ორ-სამჯერ მაინც აღემატება.

მაგრამ, ჩინეთი სამხედრო ტექნოლოგიებისა და ძლიერების თვალსაზრისით, ამერიკას მინიმუმ ოცი წლით ჩამორჩება. თუ აშშ თავისი შეიარაღებული ძალების სათანადო ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფას გააგრძელებს, სასწორი ამერიკასა და ჩინეთს შორის კიდევ დიდი ხნის მანძილზე იქნება გადახრილი ვაშინგტონის სასარგებლოდ.


წითელი ჩინეთი.

მით უმეტეს, რომ ჩინეთს ახლო მომავალში რამდენიმე მწვავე საშინაო პოლიტიკური პრობლემა ელის. ატიპური პნევმონიის გავრცელება, ექსპერტების აზრით, მხოლოდ მინიშნებაა იმ საფრთხეზე, რომელიც ჩინეთს, ჯანდაცვის განუვითარებელი სისტემის გამო ემუქრება. მეორე დიდ საფრთხეს უმუშევრობის ზრდაში ხედავენ, რაც სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული ეკონომიკიდან კერძო მეწარმეობაზე გადასვლას თითქმის ყოველთვის თან სდევს. კიდევ ერთ შესაძლო გამოწვევას ხელისუფლების მემკვიდრეობითობის საკითხი წარმოადგენს.

ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობაში განხეთქილების ვაშლს ტაივანის საკითხი წარმოადგენს. იურიდიულად, კუნძული ჩინეთის სახელმწიფოს ნაწილია, რეალურად კი იგი დამოუკიდებელია. კუნძულის ფაქტობრივ სუვერენიტეტს წყნარ ოკეანეში დისლოცირებული აშშ-ს ფლოტი უზრუნველყოფს.

მოხსენების თანახმად, ჩინეთს შეიარაღებული ძალების მოდერნიზაცია საშუალებას მისცემს, "აიძულოს ტაივანი, გადაწყვეტილებების მიღებისას სულ უფრო მეტი ანგარიში გაუწიოს პეკინს". უახლოეს ოც წელიწადში ჩინეთის უნარი, "დააშინოს" ტაივანი, კიდევ უფრო გაიზრდება.

თუმცა, მოხსენების ავტორების მტკიცებით, ტაივანზე ამერიკა-ჩინეთის ჰიპოთეტური კონფლიქტის შემთხვევაში, ამერიკელები მოწინააღმდეგეს იოლად დაამარცხებენ.

## მოკლედ

### "თამილის ვეფხვებმა" სამშვიდობო მოლაპარაკებები შეწყვიტეს

"თამილის ვეფხვების" პოლიტიკურმა ფრთამ შრი-ლანკის ხელისუფლებასთან წარმოებულ მოლაპარაკებებს "დროის ფლანგვა" უწოდა.

გუშინ "თამილის ვეფხვების" წარმომადგენელმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში განაახლებენ მოლაპარაკებებს, თუ ცენტრალური ხელისუფლება ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში დროებითი ადმინისტრაციის ჩამოყალიბებას დათანხმდება. თუმცა, მან ხაზგამსით აღნიშნა, რომ "ვეფხვები" ომს არ განაახლებენ.

მოლაპარაკებების წინა რაუნდების დროს "თამილის ვეფხვებმა" დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნაზე უარი თქვეს და შრი-ლანკის შემადგენლობაში ფართო ავტონომიას დასჯერდნენ. 1983 წლიდან დაწყებულ სამოქალაქო ომს 65 000 ადამიანი შეეწირა.

"თამილის გამათავისუფლებელმა ვეფხვებმა" საგანგებო პრესკონფერენცია კილნოჩში, ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში მოიწვიეს, რათა საერთაშორისო თანამეგობრობისათვის თავიანთი პოზიცია აეხსნათ.

"ჩვენ ვთვლით, რომ მოლაპარაკებები ფუჭი იყო. მოლაპარაკებების ექვსი რაუნდის განმავლობაში ურთიერთგაგებას ვერ მივაღწიეთ", - განაცხადეს "ვეფხვებმა".

### რუსები ჩეხეთში ატიპური პნევმონიის შემთხვევის შესახებ იუწყებიან

რუსეთის მასმედიის მიერ გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჩეხეთში ატიპური პნევმონიის შემთხვევა დაფიქსირდა. ინფექცია პრაღის მთავარ საავადმყოფოში მოთავსებულ 25 წლის მოქალაქეს დაუმტკიცდა, რომელიც ჩეხეთში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან ჩამოვიდა. რუსეთის მასმედია იუწყება, რომ ამის თაობაზე პრაღის რადიომ გამოაცხადა. ჩეხეთის ჯანდაცვის სამინისტროს პრესმდივნის განცხადებით, დიაგნოზი ჯერ დაზუსტებული არ არის, მაგრამ ექიმები ატიპური პნევმონიის ინფექციას არ გამორიცხავენ.

# „ნაღდი გურულები" პარლამენტში



*მოზარდი გურულები პარლამენტის მისადგომებთან.*

*"რაიონებში ასაღორძინებელი აღარაფერი დარჩა და მაინტერესებს, რის აღორძინებაზე საუბრობთ? ძალიან მწვავედ დგას რაიონებში მიგრაციის პრობლემაც - ახალგაზრდობა მასიურად გარბის სოფლებიდან. ბოლო პერიოდში გურიაში არც ერთი მასშტაბური კულტურული ღონისძიება არ ჩატარებულა," - ამ ბრალდებით მიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის თავმჯდომარეს, ნუგზარ ნავაძეს 12 წლის ჯაბა გველებიანმა. გუშინ პარლამენტს საქმიანი ვიზიტით 18 "ნაღდი გურული" სტუმრობდა. ეს შეფასება მათ იმ კომიტეტების თავმჯდომარეებმა მისცეს, რომლებიც გურული მოზარდების მოთხოვნებს, შენიშვნებსა და თხოვნებს ისმენდნენ.*

თამარ დვალი

ოზურგეთის "ახალგაზრდა თვითმმართველობის კლუბი" 1997 წელს დაარსდა. მასში 13-დან 17 წლამდე ბავშვები არიან გაერთიანებულები. როგორც თავად ამბობენ, მათი ძირითადი მიზანია ქალაქის პრიორიტეტული პრობლემების წინ წამოწევა და მათ მოგვარებაში ახალგაზრდობის ჩაბმა. "ჩვენ გვინდა, საზოგადოებამ დაინახოს, რომ ახალგაზრდობა ინდიფერენტული არ არის და რეალურად იბრძვის თავისი მომავლის გასაუმჯობესებლად. ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციის, ურბანული ინსტიტუტის დახმარებით, ჩვენს თანატოლებში გამოკითხვა ჩავატარეთ და გაირკვა, რომ მათ ყველაზე მეტად ეკოლოგიის, დენის, წყლის და მიგრაციის პრობლემა აწუხებთ. ხშირად ვაწყობთ შეხვედრებს ადგილობრივ თვითმმართველობასთან. თუკი უფროსების მოთხოვნებს ისინი აგრესიულად ხვდებიან, ჩვენ უფრო მეტ ანგარიშს გვიწევენ", - გვითხრა კლუბის 16 წლის პრეზიდენტმა ანა ბაქანიძემ.

გურული მოზარდები რაიონში ცხოვრების გაუმჯობესებას საზოგადოების გააქტიურებით ცდილობენ. ისინი ყველაზე დიდ მიღწევად მიიჩნევენ ბავშვების უფლებებზე მომზადებულ თავიანთ პირველ გადაცემას, რომლის ეთერში გასვლის შემდეგაც სკოლის სახელმძღვანელოებში დეკლარაციები დაიბეჭდა. სატელევიზიო გადაცემების მომზადების გარდა, ისინი ყოველთვიურ გაზეთ "8+1"-საც გამოსცემენ.

"ჩემი სურვილია, თითოეულმა ადამიანმა იცოდეს, თუ რისი უფლება აქვს მას კონსტიტუციით მინიჭებული. გამგეობის წევრები ყველა მნიშვნელოვან შეკრებაზე გვიწვევენ და ჩვენ აზრს ითვალისწინებენ. ეს კი უკვე დიდ მიღწევად მიმაჩნია. პარლამენტს ტელევიზორიდანაც ვიცნობდი, აქ პარლამენტარების შესაქებად სულაც არ მოვსულვარ. მათ ჩემი მეგობრების პრობლემები გავაცანი და მივიღე პასუხები იმ კითხვებზე, რომლებიც გურულებს აწუხებთ. მიხარია, რომ ვიღაცას ჩვენი აზრი აინტერესებს და ვიღაც "ყურებს იბერტყავს,"- გვითხრა ჯაბა გველესიანმა.

ადგილობრივი თვითმმართველობის, განათლებისა და კულტურის კომიტეტების თავმჯდომარეები მოზარდებთან ასეთ დისკუსიას ნამდვილად არ ელოდნენ. "ახლანდელი ახალგაზრდობა იმაზე უფრო ადრეულ ასაკში ემზადება ცხოვრებისათვის, ვიდრე ძველი თაობა; ძალზე აქტიურები არიან და ისეთ შინაარსიან კითხვებს სვამენ, რომ დიდსაც გაუჭირდება, პრობლემას ასე სიღრმისეულად ჩაწვდეს. რაც ამ კომიტეტის თავმჯდომარე ვარ, ჯერ ამ ასაკის ბავშვებს არ შევხვედრივარ", - გვითხრა ადგილობრივი თვითმმართველობის კომიტეტის თავჯმდომარემ ნუგზარ ნავაძემ.

# სახალხო სხდომაც ჩაიშალა

## ზოდელავა კარის აჭედვას გადაურჩა

ზაზა ფაჩუაშვილი

*გუშინ თბილისის საკრებულოს სხდომათა დარბაზის ქანდარა და მისადგომები უბრალო მოკვდავებით იყო სავსე. თბილისის სხვადასხვა უბნებიდან მოსული ხალხი სტიქიით წართმეულ საცხოვრებელ პირობებს ითხოვდა და საკითხის განხილვას ელოდა.*

საკრებულოში ხმაური მაშინ ატყდა, როცა გაირკვა, რომ სხდომას ქალაქის მთავრობის წარმომადგენელი და თავმჯდომარე არ დაესწრებოდნენ და ხალხისთვის პასუხის გამცემი არავინ იყო. შექმნილი ვითარება ოპერატიულად გამოიყენეს საკრებულოს მოპაექრე ძალებმა და ყველაფერი ერთმანეთს დააბრალეს. თუმცა, უსააკაშვილო "ნაციონალები" აშკარად წამგებიან პოზიციაში აღმოჩნდნენ. ამის საპირისპიროდ, სხდომაზე სრულად წარმოდგენილმა "ლეიბორისტებმა" უმალ მოიპოვეს ხალხის კეთილგანწყობა.

**"ჩვენ ყველა დავპატიჟეთ მთავრობიდან, მაგრამ არავინ მოვიდა. თუ გინდათ, წავიდეთ და ზოდელავას კარი ავუჭედოთ!"** – ყვიროდა და ხელს მერის კაბინეტისკენ იშვერდა "ლეიბორისტი" იოსებ შატბერაშვილი.

**"მართალი ბრძანდებით, ქალბატონო! სრულიად გეთანხმებით, ბატონო!"** – კვერს უკრავდა მთავრობის მლანძღავ ხალხს, ასევე, "ლეიბორისტი" გიორგი გუგავა.



*კარბელაშვილმა ვაზისუბნელებს სახლში წასვლა ურჩია.*

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

ამასობაში, გაწიწმატებული მანდილოსნებით ალყაშემორტყმული "ნაციონალი" დავით ბერძენიშვილი საკრებულოს ოვალურ დარბაზს მორიგ წრეს უვლიდა.

**"ჩვენ გვინდა, გავიგოთ, რას გვიპირებენ. თავზე ჩამოგვენგრა სახლ-კარი, უბინაოდ ვართ, სად წავიდეთ!"** – "ცეცხლს" ანთებდნენ საკრებულოს სტუმრები, რომელთა შორის ახალი სახეებიც გამოჩნდნენ - ვაზისუბნის მე-20-ე ავარიული კორპუსის ბინადრები. მათი 16-სართულიანი კორპუსი რამდენიმე დღის წინათ "მუხლებში" გადამტყდარა. იმხელა ხმაური და რყევა ყოფილა, ხალხს მიწისძვრა ჰგონებია. გამოვარდნილან გარეთ და უნახავთ დამტვრეული რკინა-ბეტონის ბურჯები, საიდანაც თავი გამოეყოთ გადაღუნულ მაჯის სიმსხო "არმატურებს." როგორც ხალხი ვარაუდობს, ყველაფერი "კანალიზაციის" ბრალია. კოლექტორის გამტარუნარიანობა შეზღუდულია და წყალი სარდაფში იღვრება.

სანამ ვაზისუბნელები თავის გასაჭირს ყვებოდნენ, დარბაზი დაიცალა, ყაყანი მიწყნარდა და ვიცე-პრემიერი კარბელაშვილიც გამოჩნდა, რომელმაც ვაზისუბნელებს მიმართა: **"რა გინდათ აქ; თქვენ კორპუსთან გეოლოგები და ყველა საჭირო სპეციალისტი გავგზავნეთ. გასამაგრებელი სამუშაოები მიმდინარეობს. წადით, მიხედეთ საქმეს."**

სპეციალისტების აზრი ჩვენც გვაინტერესებდა და ვაზისუბანს მივაშურეთ, მაგრამ იქ გეოლოგები და ინჟინრები ვერ ვნახეთ. თუმცა, გასამაგრებელი სამუშაოები მართლაც მიმდინარეობს და უკვე რამდენიმე ბურჯია რკინის სარტყელში ჩასმული.

როგორც ჩანს, ვაზისუბნელთა საქმე, ასე თუ ისე, მოგვარდება, მაგრამ სხვების ბედი ნამდვილად გაურკვეველია.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, საკრებულოს სხდომა დღეს 14,30 საათზე უნდა შედგეს. უცნობია, დაასწრებენ თუ არა ამ სხდომას ხალხს.

# სტუდენტები ბრაზდებიან...

ირინე სანებლიძე

*საქართველოს პრეზიდენტის მისამართით წერილების წერა სტუდენტებმაც დაიწყეს. დაახლოებით, ერთი თვის წინ საქართველოს პრეზიდენტის ახალგაზრდული საბჭოს წევრებმა, ახალგაზრდული და სტუდენტური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ედუარდ შევარდნაძეს მიმართვა გაუგზავნეს. პასუხი რომ ვერ მიიღეს, დახმარებისთვის ჟურნალისტებს მიმართეს.*

საქართველოს ახალგაზრდულმა და სტუდენტურმა ორგანიზაციებმა, პრეზიდენტის ახალგაზრდულმა საბჭომ, სადაც ხელისუფლების პოზიციონერი და ოპოზიციონერი სტუდენტური ჯგუფები არიან გაერთიანებულები, ცოტა ხნის წინ ედუარდ შევარდნაძეს მიმართვა გაუგზავნეს. წერილში სტუდენტები პრეზიდენტის საბჭოს სხდომის მოწვევას ითხოვდნენ. მიმართვის ინიციატორთა განცხადებით, არც სხდომა შედგა და არც მიმართვაზე გაკეთდა რაიმე რეაგირება. ამ მიმართვაში სტუდენტების ყურადღება სხვადასხვა საკითხზე იყო გამახვილებული: "სტუდენტური დღეებიდან დაწყებული, ჯავახეთის, მცხეთის პრობლემებით და მოახლოებული საპარლამენტო არჩევნებით დამთავრებული.

პრეზიდენტის ახალგაზრდობის საბჭოს ოცი სტუდენტური და ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ მიმართვის 25 ხელმომწერიდან, დაახლოებით ოცს, ვინც "აქტიური ინიციატორი არ იყო, ყველას დაუწყეს შევიწროება. ვინც პრეზიდენტის სტიპენდიანტი იყო, სტიპენდიის გაუქმებით დაემუქრნენ... ", - აცხადებს საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ნაციონალური საბჭოს თავმჯდომარე კოკი იონათამაშვილი.

საბჭოს სხვა წევრის აზრით კი, - "მთავრობას საბჭოების ფორმაც არ მოსწონს, რადგან საბჭოებზე მინისტრებს, ჩვენსა და პრეზიდენტის წინაშე, ბევრ არასასურველ კითხვაზე უწევთ პასუხის გაცემა"; საბჭოს წევრების მტკიცებით, ამის სამი თუ ოთხი პრეცედენტი ყოფილა და პრეზიდენტის წინაშე არა ერთი ჩინოსანი "გაუწითლებიათ." აქედან გამომდინარე, საბჭოს ამ წევრებისთვის ადვილად გასაგებია, თუ ვის ინტერესში შედიოდა საბჭოს მოწვევის განრიგის შეცვლა: "თუ ადრე საბჭოს სხდომა სამ თვეში ერთხელ უნდა ყოფილიყო, ახალი დებულების თანახმად, ნახევარწელიწადში ერთხელ ჩატარდება ხოლმე. საბჭოს დებულების შედგენის დროს ყველაფერს გვეკითხებოდნენ. ახლა კი, როგორც გავიგეთ, დებულება საერთოდ შეუცვლიათ, ისე, რომ არაფერი შეგვატყობინეს,"- გვითხრა ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდკავშირის პრეზიდენტმა, ლევან ჯაფარიძემ.

საბჭოს წევრების განაწყენიანების მიზეზიც სწორედ ისაა, რომ თუ დააარსეს და საჭიროა საბჭო, სადაც, განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებებისა, ყველა ახალგაზრდული და სტუდენტური ორგანიზაციაა გაერთიანებული, მაშინ მოგვისმინონ კიდეც, თუ არა და, გაგვიშვან და თავი დაგვანებონო, - აცხადებს ლევან ჯაფარიძე.

მიმართვაზე არგამოხმაურებამ სტუდენტები ხელისუფლების მხრიდან ახალგაზრდობის მიმართ ინდიფერენტულ დამოკიდებულებაზე დააფიქრა და საბჭოს ოც წევრ ორგანიზაციას კიდევ ერთი მიმართვა დააწერინა. წერილში აღნიშნულია, - "უკანასკნელ პერიოდში სახელმწიფოს დამოკიდებულება სტუდენტობის, ახალგაზრდობის მიმართ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი და მომხმარებლურია". ეს ჯგუფი ახალგაზრდობის სახელმწიფო დეპარტამენტსაც ერჩის და მიიჩნევს, რომ "ახალგაზრდულ პრობლემატიკაზე მომუშავე სახელისუფლებო სტრუქტურები არნახულ პასიურობას" იჩენენ. ეს კი საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ ხელისუფლებას იგნორირებული აქვს სტუდენტებისა და ახალგაზრდების ინტერესები..."

ვიდრე ჯერ კიდევ მოქმედებს და შეუცვლელია პრეზიდენტის ახალგაზრდობის საბჭოს დებულება, ოცი სტუდენტური და ახალგაზრდული ორგანიზაცია, დებულების თანახმად, საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევას უახლოეს დღეებში ითხოვს.

თუ არადა... ბუშმა ჰუსეინს ერთი თვე მისცაო, - გაიხსენა საბჭოს ერთმა წევრმა; სულ არ გვინდა, მაგრამ სასამართლოში გასაგზავნი კაციც გვყავსო, - თქვა მეორემ.

# საჩუქარი ირანიდან ჩეჩენი დევნილებისთვის

ეთერ მამულაშვილი

*საქართველოში მცხოვრები ჩეჩენი დევნილები მალე ჰუმანიტარული დახმარების მორიგ პარტიას მიიღებენ. სამი დღის წინათ ირანის "წითელი ნახევარმთვარის" ორგანიზაციამ ქართულ მხარეს, დაახლოებით, ორმოდაცამეტი ათასი ამერიკული დოლარის ღირებულების საკვები პროდუქტები გამოუგზავნა.*

საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის სასაწყობო მეურნეობაში გუშინ ორი ტონა ზეთით, სამი ტონა შაქრითა და ხუთი ტონა ბრინჯით დატვირთული ორი დიდი ტრაილერი დაიცალა. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან ერთად "წითელი ჯვარი" ამ ტვირთის განაწილებას ივნისის პირველივე კვირაში დაიწყებს. ჰუმანიტარული ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, ტვირთის სიმცირის გამო, დახმარება ლტოლვილთა მხოლოდ ერთ რომელიმე კატეგორიას გაუნაწილდება.

ჩეჩენი დევნილებისთვის ირანის "წითელი ნახევარმთვარის" მიერ გამოგზავნილი ხსენებული ჰუმანიტარული ტვირთი იმ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება, რომელსაც ქართულ მხარესთან ერთად ირანში 20 მაისს მოეწერა ხელი.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ორ ქვეყანას შორის ბევრ საინტერესო პროექტს ითვალისწინებს, მათ შორის, თბილისში სამედიცინო სადიაგნოსტიკო ცენტრის გახსნას, რომლის ტექნიკურ აღჭურვილობას ირანის "წითელი ნახევარმთვარის" ორგანიზაცია საკუთარ თავზე იღებს. ცენტრი უფასოდ მოემსახურება სოციალურად დაუცველ მოსახლეობას. თუ ირანულ მხარეს საქართველოში მოღვაწეობის დროს სერიოზული პრობლემები არ შეხვდება, "წითელი ნახევარმთვარე" დედაქალაქში სარეაბილიტაციო ცენტრის გახსნასაც გეგმავს. ქართული "წითელი ჯვარი" ირანის "წითელ ნახევარმთვარესთან" ერთად კიდევ ერთ საინტერესო პროგრამას ამუშავებს, რომელიც კატასტროფული მდგომარეობისთვის მზადყოფნას ითვალისწინებს. ამავე პროგრამით, გუშინ ქართულმა მხარემ მიიღო ორი ათასი საბანი და ორასი ცალი ოთხადგილიანი კარავი.

ივნისის პირველ რიცხვებში ირანის "წითელი ნახევარმთვარის" ორგანიზაციის პრეზიდენტის, ახმად ალი ნორმალის ოფიციალური ვიზიტია დაგეგმილი.

# საბალეტო სასწავლებელი SOS-ს აცხადებს!

თეა ხოფერია

*საბალეტო სასწავლებლის მოწაფეებმა და მასწავლებლებმა მიმდინარე წელი რთულ ვითარებაში გაატარეს. შენობის გარეშე დარჩენილებს საგანმანათლებლო და ქორეოგრაფიული დისციპლინები სხვადასხვა შენობებში უტარდებოდათ.*

შარშანდელმა მიწისძვრამ ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული საბალეტო სკოლა იმდენად დააზიანა, რომ, ექსპერტების დასკვნით, ავარიულ შენობაში ქორეოგრაფიული გაკვეთილების ჩატარება აიკრძალა. ქუჩაში დარჩენილმა საბალეტო სკოლის დირექციამ დახმარებისთვის არა ერთ უწყებას მიმართა. შედეგად კი, ერთი წლის განმავლობაში საბალეტო სკოლის მოწაფეები ქორეოგრაფიულ გაკვეთილებს პირველი გიმნაზიის, ოპერის თეატრის, დრო და დრო კი სუხიშვილების დარბაზებში გადიოდნენ. რაც შეეხება საგანმანათლებლო საგნებს, საბალეტო სკოლამ ამ პრობლემის მოსაგვარებლად ძირითად შენობასთან არსებული ფლიგელი გამოიყენა. დარბაზების სიმცირის გამო, დირექციამ ქორეოგრაფიული და საგანმანათლებლო პროგრამები მნიშვნელოვნად შეამცირა.

**"ქორეოგრაფიული სასწავლებელი SOS-ს აცხადებს! თუკი სექტემბერ-ოქტომბერში შენობის გამაგრება არ დაიწყო, საბალეტო სკოლა შეწყვეტს სწავლებას და სასწავლებელი საზოგადოებას საკუთარი დასამარების შესახებ აცნობებს. შარშან ჩვენმა პედკოლექტივმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სასწავლო წელი არ შეგვეჩერებინა. მიზნის მისაღწევად და ყურადღების მისაპყრობად არ ვაპირებთ, რუპორებით ხელში ქუჩაში გავიდეთ და აქციები მოვაწყოთ. ბრძოლის ასეთი მეთოდი საბალეტო ხელოვნების წარმომადგენელთათვის მიუღებელია. ჩვენ ცივილიზებულ მეთოდს მივმართავთ და, თუნდაც, ამ სტატიის გამოქვეყნებაც იმედს მაძლევს, რომ პრეზიდენტი და სხვა პასუხისმგებელი პირებიც რეალურად დაეხმარებიან საბალეტო სასწავლებელს", -** განაცხადა ჩვენთან საუბარში სასწავლებლის დირექტორმა თამაზ ვაშაკიძემ.



*მიწისძვრის "შემოქმედება".*

- მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭომ 2003 წლის 13 მარტს 5 მლნ აშშ დოლარის ოდენობის დამატებითი კრედიტის გამოყოფა დაამტკიცა საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის. ფონდის აღმასრულებელი დირექტორის თანაშემწის, მარიამ შალამბერიძის თქმით, ჯერჯერობით ცნობილი არ არის, კონკრეტულად რა ოდენობის თანხა გამოიყოფა საბალეტო სკოლის რეკონსტრუქციისთვის. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ ამასთან დაკავშირებით?

**- რამდენადაც მე ვიცი, კულტურის მინისტრი, სესილი გოგიბერიძე ამ საკითხთან დაკავშირებით უკავშირდება ყველას, ვისაც საჭიროა, მაგრამ ამ ეტაპზე მასაც არ აქვს ზუსტი ცნობები ამის თაობაზე. ჯერჯერობით ყველაფერი ჭორის დონეზე ვიცით. ჩვენთვის არავის შეუტყობინებია, რომ სასწავლებლის გასამაგრებლად მსოფლიო ბანკიდან თანხაა გამოყოფილი.**

- თუკი ამ დახმარებას ვერ მიიღებთ?

**- თუ არ გამოიყო დახმარება და დროულად არ დაიწყო რემონტი, სასწავლებელი შეაჩერებს მუშაობას. ასეთ შემთხვევაში ზედა კლასებს წელი გაუცდებათ, რაც ძალზედ შეუშლის მათ ხელს სამომავლოდ გაცდენილის აღდგენასა და ფორმის კვლავ დაბრუნებაში. ვერ ჩავატარებთ, ასევე, პირველი კლასის მისაღებ გამოცდებსაც. მიუხედავად იმისა, რომ შარშან პრეზიდენტიც და სახელმწიფო მინისტრიც დახმარებას დაგვპირდნენ, რეალურად ჯერაც არაფერი ჩანს. ხელისუფლებმა მთელი სიცხადით უნდა გაიაზრონ, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს სასწავლებელში სწავლის შეჩერებას. ხელოვნების ერთ-ერთი დარგის, ქართული ბალეტის არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ არ უნდა დადგეს...**

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, პრობლემის მოგვარების იმედით, გუშინ სასწავლებლის მოსწავლეების მშობლები კულტურის მინისტრს შეხვდნენ. სესილი გოგიბერიძემ მშობლები დაარწმუნა, რომ ყველაფრის მიუხედავად, სასწავლებელში მომავალ სასწავლო წელს შეფერხება არ დაემუქრება. სესილი გოგიბერიძემ კვლავ გაიმეორა, რომ სამინისტრო უშუალოდ მეთვალყურეობს საბალეტო სკოლის პრობლემებს. ხოლო, კულტურის მინისტრის ძალისხმევის შედეგია ის, რომ მარტში მსოფლიო ბანკი მათ დამატებით დაფინანსებას დაჰპირდა. ამჟამად მოსაგვარებელია ტექნიკური პრობლემები, რომლის გადაჭრამდეც დაწყებულია ალტერნატიული დაფინანსების გზების ძიებაც.

# მოახლოვდა გამოცდები

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-9 კლასის სახელმწიფო გამოცდები წელს 2-7 ივნისს გაიმართება. 2 ივნისს მათემატიკაში, 5-ში - ქართულ ენასა და ლიტერატურაში, 7-ში - უცხო ენაში. გამოცდები 11 საათზე დაიწყება და მათი ხანგრძლივობა 2 საათი და 30 წუთი იქნება (უცხო ენის გამოცდა გასტანს ორ საათს). სახელმწიფო გამოცდები ჰუმანიტარულ საგნებში ტესტირების სახით ჩატარდება. უმაღლესი ქულაა 100, გამსვლელი - 35. გამოცდებზე მოსწავლეები მხოლოდ დადებითი წლიური ნიშნით დაიშვებიან. არადამაკმაყოფილებელი ნიშნის შემთხვევაში მათ საშემოდგომო გამოცდები უნდა ჩააბარონ. საშემოდგომო გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში 25, მათემატიკაში - 27, უცხო ენაში კი 29 აგვისტოს გაიმართება. მეათე კლასში ჩაირიცხება მოსწავლე, რომელიც საბოლოო წლიურ დადებით ნიშანს მიიღებს. თუ მოსწავლე საპატიო მიზეზით არ გამოცხადდება საშემოდგომო გამოცდაზე, სკოლის დირექტორმა განათლების სამინისტროს 5 სექტემბრამდე უნდა მიმართოს განცხადებით. დამატებითი საშემოდგომო გამოცდები გამოცდებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრში გაიმართება. **მედია-ნიუსი**

## მოკლედ

**თბილისი.** გუშინდლიდან მიწისძვრისგან დაზარალებული ოჯახები უკრაინის მთავრობისაგან გასულ კვირას გამოგზავნილ სამშენებლო მასალებს - ცემენტს, ტოლს, შუშასა და გადასახურ საშუალებებს იღებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საერთაშორისო საიმიგრაციო ორგანიზაცია აფხაზეთში საქართველოსგან დამოუკიდებელ წარმომადგენლობას ხსნის. ორგანიზაცია მზადაა, ეკონომიკური დახმარება აღმოუჩინოს გალის რაიონის 24 სოფელს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 24 მაისს ევროპის რეგიონული ასამბლეის 35-კაციანი დელეგაცია ასამბლეის ოფიციალურ წევრს, კახეთის რეგიონს ეწვევა. ვიზიტის მიზანი რეგიონთან დამყარებული თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებაა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ "თბილწყალკანალმა" სადამსჯელო ღონისძიებები განაახლა და დავალიანების მქონე 8 საბიუჯეტო ორგანიზაციას წყლის მიწოდება შეუწყვიტა. ამ ორგანიზაციებს "თბილწყალკანალის" 49,8 მილიონი ლარი მართებთ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში პენსიონერთა პენსიების დაფინანსებაში ორი თვის გარღვევა დაფიქსირდა. ფონდს საქართველოს მასშტაბით თებერვლის თვის პენსიების დაფინანსება არ დაუსრულებია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თუკი ბიუჯეტის მოსალოდნელი სეკვესტრი მასწავლებლების გაყინული ხელფასების გაუცემლობის მიზეზი გახდება, განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირი პედაგოგების მასობრივი გამოსვლებით იმუქრება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მალე "კოკა-კოლა", "თი-ბი-სი ბანკი", "ცენტრ პოინტი", ფირმა "არსი" და "ბეროლინა მარკეტი" არქიტექტურის საქალაქო სამსახურთან ერთად მელიქიშვილსა და რუსთაველზე მდებარე შენობების ფასადებს განაახლებენ. **ინტერ-პრესი**

# გაქცეული დამნაშავის ადგილი ბადრაგის თანამშრომლებმა დაიკავეს

თამარ კაციტაძე

რამდენიმე დღის წინ ყაჩაღობასა და განზრახ მკვლელობაში ბრალდებული გაბრილ ალოევი ოფთალმოლოგიის კლინიკიდან გაიქცა. შეგახსენებთ: ე.წ. კანონიერი ქურდი ალიევი, ხუთ პიროვნებასთან ერთად, ბახტრიონის ქუჩაზე მცხოვრებ დარჩიაშვილების ბინაში შეიჭრა. ყაჩაღებმა ოჯახის დიასახლისი სადისტურად მოკლეს, ოჯახის უფროსი და შვილი - ზურაბ დარჩიაშვილი კი დაჭრეს. ალიევს თვალი სწორედ ზურაბ დარჩიაშვილის მიერ ნასროლმა საფანტის იარაღმა დაუზიანა, რის გამოც იგი ოფთალმოლოგიის კლინიკაში მოხვდა.

შუა ღამისას თითქმის უსინათლო ბრალდებულის გაქცევას იმთავითვე დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. გაქცევაში ხელშემწყობებად მაშინვე ბადრაგის ის ორი თანამშრომელი დაასახელეს, რომლებიც გაქცევის ღამეს ბრალდებულს დარაჯობდნენ. **"ბადრაგის დახმარების გარეშე პატიმარი გაქცევას ვერ მოახერხებდა,"** - დაასკვნეს სამართალდამცველებმა და მამუკა რობაქიძე და გიორგი ვაშაკიძე პატიმრობაში აიყვანეს.

რობაქიძე-ვაშაკიძის თავის მართლება - ყავა მოგვიწამლეს, დაგვაძინეს და ალოევი მერე გააქციესო - სარწმუნოდ არავის მიუჩნევია. კრწანისი – მთაწმინდის რაიონის პროკურატურაში, სადაც აღნიშნულ საქმეს იძიებენ, მოწამვლის ვერსიაზე, ფაქტობრივად, ყურადღება არც გაუმახვილებიათ. პროკურორის თანაშემწის გია პაპუაშვილის მტკიცებით, ბადრაგს დაკითხვისას ყავის მოწამვლაზე არაფერი უთქვამს. ერთი სიტყვით, გამოძიებას ჯერ არ გააჩნია ისეთი მყარი არგუმენტი, რაც ბადრაგის თანამშრომლების უდანაშაულობას დაამტკიცებს. ჯერჯერობით, დაკითხული არ არის ალოევის დაც, რომელიც ავადმყოფ პატიმარს უვლიდა და რომელმაც დაცვას ყავა მოუმზადა. ალოევის და ძმასთან ერთად გაიქცა და მის კვალს პოლიციამ დღემდე ვერ მიაგნო. თუმცა, პაპუაშვილის თქმით, გამოძიება არ გამორიცხავს, რომ უახლოეს მომავალში გაქცევის ხელშემწყობი სხვა პირებიც გამოვლინდნენ. თუმცა, ვიდრე უფრო "დიდი დამნაშავეები" გამოჩნდებიან (საერთოდ თუ გამოჩნდნენ), პროკურატურა პასუხს ბადრაგის თანამშრომლებს სთხოვს.



*დაკავებულთა ადვოკატი აცხადებს, რომ ბადრაგზე ჯოხი უსამართლოდ გადატყდა.*

სამსახურებრივ გულგრილობაში ბრალდებულ რობაქიძე-ვაშაკიძეს გუშინ კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ სამი თვით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

ბრალდების მხარე სასამართლო გადაწყვეტილებას კანონიერს უწოდებს. ადვოკატი ვახტანგ ქანაშვილი კი პირიქით: **"პროკურატურას სურს, დაანახოს საზოგადოებას, როგორ სჯის თანამშრომლებს და ამიტომ გადატეხეს ჯოხი ბადრაგზე, თორემ ისინი გაქცევაში დამნაშავეები ნამდვილად არ არიან,"** – ამბობს ვაშაკიძის ადვოკატი (სხვათა შორის, ალოევის და ბადრაგის თანამშრომლების დაცვას ერთი საადვოკატო ფირმა უზრუნველყოფს) და უახლოეს დღეებში რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას საოლქო სასამართლოში გეგმავს.

# ქისტი მწყემსი მეორედ დააპატიმრეს

*რამდენიმე თვის წინ, "გირევის" საგუშაგოზე, საზღვრის უკანონო გადმოკვეთის ბრალდებით დაპატიმრებულ ჩეჩენთა ირგვლივ ბატალიები კვლავ გრძელდება.*

როგორც ცნობილია, რამდენიმეთვიანი სასამართლო დავა ბოლოს და ბოლოს ტუსაღთა სასარგებლოდ გადაწყდა – ორთაჭალის ციხეში დარჩენილ ექვს ჩეჩენს მოსკოვში ექსტრადიციის საშიშროება აღარ ელის. რაც შეეხება "მთავარ ჯგუფს" ჩამოცილებულ ორ ქისტ ბრალდებულს – კუშტანაშვილსა და მარგოშვილს, სულ ცოტა ხნის წინ, საოლქო სასამართლომ მათ უშიშროების სამინისტროს მიერ წაყენებული ბრალდება - საზღვრის უკანონო გადმოკვეთისა და იარაღის უკანონო ტარების შესახებ - მოუხსნა და ისინი სასამართლო დარბაზშივე გაათავისუფლა.

რამდენიმეთვიანი ისტორია დასრულებულად ჩაითვლებოდა, რომ არა გუშინწინდელი შემთხვევა.

სამ აგვისტოს "გირევის" საგუშაგოზე ჩეჩნებთან ერთად დაპატიმრებული და რვა აპრილს პატიმრობიდან გათავისუფლებული ქისტი მწყემსი გიორგი კუშტანაშვილი პანკისის ხეობის სოფელ ჯოყოლოში ახმეტის პოლიციამ გუშინწინ დააკავა.

**"კუშტანაშვილის დაკავების თაობაზე სასამართლოს დადგენილება მივიღეთ, რაც სისრულეში მოვიყვანეთ. დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ კუშტანაშვილი იძებნებოდა ორთაჭალის ციხეში მომხდარი არეულობის გამო. მე მეტს ვერაფერს გეტყვით, რადგან საქმის დეტალების შესახებ არაფერი ვიცი,"** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას კახეთის რეგიონის პოლიციის სამმართველოს უფროსმა ზურაბ ტუშურმა.

როგორც ირკვევა, გიორგი კუშტანაშვილის ირგვლივ გაუგებარი სიტუაციის შექმნაში საოლქო სასამართლოა დამნაშავე. საქმე ისაა, რომ სასამართლოს კუშტანაშვილის პირადი საქმისთვის თვალიც არ გადაუვლია, ისე გაათავისუფლა იგი დარბაზიდან. არადა, სასამართლო კოლეგიას ცოტა მეტი ყურადღება რომ გამოეჩინა, პატიმრის პირად საქმეში აუცილებლად ნახავდა 2002 წლის ორ დეკემბერს მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს მიერ გაცემულ ბრძანებას, რომლის მიხედვითაც, გიორგი კუშტანაშვილი ბრალდებული იყო ოთხ ოქტომბერს ორთაჭალის ციხეში მომხდარი ბუნტის ორგანიზებაში. საუბარია, 5 ჩეჩენი ტუსაღის ექსტრადიციისას ციხეში მოწყობილ საპროტესტო გამოსვლაზე.

**"სასამართლოს გადაწყვეტილება ორ დეკემბერს ავიღეთ, ამის შესახებ 23 დეკემბერს შეტყობინება მივაწოდეთ საოლქო სასამართლოს. კუშტანაშვილის გათავისუფლებამდე რამდენიმე დღით ადრე, სასამართლოს, კუშტანაშვილის დაკავების თაობაზე დადგენილება ექვსი თვით გავაგრძელებინე. სასამართლომ იცოდა იმის შესახებ, რომ კუშტანაშვილი სხვა დანაშაულშიც იყო ბრალდებული. გათავისუფლების შემდეგ სასამართლოს ახალი წერილით მივმართეთ, ანუ გავაპროტესტეთ მათი ქმედება, მაგრამ არანაირი პასუხი არ მიგვიღია. სხვათა შორის, ციხის ადმინისტრაციამაც უყურადღებობა გამოიჩინა, პატიმრის პირად საქმეში დაპატიმრების ბრძანება იდო და ამისთვის მათაც უნდა მიექციათ ყურადღება,"** – აცხადებს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში კანონის დაცვაზე ზედამხედველი პროკურატურის გამომძიებელი სურენ ბარიგიანი.

გიორგი კუშტანაშვილი უკვე თბილისში, ორთაჭალის ციხეში გადმოიყვანეს. მას მეხუთე იზოლატორში მომხდარი ბუნტის ორგანიზებასა და ხელისუფლების წარმომადგენლისთვის წინააღმდეგობის გაწევაში ედება ბრალი. სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში კანონის დაცვაზე ზედამხედველმა პროკურატურამ ოთხი ოქტომბრის ინციდენტის ძიება უკვე დაასრულა და საქმეს განსახილველად უახლოეს დღეებში მთაწმინდა-კრწანისის პროკურატურას გადაუგზავნის. მეორედ დაპატიმრებულ კუშტანაშვილს, ახალი ბრალდების მიხედვით, 2-დან 7-წლამდე პატიმრობა ემუქრება.

# ქუთაისის ციხის "დამპყრობთა" სასამართლო

პირველი გვერდიდან

რამდენიმე ბარიერი გადალახეს და ადმინისტრაციულ კორპუსში აღმოჩნდნენ. ციხის რეჟიმის უფროსთან ამ დროს თათბირი მიმდინარეობდა. პატიმრები რეჟიმის უფროსის კაბინეტში შევარდნენ, ლევან ლევიძის ოთახში საპყრობილის 11 თანამშრომელი შეიპყრეს და ზეწრებით გაკოჭეს, ლევიძე კი თან გაიყოლეს. შენობიდან გასასვლელი გზების ძიებისთვის მათ თავი დიდად არ შეუწუხებიათ - ციხიდან გასვლას ისინი პირდაპირ ცენტრალური გასასვლელიდან შეეცადნენ. რეჟიმის უფროსი მუქარის გამო იძულებული გახდა მორიგესთვის კარების გაღების ბრძანება მიეცა. ციხიდან გასულ პატიმრებს მიქელთაძის ძმა - კობა მიქელთაძე მანქანით ელოდებოდა. პატიმრები ავტომობილში ჩასხდნენ და ლევიძეც თან გაიყოლეს. ტყვეობიდან იგი მოგვიანებით გაათავისუფლეს. საპყრობილედან გაქცეულმა პატიმრებმა გზაში რამდენიმე მძიმე დანაშაულიც ჩაიდინეს - რამდენიმე ავტომობილი გაიტაცეს და ბენზინგასამართი სადგური გაძარცვეს. პოლიცია მათ კვალს სამი დღის განმავლობაში მიჰყვებოდა; თუმცა, დამნაშავეთა დაკავების ნაცვლად, ფაქტიურად, მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებს აღრიცხავდა.

გამოძიების მონაცემებით, ბექა ნემსაძე ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვისთვის იყო დაკავებული, დავით ზარნაძე - ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისათვის, ხოლო ილია მიქელთაძეს კი მკვლელობის მცდელობასა და ყაჩაღობაში ადანაშაულებდნენ. ძმები მიქელთაძეები განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ, ამიტომაც მათ მეტსახელად "თავლიები" შეარქვეს. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი პაატა მხეიძე თავის დროზე აცხადებდა, რომ მიქელთაძემ 1989 წელს მოსკოვის ციხიდან მოახერხა გაქცევა. მას შემდეგ იგი ბევრჯერ დააკავეს, მაგრამ ყოველთვის გარბოდა. აქედან გამომდინარე, სამართალდამცველები ვარაუდობდნენ, რომ ციხიდან გაქცევის ორგანიზატორი სწორედ ის გახლდათ.

გაქცეულთაგან თავდაპირველად პოლიციას მიქელთაძეები ჩაუვარდნენ ხელში. ისინი სამტრედიაში, ერთ-ერთ ოჯახს აფარებდნენ თავს. მათ ასაყვანად სპეცოპერაცია დაიგეგმა, რომლის დროსაც, ერთი პოლიციელი და "თავლიების" დამხმარე ერთი ახალგაზრდა კაცი დაიღუპა. მათი აყვანის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ისინი ლევან კალაძის გატაცებასთან იყვნენ დაკავშირებულნი. თუმცა, გამოძიებას ამ მხრივ მიქელთაძეებისათვის ოფიციალური ბრალდება არასოდეს წაუყენებია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ძმები პანიკურად ყოფილან შეშინებულნი, რომ მოკლავდნენ და შემდეგ კი კალაძის გატაცების ფაქტს "აჰკიდებდნენ". ამ მოსაზრებას მათი ადვოკატი ლედი ტუკვაძეც ადასტურებს. **"მიქელთაძეებს გაქცევის მოსაწყობად ქუთაისის ციხეში იარაღი შესთავაზეს, მაგრამ ძმები წინააღმდეგნი წავიდნენ, რადგანაც, როგორც გითხარით, ისინი შიშობდნენ, რომ სამართალდამცველები გაქცევის ინსცენირებას მოაწყობდნენ და მათ მოკლავდნენ."**

"თავლიების" შემდეგ ზვიად სახამბერიძეც დააკავეს. იგი თერჯოლის რაიონში, ერთ-ერთი ქალბატონის სახლს აფარებდა თავს. სამართალდამცველების თვალის ასახვევად დაკავების მომენტში იგი ქალის ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. ზარნაძე და ნემსაძე კი გასული წლის ზაფხულში, მოსკოვში დააკავეს. როგორც ამბობენ, ამ დროისთვის ბექა ნემსაძე უკვე "კანონიერი" ქურდი იყო.

რუსეთიდან ექსტრადიციის შემდეგ ზარნაძე და ნემსაძე ქუთაისის საპყრობილეში მოათავსეს, ხოლო ძმები "თავლიები" და სახამბერიძე - ორთაჭალის ციხეში. ზუგდიდის იზოლატორში ისინი "კრიტში" ჰყავდათ გამომწყვდეულნი, საკნის გასაღებს კი ციხის უფროსი ჯიბით დაატარებდა, ხოლო ქუთაისის საპყრობილეში მათ თბილისიდან გამოძახებული სპეცრაზმი დარაჯობდა. ბოლოს ქუთაისსაც არ ენდნენ და ორთაჭალის ციხეში გადაიყვანეს. ყოფილი თანამზრახველების ბედი მოგვიანებით ტრაგიკულად წარიმართა.

გასული წლის 22 ნოემბერს ბანდის წევრებს შორის კონფლიქტი მოხდა. ორთაჭალის ციხის 50-ე საკანში ზვიად სახამბერიძემ ცეცხლსასროლი იარაღის გასროლით მოკლა კობა მიქელთაძე, სროლის ხმაზე საკანში მისი ძმა - ილია მიქელთაძე შევიდა, სახამბერიძემ მასაც ესროლა. მძიმედ დაჭრილი მიქელთაძე საავადმყოფოში გარდაიცვალა.

აღნიშნულ მკვლელობასთან დაკავშირებით თავის დროზე რამდენიმე ვერსია გავრცელდა. ერთ-ერთი ვერსიით, სახამბერიძეს თბილისის ციხიდან გაქცევა უნდოდა, მიქელთაძეები კი მის წამოწყებას არ აჰყვნენ. იმასაც ამბობდნენ, რომ მიქელთაძეებისა და სახამბერიძის დასაპირისპირებლად სპეციალური სამსახურები დიდი ხანია მუშაობდნენ. თავის დროზე მიქელთაძეების ადვოკატები არ გამორიცხავდნენ, რომ საკანში იარაღი სწორედ მათი ხელშეწყობით მოხვდა. თუმცა, რაში სჭირდებოდათ დაპატიმრებული მიქელთაძეების მკვლელობა, უცნობია. ვერსიებში ფიგურირებდა "კანონიერი" ქურდის "ნიკელას" სახელიც, რომელიც გვერდით საკანში იმყოფებოდა, თუმცა ვერც ამ ვერსიამ ჰპოვა განვითარება.

ამჟამად საბრალდებო სკამზე ბექა ნემსაძე და დავით ზარნაძე სხედან.

გამოძიება მათ ადანაშაულებს საპატიმრო ადგილებიდან გაქცევაში, პიროვნებისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, ციხის ადმინისტრაციასა და მოსახლეობაზე თავდასხმებში. ზვიად სახამბერიძე ამჟამად თბილისის საპყრობილეში იმყოფება და მიქელთაძეების მკვლელობის საქმის გამოძიების დასრულებას ელოდება.

როგორც აღვნიშნეთ, სასამართლო პროცესი გუშინ დაიწყო, საქმეს კი ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგია განიხილავს.

## ინფორმაცია

### ტყვიაველები ლინჩის წესით იმუქრებიან

გუშინ გორის რაიონის სოფელ ტყვიავის მოსახლეობამ პროტესტის ნიშნად რამდენიმე საათით გადაკეტა გორი-ცხინვალის ავტომაგისტრალი. ტყვიაველთა აღშფოთების მიზეზი გახდა სამი დღის წინათ მათი თანასოფლელის ოჯახზე განხორციელებული თავდასხმა, რის შედეგადაც დაიღუპა ოჯახის უფროსი. საპროტესტო აქციის მონაწილენი სამართალდამცველებისგან დამნაშავეთა დაუყოვნებლივ დაკავებას ითხოვდნენ.

გიგუაშვილების ოჯახში ღამით ოთხი შეიარაღებული ნიღბიანი შეიჭრა.

გორის რაიონის პოლიციის უფროსის რევაზ კოტიაშვილის თქმით, ბოროტმოქმედებმა ოჯახის წევრებს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით 600 დოლარი და 1500 ლარი გაიტაცეს. თავდასხმის დროს ოჯახის უფროსი ღვთისო გიგუაშვილი ცუდად გახდა, მას ადრე ინფარქტი ჰქონია გადატანილი და მიოკარდიული შეტევით გარდაიცვალა. კოტიაშვილის თქმით, გიგუაშვილების ოჯახზე რამდენიმე ყაჩაღური თავდასხმა ადრეც მოხდა.

მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, თუმცა დამნაშავეთა ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

ტყვიაველები კი იმუქრებიან, რომ დამნაშავეების გამოვლენის შემთხვევაში სოფელი მათ სამაგალითოდ დასჯის.

საპროტესტო აქციის მონაწილენი გუშინვე, შუადღისას, მას შემდეგ დაიშალნენ, რაც რევაზ კოტიაშვილი დაჰპირდა, რომ ყველაფერს გააკეთებს დანაშაულის დროზე გასახსნელად.

### მკვლელის მიერ გატაცებული მანქანა ნაპოვნია

გუშინწინ გლდანის რაიონში მომხდარი მკვლელობის დროს მკვლელის მიერ გატაცებული ავტომანქანა "ბმვ" პოლიციამ გუშინ, დიღმის მასივის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოაჩინა.

გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურორის ლენა კაპანაძის განცხადებით, გუშინ, ურთიერთშელაპარაკების დროს მოკლული ვეფხია დვალიძის მკვლელის ვინაობა ჯერ კიდევ დაუდგენელია.

გუშინწინ ვეფხია დვალიძე და მისი მეუღლე გლდანისკენ მიმავალ მიკროავტობუსში ჩასხდნენ, სადაც უცნობ პიროვნებასთან ურთიერთშელაპარაკება მოუვიდათ. მოდავე მგზავრები მიკროავტობუსიდან გლდანში, სავაჭრო ცენტრ "მარიამთან" ჩამოვიდნენ. მოულოდნელად, უცნობმა, "პსმ"-ის სისტემის პისტოლეტიდან ოთხი გასროლით მოკლა 35 წლის ვეფხია დვალიძე და დაჭრა იქვე მყოფი მზესუმზირის გამყიდველი, 57 წლის ლენა მოლდოვინა.

ამის შემდეგ მკვლელმა გაიტაცა ზაზა კვარაცხელიას კუთვნილი "ბმვ" და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეს გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურა იძიებს. **ინტერ-პრესი**

### შინაგანი ჯარი რეფორმისთვის ემზადება

შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობენ შინაგანი ჯარების რეფორმის კონცეფციაზე, რომელიც ამ უწყების ჟანდარმერიის მსგავს სტრუქტურად ჩამოყალიბებას ითვალისწინებს.

შინაგანი ჯარების სარდლის გიორგი შერვაშიძის თქმით, აღნიშნული კონცეფცია ჯერ კიდევ დამუშავების სტადიაშია, თუმცა უკვე ცნობილია, რომ რეფორმირებულ შინაგან ჯარს მოვალეობები გაეზრდება და ნაწილობრივ პოლიციურ ფუნქციებს შეითავსებს. "ნაწილობრივ პოლიციურ ფუნქციებს პანკისის ხეობაში დისლოცირებული შინაგანი ჯარების ნაწილები ამჟამადაც ახორციელებენ, თუმცა სამომავლოდ, მთლიანობაშია ნავარაუდევი, რომ მათ მიენიჭოთ პირველადი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების, დაკავების შემთხვევაში ეჭვმიტანილის დაკითხვისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარების უფლებები. გათვალისწინებულია დაცვის ობიექტების ნუსხის გაზრდა, რაც შეეხება პატრულირებას, ეს ფუნქცია შინაგან ჯარებს ამჟამადაც აქვს და იგი მომავალშიც დარჩება", - აღნიშნა შერვაშიძემ.

მისივე თქმით, კონცეფციის საბოლოო ვარიანტის შემუშავების შემდეგ გაირკვევა, თუ რა თანხები გახდება საჭირო რეფორმისათვის. მისი პრაქტიკული, ეტაპობრივი განხორციელება კი სათანადო ფინანსური უზრუნველყოფის შემთხვევაში 2-3 წელიწადში დასრულდება.

ამასთან, შერვაშიძის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ რეფორმით შინაგან ჯარებს ყველა ის ფუნქცია მიენიჭა, რომელიც ამჟამად საზღვარგარეთის ქვეყნებში ჟანდარმერიებს გააჩნიათ, მაშინ საჭირო გახდება კადრების დამატებაც.

ამჟამად შინაგან ჯარებში 4600 კაცი მუშაობს. **პრაიმ-ნიუსი**

# ნარკოტრანზიტი მტრედების საშუალებით

ავღანეთიდან პაკისტანში ყოველწლიურად ნახევარ ტონამდე ჰეროინი სამასამდე საფოსტო მტრედს გადააქვს. როგორც ირკვევა, ნარკოვაჭრები პაკისტანის ქალაქებში ყიდულობენ საფოსტო მტრედებს და ისინი ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ პროვინციაში მდებარე ფერმებში მიჰყავთ. იქ ფრინველებს წვრთნიან, მერე კი ავღანელი ლტოლვილების ხელში ხვდებიან, რომლებსაც იოლად გადაჰყავთ გალიებში ჩასმული მტრედები ავღანეთის საზღვარზე მცირე ანაზღაურების სანაცვლოდ. ავღანეთში მტრედებს იქაურ ნარკოდილერებს გადასცემენ, რომლებიც მტრედს ფეხზე უმაგრებენ 10-მდე გრამი ჰეროინით დატენილ მეტალის მსუბუქ მილს და ფრინველს ცაში უშვებენ. მტრედი გადაფრინდება საზღვარზე და მშობლიურ ფერმაში, საკუთარ სამტრედეზე ჯდება.

სააგენტო "სანა"-ს ცნობით, 6-8 მტრედის პატრონი ამ გზით თვეში 2 კილოგრამამდე ჰეროინს იღებს. ამ რაოდენობის ნარკოტიკში ევროპის შავ ბაზარზე 300 ათას დოლარს იხდიან. თუმცა, არსებობს რისკი, რომ გზაში მტრედს თავს დაესხმება მტაცებელი ფრინველი; ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როცა ფრინველები ავღანეთიდან იმ ადგილას დაბრუნებულან, სადაც დაიბადნენ.

აღსანიშნავია, რომ შარშან, ავღანეთში, ოპიუმის ყაყაჩოს სარეკორდო მოსავალი მიიღეს – 3 ათას 400 ტონა. წელს კი, გაერო-ს ექსპერტების პროგნოზით, ამ ქვეყანაში 6 ათას ტონამდე ნარკოტიკს დაამზადებენ. იმავე გაერო-ს მონაცემებით, ამ ერთ წელიწადში ოპიუმიდან ჰეროინის მისაღები 50-მდე ახალი ლაბორატორია შეიქმნა ავღანეთის სამხრეთსა და აღმოსავლეთში. თუმცა, დამზადებულ ნარკოტიკს, ცხადია, მომხმარებლამდე მიტანა სჭირდება, პაკისტანის საზღვარზე კი კონტროლის მექანიზმები უკიდურესად გამკაცრებულია. ამიტომაც უხდებათ ნარკობიზნესმენებს ნაწარმის ტრანსპორტირების ორიგინალური გზებისა და მარშრუტების ძიება.

# სექსბიზნესის „ნედლეულის" ძირითადი ბაზარი რუსეთია

ესპანეთის პოლიციამ დააკავა ბოროტმოქმედები, რომელთაც კავშირი ჰქონდათ რუსეთიდან ჩასული ქალების სექსუალურ ექსპლუატაციასთან. პროვინციებში - ალმერია, ალიკანტე და მურუსია –სულ 30-ზე მეტი პირი დააპატიმრეს. მათ უკვე წაუყენეს ბრალი სუტენიორობასა და ცოცხალი საქონლით ვაჭრობაში. დაპატიმრებულთა შორის არიან რუსეთის, ბელორუსის, ბულგარეთის, საფრანგეთისა და თვით ესპანეთის მოქალაქეები.

ესპანელმა სამართალდამცველებმა ასევე პროსტიტუციით დაკავებული 30 ქალიც დააკავეს, უმეტესობა რუსეთის მოქალაქეა, ესპანეთში უკანონოდ ცხოვრობენ და დეპორტაცია ელით.

სუტენიორების გაუვნებელყოფის ოპერაციას პოლიცია რამდენიმე თვის მანძილზე ამზადებდა, თვალს ადევნებდა ესპანელების, რუსებისა და ბულგარელებისგან შემდგარ დაჯგუფებას, რომელიც დაკავებული იყო რუსეთიდან ჩამოსული ქალების სექსუალური ექსპლუატაციით.

დაჯგუფება მოქმედებდა დასაქმების სააგენტო "თალისმანის" სახელით, რუს ქალბატონებს მოცეკვავეებად და ოფიციანტებად სამსახურს სთავაზობდა, ანკესს წამოგებულებს კი მეძავებად მუშაობას აიძულებდა. ამასთან, "დაქირავებულ მუშახელს" მუდმივი დაშინებისა და მუქარის ქვეშ ამყოფებდნენ. ცოცხალი საქონლით ვაჭრობა მთელ მსოფლიოში კრიმინალური ბიზნესის ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან სფეროდ ითვლება და შემოსავლების მასშტაბურობით მესამე ადგილი უჭირავს ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობის შემდეგ. ამ ბიზნესის "ნედლეულის" ძირითად ბაზრად რუსეთი მოიაზრება. რუსეთიდან ქალები გერმანიაში, ბელგიაში, თურქეთში, საბერძნეთსა და იუგოსლავიაში გაჰყავთ. აღმოსავლეთ ევროპაში მიმღები ქვეყნებია: პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთი, აზიაში – სამხრეთ კორეა და იაპონია.

უცხოეთში სამსახურის მაძიებელი ქალების სექსუალურ მონებად ქცევის სქემა, ჩვეულებრივ, ასეთია: მათ ფირმა სთავაზობს სამსახურსა და უცხოეთში წასასვლელი ვიზის სწრაფად გაფორმებას, საზღვრის იოლად გადალახვაში დახმარებას, უკვე უცხოეთში ჩასვლის შემდეგ კი საცხოვრებლით უზრუნველყოფას.

ექსპერტების მონაცემებით, ევროკავშირის ქვეყნებში ყოველწლიურად ნახევარი მილიონი სექსუალური მონა ჩაჰყავთ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპიდან, რომელთა უმეტესობა დსთ-ს ქვეყნებიდანაა. საფრანგეთში, მაგალითად, ყველაზე მეტი რუსი მეძავი პარიზსა და ზღვისპირა საკურორტო ქალაქებშია – ნიცასა და კანში. საბერძნეთში სექსბიზნესის სინდიკატები რუსეთიდან "მუშახელის" გადმოყვანით მილიონებს შოულობენ.

## მოკლედ

**თბილისი.** ექვსი ადამიანი გარდაიცვალა გორის რაიონის სოფელ ახალშენთან, ცენტრალურ ავტომაგისტრალზე მომხდარი ავტოავარიის შედეგად.

შიდა ქართლის ოლქის პროკურორის ამირან ნოზაძის განცხადებით, თბილისიდან დასავლეთ საქართველოს მიმართულებით დიდი სიჩქარით მოძრავი "ბმვ" გზის სავალი ნაწილის საპირისპირო მხარეს გადავიდა და თბილისის მიმართულებით მოძრავ "გაზ 3109"-ს დაეჯახა. ავარიის შედეგად "ბმვ"-ს 5 მგზავრიდან ოთხი ადგილზე გარდაიცვალა. მძიმედაა დაშავებული ამავე მანქანაში მყოფი ყოფილი ფეხბურთელი გია ჯიშკარიანი, რომელიც საავადმყოფოშია გადაყვანილი. ასევე ადგილზე გარდაიცვალნენ ავტომანქანა "ვოლგის" მძღოლი და მისი ერთი მგზავრი ლევან ძიძიგური. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტში განსახილველად შესულია ადვოკატთა კოლეგიის მიერ მომზადებული კანონპროექტი, რომელიც ადვოკატების ტესტირების ორი წლით გადავადებას ითვალისწინებს. დღეს მოქმედი „ადვოკატურის შესახებ კანონით," ადვოკატებს, რომელთაც საკვალიფიკაციო გამოცდა არ აქვთ ჩაბარებული, უფლებამოსილება 2003 წლის 1 ივნისს უწყდებათ. პარლამენტარი ელენე თევდორაძე კატეგორიულად მოითხოვს, პარლამენტმა მიმდინარე სასესიო კვირას აუცილებლად განიხილოს და მიიღოს კანონი ადვოკატურის შესახებ. მისი თქმით, თუ ამ გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხერხდება, 1 ივნისიდან შეიქმნება საკანონმდებლო ვაკუუმი, რის შედეგადაც ყველა ადვოკატი არალეგიტიმური, საზოგადოება კი დაუცველი აღმოჩნდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს, თბილისში, საფრანგეთის სპეცსამსახურების წარმომადგენელთა დელეგაცია ჩამოვა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების მიზნით. დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის უფროსის არჩილ ჩხარტიშვილის ინფორმაციით, დელეგაციის წევრები შეხვდებიან როგორც დეპარტამენტისა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პირველ პირებს, ასევე პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს. ახლახან საფრანგეთის შს მინისტრმა ნიკოლა სარკოზიმ განაცხადა, რომ შესაძლოა, "ალ ქაიდას" ტერორისტებმა ავღანეთიდან საქართველოში, პანკისის ხეობაში გადაინაცვლეს. საქართველოს პრეზიდენტმა საფრანგეთის შს მინისტრი პანკისის ხეობაში მიიწვია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 17 წლის პატიმარი ლევან ჟორჟოლიანი, რომელიც გუშინ პოლიციის დროებითი დაკავების იზოლატორიდან თბილისის მე-5 საპყრობილეში შეიყვანეს, აცხადებს, რომ მას პოლიციაში სცემეს. ჟორჟოლიანი თბილისის ვაკე-საბურთალოს პოლიციამ "დილის გაზეთის" ჟურნალისტ ნათია ნაცვლიშვილზე ყაჩაღური თავდასხმის ბრალდებით დააკავა. თავდასხმისას დაზარალებულს მობილური ტელეფონი, ფული და ოქროს ნივთები წაართვეს. პატიმარს აღენიშნება მოყვითალო ფერის სისხლნაჟღენთი მარჯვენა ბეჭქვეშა მიდამოში და მარცხენა წინა მხარზე. **მედია-ნიუსი**

## ომს გვიცხადებთ? - კი ბატონო, ვიომოთ!

გუშინ "გაერთიანებული დემოკრატები" გენერალური პროკურორის იმ განცხადებას გამოეხმაურნენ, რომელშიც ნუგზარ გაბრიჩიძემ, "დემოკრატებსა" და ვახტანგ რჩეულიშვილს შორის პარლამენტში ამასწინათ მომხდარ ჩხუბს - შეფასებები მისცა. გიორგი ბარამიძემ გენერალური პროკურორის გამონათქვამები გაბრიჩიძეზე **"ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ძლიერი ზეწოლით"** ახსნა და, თავის მხრივ, სადეპუტატო იმუნიტეტის მოხსნისთვის მზადყოფნა გამოთქვა.

**"კი ბატონო, შემოვიდეს პროკურატურა იმუნიტეტის მოხსნის მოთხოვნით. თუ სამართალდამცავები ასეთ ნაბიჯს გადადგამენ, იმუნიტეტს ჩვენ თვითონ მოვიხსნით, თავს უმისოდაც დავიცავთ",** - ერთგვარ გამოწვევასაც კი ჰგავს ფრაქციის თავმჯდომარის განცხადება.

**"აქვს რაიმე მასალები? შემოიტანოს. თუ ღირსების დაცვა დანაშაულად ითვლება, მაშინ მზად ვართ, ვაგოთ ამაზე პასუხი",** - გენერალურ პროკურორთან "ბრძოლაში", ბარამიძეს მხარში უდგას თანაფრაქციელი მიხეილ მაჭავარიანი.

*"24 საათი"*

## გულუა იცავს კონსტიტუციას

მერაბ მეტრეველი

ბაკურ გულუამ, მას შემდეგ, რაც საქართველოს სოფლის მეურნეობაზე აღარ ფიქრობს, საქართველოს კონსტიტუციაზე საფიქრალად მოიცალა. თუმცა, როგორც ირკვევა, ბატონი ბაკური კონსტიტუციის შექმნის სათავეებთან მდგარა და ეს მისი ახალი გატაცება სულაც არ გახლავთ. ახალი მთელ ამ ამბავში ის არის, რომ გულუამ წიგნი გამოუშვა: "ფიქრები საქართველოს კონსტიტუციაზე". გუშინ ამ წიგნის პრეზენტაცია ჟურნალისტთა სახლში თავად მოაწყო. **"ამ წიგნს რომ წაიკითხავთ, იტყვით: ნათელმხილველი ხომ არ გყავდა კონსულტანტადო",** - განაცხადა გულუამ.

მოგეხსენებათ, "ლეიბორისტების" ინიციატივით, კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებზე მსჯელობა ხელახალი ძალით განახლდა. ბატონი ბაკური კი ყველა ცვლილების გაგონებაზე მტკივნეულად რეაგირებს. გუშინ ის მთელი საათი ამტკიცებდა, რომ საქართველოს კონსტიტუცია კი არ არის ცუდი, უბრალოდ, მას ცუდად ასრულებენ.

**გჭირდებათ დახმარება მიწასა და უძრავ ქონებაზე საკუთრების ან სარგებლობის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას?**

გსურთ მიწისა და უძრავი ქონების შეძენის წინ, წინასწარ გადაამოწმოთ ინფორმაცია და დარწმუნდეთ მის სიზუსტეში?

გესაჭიროებათ დახმარება მიწის ნაკვეთების შეძენისას, ან შეგექმნათ პრობლემა მიწის ნაკვეთის, ან ნებისმიერი უძრავი ქონების საკუთრებისა და ფლობასთან დაკავშირებით?

**მიმართეთ - მიწის მესაკუთრეთა უფლების დაცვის ასოციაციას!**

**ასოციაცია გთავაზობთ შემდეგი სახის მომსახურებებს:**

- მედიაცია ანუ მოდავე მხარეებთან მოლაპარაკება,
- კერძო არბიტრაჟი,
- სასამართლოში მხარის ინტერესების დაცვა,
- უფასო იურიდიული კონსულტაცია,

ჩვენი დახმარებით დაზოგავთ დროს და ენერგიას, თქვენი უფლება კი გარანტირებულად იქნება დაცული.

**დ ა გ ვ ი კ ა ვ შ ი რ დ ი თ;**

თქვენ სამსახურშია ასოციაციის ცენტრალური და რეგიონალური ოფისები: თბილისი, გაგარინის 1 შესახვევი, №8, ტელ: 877 458 651; 899 982 809, 931 969; ქუთაისი, 899 587 094; გორი 893 336 683; ოზურგეთი 899 966 488; ახალციხე 899 572 669, გურჯაანი 899 271 812.

## მუდმივმოქმედი დელეგაციები - სოციალისტების "მუდმივმოქმედი" საფიქრალი

*გუშინ, საღამოს ხუთის ნახევრამდე, საქართველოს პარლამენტი "უკანონო საკანონმდებლო ფორმირებას" წარმოადგენდა. იმ ფაქტს, რომ თითქმის მთელი დღის განმავლობაში კვორუმი ვერ შეგროვდა და, ამდენად, პლენარული სხდომა მოკლებული იყო ლეგიტიმურობას, დეპუტატების აქტიურობაზე ოდნავაც არ უმოქმედია. ოღონდ, არ იფიქროთ, თითქოს პარლამენტარები, კოლეგების მოსვლამდე, დღის წესრიგში შეტანილ მნიშვნელოვან საკითხებზე "მოსამზადებელ სამუშაოებს" ატარებდნენ და როგორც კი კვორუმი შედგა, მათ განხილვას შეუდგნენ.*

გიორგი ასანიშვილი

მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატებს განსახილველი ჰქონდათ საარჩევნო თემატიკა, აფხაზეთის საკითხი, აგრეთვე, უნდა მოესმინათ მთავრობის ანგარიში ბიუჯეტთან დაკავშირებით, პირველი, რასაც ისინი კვორუმის შეგროვების შემდეგ გამეტებით ეძგერნენ, იყო დადგენილების პროექტი... "მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების შემადგენლობის გაუქმებისა და ახალი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ". როგორც ჩანს, უფლებამოსილების ვადის ამოწურვის მოახლოების კვალობაზე, დეპუტატებს მოძველებული სავარძლების ბოლომდე ექსპლუატაცია განუზრახავთ.

**"ცამეტი წელიწადია, პარლამენტის წევრი ვარ. რომელიმე მუდმივმოქმედ კომისიაში, ალბათ, ყოველთვის ვირიცხებოდი, მაგრამ საზღვარგარეთ არასდროს წავსულვარ მივლინებით. რატომ? პარლამენტს შევარცხვენ, ბანკეტებზე სადღეგრძელოს ვერ ვიტყვი თუ ქალს ვერ მოვეფერები?"** - გაოცებით მიმართა "აქტუალური" საკითხის ინიციატორ "სოციალისტებს" გერმანე ფაცაციამ და ყველას, "ვინც მის დღეშია", მოუწოდა, დადგენილების პროექტისთვის ხმა არ მიეცათ.

აკაკი ბობოხიძე კი სხვა რამემ გააოცა: **"სულ იმას გაიძახით, ეს ხელისუფლება წარმატებულ საგარეო პოლიტიკას ატარებსო. თუ ასეა, რატომ ცვლით მუდმივმოქმედი კომისიების შემადგენლობებს?"** ის, რაც აუხსნელი და გაუგებარია ფაცაციასა და ბობოხიძისთვის, დღესავით ნათელია მაია ნადირაძისთვის: **"რადგან ამ დადგენილების მიღების ინიციატორები და თავგადაკლული მომხრეები "სოციალისტები" არიან, ეტყობა, მათ დიპლომატიის კორიფეები ჰყავთ და უნდათ, მათი შესაძლებლობები პარლამენტის უფლებამოსილების გასვლამდე დარჩენილ ორიოდე თვეშიც გამოიყენონ,"**

თავად "სოციალისტები" კი ირონიას გუშინ მოთმინებით იტანდნენ. მათი მიზანი იყო, როგორმე დადგენილების პროექტი კენჭისყრამდე მისულიყო, რადგან მისი შედეგების წარმატებულობაში დარწმუნებულნი იყვნენ. თუმცა, ტაბლოზე დაფიქსირებული შედეგი "სოციალისტებისთვის" და, საერთოდ, სახელისუფლებო ბანაკისთვის შოკის მომგვრელი აღმოჩნდა - დადგენილების მიღებას ერთი ხმა დააკლდა.

დამარცხების მიუხედავად, "სოციალისტები" უცხოურ ვოიაჟებზე უარის თქმას მაინც არ აპირებენ. ფრაქციის ხელმძღვანელის ირაკლი მინდელის განცხადებით, ისინი ამ საკითხს არ მოეშვებიან და მას უახლოეს ხანში ხელახლა დააყენებენ კენჭისყრაზე.

ვილნიუსიდან ახლადდაბრუნებული პარლამენტის თავმჯდომარე, სხდომათა დარბაზში დატრიალებულ ვნებათაღელვას, დიდი ხნის განმავლობაში, დუმილით ადევნებდა თვალს. ბოლოს, ნინო ბურჯანაძეს მოთმინებამ მაინც უმტყუნა. **"გაოგნებული ვარ. დღეს უნდა განგვეხილა საარჩევნო კოდექსი, აფხაზეთის საკითხი და მოგვესმინა მთავრობის ანგარიში. ნუთუ, მუდმივმოქმედი დელეგაციების ხელახალი დაკომპლექტება ამაზე უფრო მნიშვნელოვანია? ან, იმის ინტერესი როგორ არ გაგიჩნდათ, გაგეგოთ, როგორ შეხვდნენ ბალტიისპირეთში საქართველოს დელეგაციას და რა შედეგებით დავბრუნდით თბილისში? დალხინებული ქვეყნის ხილვის შემდეგ, ძალიან ძნელია იმის ყურება, რაც ამ დარბაზში ხდება,"** - დეპუტატების საქციელის შემხედვარე, სამშობლოში დაბრუნებით ვერ ხარობს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

## სვანეთის "მილიტარიზაცია" ხალხის დასაქმების მოტივით

***"სვანეთს თავი დაანებე და შენს აჭარას მიხედე,"*** *- უკმეხად მიმართა გუშინ პარლამენტარმა ივერი ჭელიძემ ფრაქცია "აღორძინების" თავმჯდომარეს ჯემალ გოგიტიძეს, როდესაც ამ უკანასკნელმა საჯაროდ განაცხადა, რომ თავდაცვის სამინისტროს ეგიდით, სვანეთში ახალი შეიარაღებული ფორმირების შექმნა მიზანშეუწონლად მიაჩნია.*

გიორგი გიორგაძე

ასეთ როყიო გამონათქვამზე, ალბათ, წაყრუება შეიძლებოდა, რომ არა რამდენიმე დღის წინათ, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გაკეთებული, თითქმის, ანალოგიური დატვირთვის მქონე განცხადება: სამტრედიის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა ავთანდილ თევზაძემ თავის ხონელ კოლეგას, აკაკი ბობოხიძეს კატეგორიულად მოსთხოვა, რომ **"მის რაიონში** (სამტრედიაში) **წყლის ამღვრევისთვის, პრესკონფერენციების ჩატარებისთვის თავი დაენებებინა და თავისი რაიონისთვის** (ხონისთვის) **მიეხედა"**. არადა, როგორც ბობოხიძემ იქვე განმარტა, მთელი მისი დანაშაული მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ სამტრედიაში "ნაციონალური მოძრაობის" რაიონული ორგანიზაციის შეკრებაზე დასასწრებად იყო ჩასული.

ცალკეული პარლამენტარების მხრიდან გამოვლენილ კუთხურ "პატრიოტიზმსა" და რაიონულ-რეგიონული მასშტაბებით "აზროვნებას", როგორც ვთქვით, კიდევ შეიძლება რაღაც გამართლება მოეძებნოს - სხვა თუ არაფერი, წინასაარჩევნო პერიოდია და ვისაც როგორ შეუძლია, ამომრჩეველს ისე აწონებს თავს. მაგრამ, როდესაც "სიტყვა საქმეში გადადის" და, მითუმეტეს, ამას უკვე ცალკეული პირები კი არა, მთელი სახელისუფლებო სტრუქტურები აკეთებენ, წაყრუება ნამდვილად დაუშვებელია. ამდენად, სრულიად ბუნებრივია, რომ მთავრობის მიერ სვანეთის "მილიტარიზაციისკენ" გადადგმულ ნაბიჯს, საქართველოს პარლამენტში მძაფრი გამოხმაურება მოჰყვა.

**"თავდაცვის სამინისტრო სათანადოდ ვერ ფინანსდება და მის ბიუჯეტს, უსახსრობის გამო, შეკვეცას უპირებენ, ამ დროს კი სვანეთში დამატებითი რაზმების შექმნა იწყება. სად არის აქ ლოგიკა?"** - განცვიფრებას ვერ მალავს ფიქრია ჩიხრაძე.

ლევან პირველი კი თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის განცხადებას გაუოცებია, რომლის თანახმადაც, შექმნილი სამხედრო ქვედანაყოფი "შიდა ამოცანების გადაჭრას მოემსახურება".

**"არჩევნების გარდა, დღეს სვანეთში სხვა შიდა საქმე არ არსებობს,"** - ხელისუფლების ჩანაფიქრში პოლიტიკურ განზრახულობას უფრო ხედავს მესტიის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი.

დაახლოებით, იგივე პოზიცია აქვს ჯემალ გოგიტიძესაც. **"მე არ ვიცი, რა სახსრებით უნდა შეინახოს მთავრობამ ეს დაჯგუფება. მისი შექმნის ნამდვილი მიზანი ის არის, რომ როდესაც დასჭირდება, დესტაბილიზაციისთვის გამოიყენოს,"** - აცხადებს ფრაქცია "აღორძინების" თავმჯდომარე.

ხელისუფლების ნაბიჯს პარლამენტში, ცხადია, დამცველებიც გამოუჩნდნენ. ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარის მოადგილე ივერი ჭელიძე ოპონენტების ეჭვებს უსაფუძვლოდ მიიჩნევს და აცხადებს, რომ მთავრობის გადაწყვეტილება, ძირითადად, საზღვრის დაცვის საქმეს ემსახურება და, ამავე დროს, შეაჩერებს რეგიონში მიმდინარე მიგრაციულ პროცესებს, დაასაქმებს 200-მდე ოჯახს და ა.შ.

ამ არგუმენტებს ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარე გიორგი ბარამიძე "არადამაჯერებელს" უწოდებს და "განმარტავს", რომ საზღვრის დასამაგრებელ ღონისძიებებს საზღვრის დაცვის დეპარტამენტი უნდა ატარებდეს და არა თავდაცვის სამინისტრო. ამასთან, ბარამიძის თქმით, რეგიონული მასშტაბით და ნიშნით სამხედრო ფორმირებების შექმნას საქართველოსთვის არასდროს მოუტანია სიკეთე და, ამდენად, ასეთი ნაბიჯის გადადგმა მეტად სარისკო და საშიშია.

რაც შეეხება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების სასარგებლოდ ივერი ჭელიძის მიერ მოყვანილ არგუმენტს, მას უკვე "მრეწველები" აკრიტიკებენ.

**"ავტომატების დარიგების ნაცვლად, ხელისუფლება ამ ხალხს მცირე ბიზნესის მოწყობაში რომ დაეხმაროს, უფრო უპრიანი იქნება,"** - აღნიშნავს ზურაბ ტყემალაძე.



www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

# ერთადერთი ფიგურა, ვინც კრემლს კომფორტს უქმნის, შევარდნაძეა

A1 გვერდიდან

**- კონკრეტულად რა სარგებლობა მოაქვს ამ ტიპის კონფერენციებს, რეალობას ხომ საბოლოოდ მაინც პოლიტიკოსები ცვლიან?**

- როგორ გითხრათ... კონფერენციის ორგანიზატორები გერმანელები არიან. მათთვის კი უმთავრესია, რუსეთმა და საქართველომ ნებისმიერი ტიპის კონტაქტი დაამყარონ. ჩემი აზრით, ეს მიდგომა სწორია, რადგან ევროპიდან ჩვენი ქვეყნების ურთიერთობები სულ სხვაგვარად ჩანს. ჩვენთვის კი ეს კონფლიქტი უფრო მტკივნეული, ტრაგიკულიც კია. იმდენად კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, რომ არსებული ვითარება ძნელად გადასატანი ხდება. მათთვის კი ეს მორიგი, სამუშაო კონფლიქტია. გერმანელებს სტანდარტული მიდგომა აქვთ. ისინი იქცევიან ისე, როგორც იქცეოდნენ იუგოსლავიასა და მრავალ სხვა ქვეყანაში. არსებობს კონფლიქტის მოგვარების სტანდარტული მიდგომა, ინსტრუქციაში წერია, რომ რაც შეიძლება ხშირი კონტაქტი უნდა იყოს და ისინიც ამ გზით მიდიან.

**- რამდენად ამართლებს სტანდარტული მიდგომა ორ არასტანდარტულ ერს შორის კონფლიქტის მოგვარებისას?**

- მე თუ მკითხავ, ამ ფულს უფრო ეფექტურად დავხარჯავდი. თუმცა, ჩვენ მაინც მადლიერნი უნდა ვიყოთ მათი კეთილი ნების გამო.

**- რუსეთის დელეგაციის შემადგენლობა ძალიან ჭრელია. როგორ თანაცხოვრობთ ქართულ სივრცეში?**

- რუსების საყვარელი სპორტის სახეობა რუსეთის გარეთ ურთიერთობების გარკვევაა, ეს საყვარელი ეროვნული გართობაა. მიგრანიანთან შეხვედრა მოსკოვშიც შეგვიძლია და ათასჯერ გვითქვამს ერთმანეთისთვის ის, რისი თქმაც გვსურს - ჩვენთვის ეს აბსოლუტურად უინტერესოა. მაგრამ, როდესაც აქ ვართ, გვიჩნდებიან გულშემატკივრები, გვიჩნდება აზარტი და თითქოს ერთმანეთს პირველად ვხედავთ. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ორგანიზატორებმა აზრთა გარკვეული სპექტრი წარმოადგინეს (არ ვიტყვი მემარჯვენესა და მემარცხენეს, რადგანაც ამგვარი ტერმინები ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია). ჩემი აზრით, ყოველი მათგანი თავისთავად საინტერესოა: ზატულინი მხოლოდ რუსეთის ჩინოვნიკთა აზრს არ გამოხატავს. მისი შეხედულებები იმ მხრივაც საინტერესოა, რომ ის თავისი დროის უმეტეს ნაწილს აფხაზეთში ატარებს და კარგად იცის აფხაზური პოლიტიკის კულუარები. ის არის ერთადერთი, ვისაც იქ ხელი მიუწვდება, მას უნდა მოვუსმინოთ.

შეხვედრაზე, ძირითადად, მართლაც, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე იყო საუბარი, მაგრამ არანაკლები საუბრები იყო იმის შესახებ, თუ რა სურს რუსეთს სამხრეთ კავკასიაში (რუსეთში სწორედ ასე უწოდებენ, ახლა ასეთი პოლიტიკური მოდაა) და რუსეთის შიდა პოლიტიკაზე.

ასეთი დასკვნა გამოვიტანე - არავინ იცის, რა უნდა რუსეთს სამხრეთ კავკასიაში, რას აკეთებს, რისი იმედი აქვს, ვინ არის რუსეთის მოკავშირე, ვინ მოწინააღმდეგე - ეს ამოცანები და მიზნები გასაგებად ვერავინ ჩამოაყალიბა, სრული ბურუსია.

**- აფხაზეთთან მიმართებაში უფრო გასაგები პოლიტიკაა?**

- ჩემი აზრით, აფხაზეთის საკითხი არც თბილისსა და არც მოსკოვში არ გადაწყდება. ის, პირველ რიგში, ვაშინგტონში გადაწყდება. აგრეთვე, ბონსა და ლონდონში... ჩემი აზრით, ეს საკითხი ამ ზაფხულსა და შემოდგომას გადაწყდება. ყოველ შემთხვევაში, პრინციპული და ხმამაღალი საუბარი უახლოეს დღეებში შედგება. მოგეხსენებათ, მშვიდობისმყოფელთა მანდატი პირველ ივლისამდეა გაგრძელებული და სწორედ ამ თარიღის მერე დადგება გადაწყვეტილებების მიღების დრო.

**- საკითხის არც თბილისში, არც სოხუმში და არც მოსკოვში გადაწყვეტა ლოგიკურია, ამას ყველა უწყობდა ხელს.**

- რა თქმა უნდა, ჩვენ ყველა ვმონაწილეობდით ამაში, მაგრამ დანაშაულის ხარისხის გარკვევა ახლა უაზრობაა. უკეთესია ვაღიაროთ, რომ ყველა დამნაშავეა და თან, ამ დამნაშავეთა შორის, ბევრი ცოცხალიც აღარაა.

**- რა განასხვავებს საქართველოსა და რუსეთის პოზიციებს უსაფრთხოების საკითხებში?**

- ეს ბუნებრივი პრობლემაა, რადგან საქართველოსთვის სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების საკითხები ნამდვილად ეროვნულ ინტერესს წარმოადგენს, რომელიც საქართველოს მთავრობის და საზოგადოების ინტერესებს ემთხვევა. რუსეთის საზოგადოებას სამხრეთ კავკასიაში რეალური ინტერესები არ გააჩნია. რუსეთის სახელმწიფოსაც არ გააჩნია დღეს ინტერესები. რა ინტერესები უნდა ჰქონდეს ახლანდელ რუსეთს, ეკონომიკური? არა. სულიერი, კულტურული? არა. ერთადერთი, რაც არსებობს, რუსეთის გენერალიტეტის ქურდული ინტერესებია. გენერალიტეტი კი არც რუსეთის საზოგადოება და არც სახელმწიფო არ არის (ყოველ შემთხვევაში, არ უნდა იყოს).

კონფერენციაზე ქართულმა მხარემ დასვა კითხვა - რა უნდა კავკასიაში რუსეთს? პასუხად კი სრული გაუგებრობა მიიღო - რუსეთს, როგორც დერჟავას, რეგიონში დომინირება სურს. არ შეიძლება, დომინირება მიზანი იყოს. სიმართლე ასე ჟღერს - რუსეთს კავკასიაში დომინირება იმისთვის უნდა, რომ უკეთ ყვლიფოს თავისივე ბიუჯეტი.

ქართული მხარე სრულიად სამართლიანად ამბობს, რომ კავკასიაში წარმოებული ასეთი გაუგებარი პოლიტიკა თავად რუსეთისთვის წარმოადგენს უზარმაზარ საშიშროებას. დერჟავის არარსებობის დროს დერჟავული პოლიტიკა ფინანსური რესურსებისგან დაცლას, სახელმწიფოს პრესტიჟის დაცემას გამოიწვევს. რუსეთი დასუსტებულია და ამგვარი პოლიტიკა მისთვის, უბრალოდ, თვითმკვლელობაა.

**- რა არის უსაფრთხოების საერთო ინტერესი ორივე სახელმწიფოსთვის?**

- ჩემი აზრით, ჩვენი მთავარი, პრინციპული საერთო ინტერესი შემდეგია: გლობალური ტენდენცია გასაგებია - რუსეთიცა და საქართველოც ადრე თუ გვიან ევროპულ სტრუქტურებში, ნატო-ში აღმოჩნდებიან. რუსეთ-საქართველოს, როგორც პატარა ქვეყნების საერთო ინტერესები (რუსეთი დიდი მხოლოდ სქართველოსთან შედარებით არის, მსოფლიოში ის უკვე პატარა ქვეყანაა), ამერიკის და ევროსაბჭოს საპირწონედ ამ სტრუქტურებში ერთიანი ფრონტით შესვლაა. სათითაოდ ჩვენ გაგვსრესენ და მართალიც იქნებიან.

**- უკვე რამდენი ხანია, ერთად არაფერი გამოდის. ამას როგორ ახსნით?**

- ჩემი აზრით, ჩვენ ორ ქვეყანას ერთი და იგივე მთავარი პრობლემა აქვს - რეფორმირება, რომელიც დაახლოებით 1986 წელს დაიწყო, არც ერთმა არ დავასრულეთ. ჩვენ მთავარი მიზანი ვერ განვახორციელეთ, ვერც ერთმა ვერ შევქმენით ქვეყანა, სადაც სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესები ერთი იქნებოდა. ქართული ხელისუფლება მოსახლეობისგან განცალკევებით ცხოვრობს. რუსეთის ხელისუფლება ორჯერ უფრო დაცილებულია საკუთარ ხალხს. სწორედ ეს არის მთავარი პრობლემა - საზოგადოებისა და სახელმწიფო ინტერესების შეუთავსებლობა.

ქართული და რუსული პოლიტიკური ელიტის მიზანია, შეინარჩუნოს არსებული ბარდაკი, რადგანაც სწორედ ბარდაკის დროსაა მოთხოვნა ამგვარ ხელისუფლებაზე. საზოგადოებაში, სადაც ხელისუფლებას პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს, ასეთ ხელისუფლებას ერთადერთი მისამართი აქვს - ციხე.

**- რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში ხიდის როლის შესასრულებლად ამ ბარდაკიდან თქვენს ბარდაკში მრავალი პოლიტიკოსი და ყველაზე ხშირად კი მიმდინარე კონფერენციის აქტიური მონაწილე ვახტანგ რჩეულიშვილი დადის. როგორ ხვდებიან მათ, რას აკეთებენ მოსკოვში?**

- ჩემი აზრით, რუსეთში ჩამოსულ ყველა ქართველ პოლიტიკოსთა უმეტესობა მხოლოდ საკუთარი საქმით არის დაკავებული.

**- როგორ აშუქებს პრესა მათ ვიზიტებს?**

- საკმაოდ მოკრძალებულად. ქართული თემისადმი მძაფრი ინტერესი მხოლოდ პიკურ სიტუაციაში ჩნდება - პანკისი, კოდორი, აფხაზეთი, გილაევი და ა.შ. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ რუსეთის მედიის მდგომარეობა საკმაოდ სევდის მომგვრელია. ტელევიზიაში საქართველოს "დემონიზაციის" საკმაოდ მკაცრი და მკაფიოდ ჩამოყალიბებული სახელმწიფო შეკვეთაა. ამიტომ, ნებისმიერი ასე თუ ისე ჯანსაღი ქართველი პოლიტიკოსი, რუსეთის ტელევიზიაში, მაქსიმუმ, 10-20 წამს იღებს. პიკურ დღეებში, ეს დრო შეიძლება წუთამდე გაგრძელდეს. დანარჩენი - პანკისი, ტერორიზმი, ადამიანების გატაცება, ეკონომიკის ვარდნა, სრულ მარაზმში ჩავარდნილი შევარდნაძე - აი, თითქმის მთელი ჩამონათვალი საქართველოსთან დაკავშირებული იმ თემებისა, რასაც რუსეთის ტელევიზია აშუქებს.

უფროსი თაობის მაყურებელი ერთგვარ ნოსტალგიას განიცდის, მაგრამ 30 წელზე ახალგაზრდა ადამიანს საქართველოსთან არაფერი აკავშირებს და ამ ადამიანებს სურათი აბსოლუტურად დამახინჯებულად მიეწოდებათ.



მიხაილ შეველიოვი

ლევან ხერხეულიძის ფოტო

აფხაზეთის საკითხი არც თბილისსა და არც მოსკოვში არ გადაწყდება. ის, პირველ რიგში, ვაშინგტონში გადაწყდება.

დერჟავის არარსებობის დროს დერჟავული პოლიტიკა რუსეთისთვის, უბრალოდ, თვითმკვლელობაა.

რუსეთი დიდი მხოლოდ სქართველოსთან შედარებით არის, მსოფლიოში ის უკვე პატარა ქვეყანაა.

რუსეთის საზოგადოებას ერთადერთი მიზანი აქვს - რაც შეიძლება ნაკლები იცოდეს საკუთარი მთავრობის შესახებ და რაც შეიძლება შორს იდგეს მისგან.







**- თქვენი ინფორმაციით, არსებობს თუ არა საქართველოში ფიგურა, ვისზეც კრემლი გათვლებს აკეთებს?**

- რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, დღევანდელ ვითარებაში ერთადერთი ფიგურა, ვინც რუსეთის მთავრობას კომფორტს უქმნის, შევარდნაძეა. ეს რამდენიმე მიზეზის გამო ხდება - მათ შევარდნაძის ესმით, ის ნაცნობი განზომილებაა, პროგნოზირებადია, მასთან მოლაპარაკება პირდაპირაც შეიძლება და კულისებშიც. ჩემი აზრით, ალტერნატივას კრემლში ვერ ხედავენ. შევარდნაძის მემკვიდრის შესახებ გადაწყვეტილებას არც თბილისში მიიღებენ და არც მოსკოვში - ეს ვაშინგტონში მოხდება.

**- რაღაც ფორმებით შევარდნაძე კრემლიდან მართულია?**

- ვფიქრობ, რომ კი. კრემლი ჩივის ვაშინგტონში, იქ კი, თუ საჭიროდ მიიჩნევენ, ამ პრეტენზიებს შევარდნაძემდე მიიტანენ - ერთგვარად ოჯახური ურთიერთობებია დამყარებული.

**- მოდით, რუსულ მედიაზე ვისაუბროთ. ამ ბოლო ხანს რა იყო სენსაცია, რა მოვლენა იდგა პირველ გვერდებზე?**

- ეს უკანასკნელი თვე საკმაოდ ცარიელი იყო და განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. საზოგადოების მდორე ინტერესი პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის არსებულმა დაძაბულობამ გამოიწვია.

პრეზიდენტის ინიციატივა, რუსეთში პარლამენტის მიერ ფორმირებული მთავრობის შემოღების შესახებ, ყველამ "ერთიანი რუსეთის" მომავალ საპარლამენტო არჩევნებში გარანტირებულ გამარჯვებად აღიქვა.

უკანასკნელი დროის ყველაზე საინტერესო ტენდენცია რუსი ოლიგარქების პოზიციაა. სრულიად მოულოდნელად, ისინი ძალზე საინტერესო პოლიტიკურ ძალებად მოგვევლინენ. ძალზე ფრთხილად, აკურატულად, მაგრამ მათ საკუთარი პოზიცია მონიშნეს - მთავრობისა და პრეზიდენტისგან მკაფიოდ დამოუკიდებელი პოზიცია დაიკავეს.

**- კონკრეტულად ვინ წავიდა ამაზე, ჩერნომირდინმა ეს მოახერხა?**

- ჩერნომირდინი ჩრდილოვანი ოლიგარქია და ეს არ გააკეთა. პოზიცია ნავთობის ოლიგარქებმა დაიკავეს და ამ მოძრაობის ლიდერი, ჩემი აზრით, ხოდორკოვსკია... მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური პოზიციები საკმაოდ ჯანსაღად გამოიყურება. რუსეთისთვის და შესაბამისად, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებისთვის მისი პოზიცია, ჯერჯერობით, პერსპექტიულია.

**- რამდენად სერიოზულ გავლენას მოახდენს ხოდორკოვსკი მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე?**

- ამას ვნახავთ. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ რუსმა ოლიგარქმა ღიად, პირველად თქვა, ვის უჭერს მხარს - ესენი არიან იავლინსკი, ნემცოვი... მეორე მხრივ კი, ცდილობს, შესაბამისი სტრუქტურებისგან დაიცვას თავისი კაპიტალი. თითქოს პარადოქსული ვითარებაა, თუმცა - ბიზნესის კუთხით სავსებით გამართლებული. ბიზნესი ყოველგვარი მოულოდნელობებისგან უნდა დაიცვა.

რუსეთში ძალზე აღელვებთ საპარლამენტო არჩევნების ბედი. საპრეზიდენტო არჩევნების მომავალი ყველასთვის ნათელია - პუტინს მეორე ვადით აირჩევენ და ის ლეგიტიმური პრეზიდენტი ხდება. ამ ოთხი წლის განმავლობაში მას არალეგიტიმურობის, დანიშნულის, მემკვიდრის უხილავი შლეიფი დასდევდა უკან. ახლა კი პირველად ირჩევენ კანონიერად და დიდ დამოუკიდებელ ძალად იქცევა. ბევრს აშფოთებს პარლამენტში პუტინის უმრავლესობით მოსვლაც. მას ოპოზიცია პარლამენტის არჩევნებში ეყოლება. საპრეზიდენტო არჩევნებში კი პუტინს ბევრი ვერ შეერკინება.

**- რაღაც მსგავსი საქართველოსაც ელის.**

- გეთანხმებით. ძირითადი ბრძოლა პარლამენტს გარეთ გაიმართება, რადგანაც ყველას ესმის, რომ შემდეგი პრეზიდენტი ქართველი პუტინი იქნება. ნუ ვიტყვით იმ ადამიანის გვარს, ვინც ამ გეგმების უკან მოიაზრება, მაგრამ ის ყველასთვის ცნობილია. ეს იქნება მსხვილი კაპიტალის ხმა და მას ყური უნდა მივუგდოთ - ეს გაბატონებული სუბიექტების პოზიციაა და ეს ჩვენი რეალობაა.

**- აქედან ისე ჩანს, თითქოს კრემლი აქტიურად ახერხებს მედიის დიდი ნაწილის გაკონტროლებას...**

- სწორადაც ჩანს. ერთადერთი სფერო, სადაც კრემლმა მიაღწია იმას, რაც უნდოდა, ეს არის ტელევიზიაზე კონტროლი. რეგიონული ტელევიზიები საერთოდ აღარ არსებობენ. იქ ან სახელმწიფოა, ან ოლიგარქი და რუსეთში საუკეთესო ტომსკის ტელევიზიაც ხოდორკოვსკიმ იყიდა. გაზეთებთან დაკავშირებითაც, დაახლოებით, იგივე სურათი იქმნება.

იავლინსკიმ კარგად თქვა: НТВ იყო ცხენი, რომელიც, რა თქმა უნდა, მოპარულ თივას ჭამდა, მაგრამ რატომ მოკალით, ის ხომ კარგი ცხენი იყო...

**- როგორი ურთიერთობები აქვთ დელეგაციის წევრებს კონფერენციის გარეშე?**

- ზურგში არავინ არავის ესვრის. ჯანსაღი ურთიერთობები გვაქვს...

**- ქართველ პოლიტიკოსებს ყველაზე ხშირად საქეიფოდ ვინ დაჰყავთ?**

- შემიძლია გითხრათ ვისადმია, ქართული პრესისა და ტელევიზიის ყველაზე დიდი ინტერესი - ზატულინისა და მიგრანიანის მიმართ და ეს გასაგებია - ოდიოზური ყოველთვის საინტერესოა. ვის აინტერესებს ლიბერალი პაინი, რომელიც ურთიერთობებზე ძალზე ჭკვიანურად, ზუსტად და ღრმად საუბრობს...

**- რა გავლენას ახდენს საზოგადოება რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებზე?**

- რუსეთის საზოგადოებას ერთადერთი მიზანი აქვს - რაც შეიძლება ნაკლები იცოდეს საკუთარი მთავრობის შესახებ და რაც შეიძლება შორს იდგეს მისგან. აბსოლუტური აპათია, გულგრილობა, დაღლილობა სუფევს... თუმცა, მათ გონებას ჩეჩნეთი მაინც აფორიაქებს...

**- პუტინის მიერ გამოცხადებულმა ჩეჩნების ამნისტიამ არ ააღელვათ?**

- არანაირად, რადგან ყველას ესმის, რომ ეს იაფფასიანი პროპაგანდისტული ღონისძიება იყო...

**- რაღაც მაინც ხომ აფორიაქებთ?**

- როგორ არა. უკანასკნელ ხანს საზოგადოება ააღელვა დარტყმამ, რომელიც რუსეთის ნაკრებს საქართველოს ნაკრებმა მიაყენა... ეს ღალატის ტოლფასი იყო, არავინ ელოდა. ამან სერიოზული ანტირუსული ემოციები გამოიწვია.

**- გაზაევს არ მოხვდა, ისევ მთავარი მწვრთნელია?**

- გაზაევისთვის ერთადერთი სამოღვაწეო ადგილი დარჩა – ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირებაში ჩართვა. უფრო დიდი სასჯელი მისთვის არ არსებობს...

# მუსიკალურ-ფერწერული ტანდემი



გია ხუციშვილის ნახატი "საქსოფონი".

ნათია ვადაჭკორია

*საკმაოდ იშვიათი და ამავე დროს სასიამოვნო მოვლენაა, როდესაც ხელოვნების მოყვარულებს ერთდროულად კლასიკური მუსიკის მოსმენა და არანაკლებ კლასიკური, ფერწერული ნამუშევრების ერთდროულად ნახვა შეუძლიათ. ეს სასიამოვნო ტრადიცია უკვე დამკვიდრდა კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე ცოლ-ქმარს – ნუცა კასრაძეს და გია ხუციშვილს ეხებათ. სწორედ ამ მუსიკალურ-ფერწერული ტანდემის შემოქმედებას შეაფასებს დღეს კონსერვატორიის დიდ დარბაზში მისული საზოგადოება.*

პიანისტ ნუცა კასრაძის მოღვაწეობა როგორც საკონცერტო შესრულებას, ისე რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო (საბერძნეთი, იტალია) კონკურსებში მონაწილეობას მოიცავს, საიდანაც იგი არაერთგზის გამარჯვებული დაბრუნებულა. თანაც, იგი პრეზიდენტის ფონდის სტიპენდიანტიც გახლდათ.

**"რომელი კომპოზიტორის ნაწარმოებზეც ვმუშაობ, იმაზე ვგიჟდები. ძალიან მიყვარს შუმანი, სკრიაბინი, საერთოდ რომანტიზმი და იმპრესიონიზმი. ქართველი კომპოზიტორებიდან, ჩემი მასწავლებელი ნოდარ გაბუნია მიყვარს. მის საფორტეპიანო ციკლს დიდი სიყვარულით ვასრულებ; რევაზ ლაღიძის "რონდო-ტოკატის" გარდა, დალი ჩხეიძის კონცერტი ორკესტრთან ერთად მაქვს შესრულებული. სიმართლე რომ ვთქვათ, რეპერტუარში ქართული მუსიკა ფართოდ არა მაქვს"** – აცხადებს ნუცა კასრაძე.

დღევანდელ კონცერტზე კი, პირველ განყოფილებაში შესრულდება შუმანის "იუმორესკა", მეორეში კი - რაველის "სკარბო" ციკლიდან "ღამის გასპარი" და სკრიაბინის სონატა N 5.

პარალელურად, კონსერვატორიის დიდი დარბაზის ფოიეში ნუცას მეუღლის – ოთხმოცდაათიანელების წარმომადგენლის, გია ხუციშვილის ფერწერული ნამუშევრების გამოფენა მოეწყობა. ეს ცოლ-ქმრისთვის პირველი შემთხვევაა, როცა ერთად წარმოაჩენენ თავიანთ შემოქმედებას, თუმცა მომავალში მათ უფრო ვრცელი გეგმები აქვთ, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ. მართალია, ამჯერად სცენაზე შესრულებულ მუსიკას და ფერწერულ ტილოებს თემატურად არაფერი აერთიანებთ, მაგრამ ვგონებ ისიც საკმარია, რომ ცოლ-ქმარი ერთობლივ ნაწარმს გვპირდება.

**"ამჯერად მუსიკა და ფერწერა არავითარ კავშირში არ იქნება, მხოლოდ ის გაგვაერთიანებს, რომ ცოლ-ქმარი ვართ. ვნახოთ, როგორი რეზონანსი ექნება ჩვენს პირველ მცდელობას და მერე შევეცდებით მუშაობა უფრო გავაფართოვოთ. ეს ჩვენი ერთობლივი იდეაა, ამ შემთხვევაში უფრო მე ვიაქტიურე, რაც შეეხება უფრო სერიოზულ გეგმებს, გია მეტად ფიქრობს"** – გვპირდება ნუცა.

საერთოდ ნუცა ბავშვობიდან არის ფერწერის მოყვარული, რადგან იგი არა მარტო მუსიკოსის, არამედ, მხატვართა ოჯახში გაიზარდა. ნუცასთვის არ ვიცი და მისი მეუღლისთვის როგორია მუსიკოსის ოჯახში ცხოვრება ვერ გეტყვით, რადგან, გულახდილად რომ გითხრათ, პიანისტის ოჯახში ცხოვრება და ყოველდღიური გამების და განონების მოსმენა არც ისე ადვილია.

თუმცა, ნუცას თქმით, მიუხედავად იმისა, რომ გია მუსიკაში კომპეტენტური არ არის, ხელოვნების აღქმაში გამორჩეული მონაცემები აქვს და ზუსტად შეუძლია უთხრას შენიშვნა, განაწყოს კარგ ხასიათზე.

რაც შეეხება გია ხუციშვილის მიერ დღეს გამოფენილ ნამუშევრებს, რაიმე ერთი თემა არ აერთიანებთ, ისინი სხვადასხვა სერიებიდანაა წარმოდგენილი : "მეფე ქანდაკებასთან", აპოლინერის ლექსების მოტივებზე, "დაკარგული ნავი", "ორ მინაში", აპოლინერის თემაზე "კორტეჟი", "ძველი ცეკვა. ბერიკა", "შემოდგომის ფოთლები" და სხვა.

**"საერთოდ არა ვარ ხოლმე მომხრე ფერწერა, მუსიკა, ლიტერატურა ერთად იყოს და, ალბათ, პროფესიონალისთვის ეს ცოტა არასერიოზულიც არის. თუმცა, მე და ნუცა ვფიქრობდით ისეთი პროექტი განგვეხორციელებინა, რასაც მართლა მუსიკისა და ფერწერის სინთეზი ჰქვია; თუ რა სახით, ჯერ ამაზე ნუ ვისაუბრებთ. თავის დროზე ბერტრანის ნამუშევრებმა აღაფრთოვანა რაველი და ასეთი მუსიკა შეაქმნევინა. ეს გვინდოდა უფრო თანამედროვე ვარიანტში გაგვეკეთებინა, რაც საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული"** – ამბობს გია ხუციშვილი.

თუ ხსენებული პროექტი სათანადო ყურადღების ღირსი გახდება, რასაკვირველია, განხორციელებადია, თუმცა, ცოლ-ქმარს ეჩვენება, რომ ეხლა ამის დრო არ არის. მასკულტურის კანონებიდან გამომდინარე, ის რაც მასებისთვის არაა განკუთვნილი, ძნელად გასაგები და განხორციელებადია. ხსენებულ პროექტში ძირითადი პრობლემა განათებაა, რაც საკმაოდ ძვირი ჯდება, ტილოების შეძენაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. თუმცა, რაველის მუსიკის ფონზე სათანადო განათებით და საკვანძო მომენტებში "ღამის გასპარიდან" აღებული სიუჟეტების ფერწერულ ტილოებად წარმოდგენა, მართლაც, შთამბეჭდავი იქნებოდა. აღსანიშნავია, რომ ცოლ-ქმარს აქამდე არავითარი სპონსორი არ ჰყოლია და მხოლოდ საკუთარი შემოქმედებით ცხოვრობენ. ნუცას სამომავლო და უახლოესი გეგმა ივლისის თვეში მასტერკლასებზე გამგზავრება და საინტერესო მუსიკოსთან პერტი კაროლთან შეხვედრაა.

# ძველი ყაიდის მთხრობელი

## სარდაფის სტუმარი - პაატა ბერიკაშვილი

ანა კორძაია-სამადაშვილი

"ძველი ყაიდის მთხრობელი" მას გუშინ ლიტერატურული "ხუთშაბათობის" ტრადიციულმა მასპინძელმა, ზაალ სამადაშვილმა უწოდა. პირადად მე ამასთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით – მხოლოდ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილი მშვენიერი მოთხრობა, "ყვავილის გაშლის დრო" მაქვს წაკითხული. გუშინ სარდაფში წარმოდგენილი ორი წიგნი – "მიტოვებული ვაგზლის რექვიემი" და "მონოდუელი თეთრი კვიცების ფრესკის ფონზე" - საკმაოდ სქელტანიანი ტომებია. გარკვეულწილად პაატა ბერიკაშვილის ძველი ყაიდის მწერლად შერაცხვა - ალბათ, მისი ნაწარმოებების მოცულობამაც განაპირობა – მოგეხსენებათ, უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ქართველები ყველაფერს მოკლედ და კონკრეტულად ვაკეთებთ, რომ ყველაფერი სწრაფად დამთავრდეს – სწრაფად ვჭამთ, სწრაფად გვიყვარს, სწრაფად ვკითხულობთ...

პაატა ბერიკაშვილი ჩემთვის წლების განმავლობაში, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან, "მხოლოდ" პოეტი იყო. მან უკვე გამოაქვეყნა ორი პოეტური კრებული და ახლა ფართო საზოგადოებას თავის პროზაული ნაწარმოებებიც წარუდგინა.







ავტორი და მისი ორი ახალი გამოცემა.

"მონოდუელი თეთრი კვიცების ფრესკის ფონზე", თუკი ავტორის ბოლოსიტყვაობას ვენდობით, ერთობ ცხოვრებისეული რომანია. მასში ვერც დადებით და ვერც უარყოფით პერსონაჟებს ვერ შევხვდებით, და ყველაზე სიმპათიურ გმირსაც კი ერევა ხოლმე ბოროტი და კეთილი, პატიოსნება და მისი უარყოფა, ანუ, რეალური არსებაა და არა ტიკინა. ეს უკვე კარგია.

გთხოვთ, გაითვალისწინეთ – ამავე წიგნშია შესული ზემოთხსენებული მოთხრობაც, "ყვავილის გაშლის დრო", ოღონდ რატომღაც გამომცემლობა "სამშობლომ" სარჩევის ცნების სრული იგნორირება მოახდინა.

ასევე უცნაურადაა გაკეთებული ის წიგნიც, რომელსაც "მიტოვებული ვაგზლის რექვიემი" ჰქვია. ეს სათაური გარეკანზე წერია, თავფურცელზე კი ვკითხულობთ: "ჟამი, რომელსაც სიცოცხლე გადასწვდა". ვაი! როგორც გაირკვა, "მიტოვებული ვაგზლის რექვიემი" ორ ნაწარმოებს შეიცავს, მაგრამ რატომღაც სარჩევი კვლავ დაივიწყეს, ხოლო ის ნაწარმოები, რომლის სახელწოდებაც კრებულის სათაურად იქცა, რიგით მეორეა. ესაა და ეს.

ამ პატარა გაუგებრობას რომ თავი დავანებოთ, პაატა ბერიკაშვილის წიგნების პრეზენტაცია მშვენიერი იყო – "ხუთშაბათობებისთვის" დამახასიათებელი უშუალო ატმოსფერო, საინტერესოდ მოსაუბრე და მშვენიერი მთხრობელი წიგნების ავტორი, პაატა ბერიკაშვილის მეგობრებისა თუ ნიჭის თაყვანისმცემლების გულთბილი გამოსვლები... ჩვენც ვულოცავთ ავტორს მშვენიერი წიგნების გამოცემას, მკითხველს კი ვახარებთ, რომ თუმცა "ძველი ყაიდის", მაგრამ ახალი და საინტერესო ლიტერატურის წაკითხვის შესაძლებლობა ექნება.

# „თითქოს" ქართულ მუსიკალურ ბაზარზე

თეონა ჯაფარიძე

შოუბიზნესის ახლადგამოჩეკილი ქართველი პროდუსერებისა და აგენტებისთვის საკმაოდ მომგებიანი ლუკმა – ბაკურ ბურდულის პირველი ალბომი უკვე მზად არის. მთავარია მისი შემჩნევა; მთავარია დაინახო, რომ შენს წინაშეა პოპალტერნატივა და არა ის ყბადაღებული ქართული "პოპსა", რომელიც მის თავგადაკლულ ფანებსაც კი უკვე ყელში ამოუვიდათ. ალბათ, დროა თინეიჯერებს უფრო დემოკრატიული მუსიკა შევთავაზოთ. ყოველ შემთხვევაში, არჩევანის საშუალება მაინც მივცეთ.

ბაკურ ბურდულის ალბომი "თითქოს" როგორც გითხარით, ერთდროულად პოპის ელემენტებსაც შეიცავს და ალტერნატიულ მუსიკასაც. ამიტომ ის ფართო მსმენელზეც გათვლილია და ე.ი. კომერციულია, ალტერნატიულობიდან გამომდინარე კი ის დახვეწილია.

ალბომზე მუსიკოსი ორი წელიწადი მუშაობდა. "მშრალი ჩანაწერები" მან საკუთარ სახლში, მინისტუდიაში გააკეთა. კომპოზიციებმა კი საბოლოოდ დამუშავებული სახე მოსკოვში მიიღო. რამდენიმე ძველი სიმღერა, მაგალითად: "გამოგივა ხვალ", ალბომში ახალი არანჟირებით არის შეტანილი. "მოსკოვში მაქს ფადეევის სტუდიაში ვმუშაობდი. ჩაწერაზე "ტა-ტუს" ყოფილი ხმის რეჟისორი მეხმარებოდა. აუცილებლად გავმართავ თბილისში კონცერტს და აუცილებლად მოვიწვევ მას, იმიტომ, რომ ტექნიკურად იმავე ხარისხის კონცერტი მინდა გამომივიდეს, როგორიც ეს ალბომია", - ამბობს მუსიკოსი.







ბაკურ ბურდულის ახალი ალბომის გარეკანი.

ერთი კომპოზიცია "თითქოს", რომელიც ალბომის სახელწოდებაცაა, რუსული ვერსიითაც მეორდება. "რუსულად "ვიკაიფე". ამ სიმღერით ჩემი ცხოვრების ის ნაწილი მოვნიშნე, როცა მოსკოვში ვცხოვრობდი. ქალის ვოკალი რომ გესმის, ეს თეონა დოლნიკოვაა, მიუზიკლ "მეტროს" ერთ-ერთი წამყვანი სოლისტი. თეონა კონტრიძეში არ შეგეშალოთ", - გვიხსნის მუსიკოსი. როცა დავინტერესდი, თუ რატომ უფრო მეტად არ "იკაიფა" რუსულად ბაკურ ბურდულმა, ანუ ცოტა ხნით მაინც რატომ არ მოსინჯა რუსული შოუბიზნესი და რუსული სცენა, მისგან ასეთი პასუხი მივიღე: "იქ ჩემი სტილის მუსიკას ბევრი უკრავს. ამ ბოლო დროს რუსებს ბევრი "ზემფირა" გამოუჩნდათ. მე კი მინდა ასეთი მუსიკა საქართველოში, ჩვენთან სრულდებოდეს და ისმინებოდეს". ზემოთ ქალის ვოკალი ვახსენე, ალბომი მსმენელისათვის ცნობილი კომპოზიციით "გაზაფხულით" იწყება, რომელსაც ბაკური მადი სერებრიაკოვასთან ერთად ასრულებს. ალბომის "პრომოუშენისათვის" მუსიკოსი სწორედ ამ კომპოზიციაზე აპირებს ვიდეოკლიპის შექმნას. რაც შეეხება "ზემფირას" სტილს (თვითმყოფადობა და ალტერნატიულობა მაქვს მხედველობაში), ალბომში შესულმა ერთმა კომპოზიციამ სახელწოდებით "ფეთქავს", რომელიც "ზუმბას" ტამტამების თანხლებით სრულდება, ძალზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დანარჩენ კომპოზიციებს თავად მოუსმინეთ. მითუმეტეს, რომ ქართველი მსმენელი ამ ახალ ალბომს გემოს სულ მალე გაუსინჯავს. სტუდია "თბილისში" უკვე დაიბეჭდა და მალე გაყიდვაში გამოვა ბაკურ ბურდულის ალბომი "თითქოს". ვნახოთ რა ადგილს დაიკავებს ის ქართულ მუსიკალურ ბაზარზე.





ფოთი. 7-8 ივნისი. გემი „კაპიტანი თავართქილაძე". www.penmaratoni.gol.ge ტელ.: 96 79 71, 877 75 76 05

- საკონკურსო განაცხადები მიიღება გამომცემლობა "დიოგენეს" ოფისში (თბილისი, ჯაველიძის ქ. 6, III სართული), 2003 წლის 19 - 30 მაისს, ყოველდღე 15-დან 18 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა. მსურველებმა უნდა შეავსონ განაცხადის ფორმა (ბიოგრაფიული და საკონტაქტო მონაცემები) და წარმოადგინონ საკუთარი გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი ერთი პროზაული ნაწარმოები ან ნაწარმოების ფრაგმენტი (5 გვერდამდე) ნაბეჭდი ან ხელნაწერი სახით.
- ლიტერატურული კონკურსი "PENმარათონი"-2003 გაიმართება 2003 წლის 7-8 ივნისს ფოთის საზღვაო ნავსადგურში, გემზე "კაპიტანი თავართქილაძე". თითოეულმა კონკურსანტმა 24 საათის განმავლობაში (7 ივნისის დღის 12-დან 8 ივნისის დღის 12 საათამდე) ქართულ ენაზე უნდა შექმნას ერთი ორიგინალური პროზაული ნაწარმოები. კონკურსანტები იმუშავებენ გარკვეულ თემაზე, რომელიც უშუალოდ მარათონის დაწყების წინ დასახელდება.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმში რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## ინფოთეკა

### კანის დისკოთეკა აუკრძალეს

ოლივერ კანმა რომ საერთოდ აიღო ხელი სინდის-ნამუსზე, ეს უკვე დიდი ხანია ცნობილია. საზოგადოება ერთი სკანდალის დავიწყებას ვერ ასწრებს, ყვითელი პრესა უკვე მეორე ცინცხალ ინფორმაციას აქვეყნებს კანის უსაქციელობის შესახებ. "ოლის" თავს თითქმის ყოველდღე ხდება რაღაც არაორდინარული. კაცმა არ იცის, რატომ შეიცვალა ასე კანი. დიდება აუვარდა თავში თუ, უბრალოდ, მობეზრდა თამაში "ბაიერნში", სადაც ცხრა წლის განმავლობაში უკვე ყველაფერი მოიგო? ალბათ, ერთიც და მეორეც.

ახლახან "ბაიერნის" მენეჯერმა ული ჰიონესმა კიდევ ერთი საჩივარი მიიღო კანის თაობაზე: თურმე "ოლი" რეგულარულად დადის დისკო "P 1"-ში, სადაც მისი ვერენა მუშაობს და ყველას თვალწინ ეკურკურება ახალ საყვარელს. საერთოდ, არავისი ერიდება, საშინლად თავხედი გახდაო, - დააბეზღეს კანი კლუბის მენეჯერთან, მაგრამ ეს ული ჰიონესმა უკვე დიდი ხანია იცის. ისიც იცის, რომ გაკიცხვას და დასჯას აზრი არა აქვს, ჯიუტ "ოლის" მაინც ვერაფერს შეასმენს. ამის მიუხედავად, ჰიონესმა მაინც სცადა, კანისთვის ჭკუა ესწავლებინა და დისკოთეკაზე წასვლა აუკრძალა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ "ოლი" ამ აკრძალვამ შეაშინოს...

### ტომასონი „რომას" ემსხვერპლა

ტყუილად კი არ ჩაიყვანა კარლო ანჩელოტიმ თითქმის მეორე შემადგენლობა რომში იტალიის თასის პირველ ფინალურ მატჩში სათამაშოდ. "რომას" ფეხბურთელები, სხვა რომ ვერაფერი მოახერხეს, მილანელების დამტვრევაზე გადავიდნენ და სტუმრები დასახიჩრებულები გაუშვეს ლომბარდიაში. პაოლო მალდინიმ მცირე ტრავმა მიიღო, დანიელ იონ დალ ტომასონს კი ლამის მხარი მოსტეხეს კაპელოს გამძვინვარებულმა "მგლებმა".

მალდინი მსუბუქადაა დაშავებული და ჩემპიონთა ლიგის ფინალს, ალბათ, არ გამოტოვებს. ტომასონი კი სათადარიგოთა სკამიდანაც ვერ ნახავს "მილანისა" და "იუვეს" მატჩს. დანიელი ფორვარდის ტრავმა იმდენად სერიოზულია, რომ, შესაძლოა, დღეს ოპერაცია გაუკეთონ. "მილანის" დანარჩენი ფეხბურთელები მწყობრში არიან და სეზონის დარჩენილი ორი თამაშისთვის მონდომებით ემზადებიან.

### ჰესლერის უკანასკნელი მატჩი

იტალია 90-ის ერთ-ერთი ტრიუმფატორი თომას ჰესლერი, ალბათ, უკანასკნელი მსოფლიო ჩემპიონია ფრანც ბეკენბაუერის ბრწყინვალე ნაკრებიდან, ვინც დღემდე თამაშობს ფეხბურთს. ჰესლერის თითქმის ყველა კოლეგა, ლოთარ მათეუსი იქნება ეს თუ რუდი ფიოლერი, ანდრეას ბრემე თუ კლაუს აუგენტალერი, უკვე დიდი ხანია შეეშვა თამაშს და დღეს მწვრთნელის ამპლუაში ცდის ბედს. 24 მაისს თომას ჰესლერიც დაემშვიდობება ბუნდესლიგას, მაგრამ არა თავად ფეხბურთს.

დამდეგ შაბათს დაგეგმილი მატჩი "მიუნხენ 1860"-სა და "ბოხუმს" შორის ჰესლერის უკანასკნელი იქნება ბუნდესლიგაში. ამის შემდეგ ფეხბურთელი კატარში აპირებს წასვლას. "ნავთობის სამოთხე" უკვე ძალიან პოპულარული და მოდური გახდა გერმანიაში. შტეფან ეფენბერგი და მარიო ბასლერი მომავალ სეზონს დოჰაში დაიწყებენ. ჰესლერსაც სურს, ცოტა ხანს კიდევ აგოროს ბურთი და თან მილიონები მიიღოს კატარელი შეიხებისგან.

### ხესუს ხილი მიდის

მადრიდის "ატლეტიკოს" სკანდალურად სახელგანთქმული პრეზიდენტი ხესუს ხილი თავისი კლუბის დატოვებას აპირებს. ხილმა ბევრი გააკეთა "ატლეტიკოსთვის". გუნდი პრიმერა დივიზიონში გადაიყვანა, იტალიური "მილანიდან" რამდენიმე ფეხბურთელი იჯარით წაიყვანა, რითაც საგრძნობლად გააძლიერა "ატლეტიკო", მაგრამ ამ ნაყოფიერი მოღვაწეობის პარალელურად ფინანსურ მაქინაციებშიც გაყო თავი, რის გამოც ერთხანს გისოსებს მიღმაც კი აღმოჩნდა.

2002-03 წლების მიწურულს "ატლეტიკოს" ექსცენტრულმა პრეზიდენტმა კლუბის დატოვება გადაწყვიტა. "უკვე სამოცდაათი წლის ვარ და დავიღალე ამდენი დავიდარაბით. ბოლო დროს მოვლენები ისე განვითარდა, რომ ესპანეთში პატივს აღარ მცემენ. სწორედ ამიტომ, არ მინდა, ჩემს გამო "ატლეტიკოს" რაიმე პრობლემა შეექმნას. ხესუს ხილის სახელი გუნდისთვის არ უნდა გახდეს შეურაცხყოფის სიმბოლო", - განაცხადა სენტიმენტალურმა პრეზიდენტმა "რადიო მარკასთვის" მიცემულ ინტერვიუში.

### რა უნდა მანჩინის?

როცა "ინტერმა" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშიც ვერ შეძლო "მილანის" ბარიერის გადალახვა და ექტორ რაულ კუპერი თავისი მესამე ლიგური ფინალის გარეშე დარჩა, იტალიაში ჭორები გავრცელდა, რომ მასიმო მორატი კუპერს კლუბიდან გაუშვებდა და მის ნაცვლად "ლაციოს" თავკაცს რობერტო მანჩინის მიიწვევდა.

მორატი ემოციებს არ აჰყვა და კუპერი გუნდში დატოვა, რასაც "ინტერის" ფეხბურთელებმა სწორი გადაწყვეტილება უწოდეს. ფაბიო კანავარომ ქათინაურები მიუძღვნა არგენტინელ სპეციალსტს და დარწმუნებით განაცხადა, მომავალ სეზონში "ინტერი" უფრო მეტს მიაღწევსო. ასე რომ, კუპერის თემა დახურულად გამოცხადდა.

სანამ "ინტერი" კუპერის წასვლა-დარჩენის საკითხს გაარკვევდა, რობერტო მანჩინი "ლაციოსთან" კონტრაქტის გაგრძელებას არ ჩქარობდა, ალბათ, იმედი ჰქონდა, რომ "ინტერში", მართლაც, მიიწვევდნენ. კუპერი მილანში დარჩა, მანჩინის კი ჯერაც არ მოუწერია ხელი კონტრაქტისთვის. რაღას ელის "ლაციოს" ხელმძღვანელი? ძნელი სათქმელია. მანჩინის ყოყმანის მიუხედავად, "ლაციოს" ბოსები მაინც დარწმუნებული არიან, რომ ეს ახალგაზრდა სპეციალისტი რომიდან არ წავა და პრესას უცხადებენ, ხელშეკრულება უახლოეს მომავალში განახლდებაო.

### დასავლეთში დიდი ამბებია

დასავლეთ კონფერენციის ფინალის მეორე მატჩში "სან-ანტონიო სფურსმა" 119:106 დაამარცხა "დალას მავერიქსი" და სერიაში ანგარიში გაათანაბრა. გამარჯვებულთაგან თავი ტიმ დანკანმა გამოიჩინა. მის ანგარიშზე 32 ქულა, 15 მოხსნა და 3 დაფარებაა. ეს კიდევ არაფერი. მარტო დანკანის ძალისხმევას დალასელები პირველ შეხვედრაში გაუმკლავდნენ და თამაში მოიგეს, მაგრამ უმაღლეს დონეზე ითამაშეს "სფურსის" ახალგაზრდა კალათბურთელებმა როუზმა (25), პარკერმა (19) და ჯექსონმა (17). მათ წინააღმდეგ ნოვიცკი და კომპანია უძლური აღმოჩნდა.

## TV-სპორტი

**პარასკევი. 23 მაისი**

**НТВ+ФУТБОЛ**
5.35 ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
13.00 თავისუფალი დარტყმა
13.20 ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი
15.10 "FUTBOL MUNDIAL"
15.40 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "მილანი" - "ინტერი"
17.25 "საფეხბურთო სამზარეულო"
18.00 ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
19.00 თავისუფალი დარტყმა
19.20 ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი
21.05 პოსტსკრიპტუმი
21.35 "გაიტანე"
21.50 ფუტზალი. რუსეთის ჩემპიონატი. ფინალი
22.50 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "იუვენტუსი" – "რეალი"
0.35 იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა

**НТВ+СПОРТ**
4.00 ჰოკეი. სტენლის თასი. ნახევარფინალი. პირდაპირი რეპორტაჟი
11.00, 14.00, 17.10, 20.00, 22.00 პრეს-ცენტრი
11.15, 22.15 "ოლიმპის შვილები"
11.20, 14.15 აერობიკა
11.45 ჰოკეი. სტენლის თასი. ნახევარფინალი
14.40 მსოფლიო ჩემპიონატი რუსულ ბილიარდში. მეორე ნაწილი
16.10 საჩოგბურთო მიმოხილვა
16.40 NBA-ის მიმოხილვა
17.20 "კეგლის შეგროვების დროა"
17.50 NHL-პლუსი
18.00 სინქრონული ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი.
19.05 ტაილანდური კრივი
20.15 ტელეჟურნალი "სიჩქარის სამყარო"
20.45 "ფარი და ბურთი"
21.30 "სპორტული გლობუსი"
22.25 ჰოკეი. სტენლის თასი. ნახევარფინალი
0.40 როდეო
1.25 ახალი ამბები
1.40 NHL-პლუსი
1.50 "ფარი და ბურთი"

**EUROSPORT**
11.30 ველოსპორტი. ტრეკი. მსოფლიო თასი
12.00 ფეხბურთი. ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის მიმოხილვა
13.00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების ლეგენდები
14.00 ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი
16.00 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. პირდაპირი რეპორტაჟი
17.30 ველოსპორტი. "ჯირო დ`იტალია" მე-12 ეტაპი
18.30 ველოსპორტი. "ჯირო დ`იტალია" მე-13 ეტაპი. პირდაპირი ტრანსლაცია
20.45 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. პირდაპირი რეპორტაჟი
0.00 კიკბოქსინგი
2.15 ფორმულა 1-ის ჟურნალი
2.30 რალი-რეიდი. გადაცემა პორტუგალიიდან
3.15 მოტოსპორტი
3.45 სპორტის ექსტრემალური სახეობები

## ფეხბურთი

# ერთი ნაბიჯი ჩემპიონობამდე

მიხეილ აბაიშვილი

შეხვედრის 69-ე წუთი: მოედნის ცენტრიდან დარასელიას გამოზომილი პასი "ლოკომოტივის" საჯარიმოში, დაახლოებით, პენალტის ნიშნულთან, რატი ალექსიძის მოხდენილი თავური დარტყმა, რის შემდეგაც ბურთი მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში ჩაეშვა. საქართველოს ნაკრების მეკარის, გიორგი ლომაიას თავგანწირული ნახტომი საკმარისი არ აღმოჩნდა და გავიდა გოლი, რომელმაც "დინამოს" თითქმის გაუფორმა საქართველოს 2002-2003 წლების სეზონის ჩემპიონის ტიტული.

თითქმის, რადგან "დინამოს" ჩემპიონობის გასაფორმებლად კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმა მოუწევს - 30 მაისს, ჩემპიონატის ბოლო ტურში, საკუთარ მოედანზე, ბოლნისის "სიონთან".

გუშინდელი მატჩის დებიუტი კი, რომელსაც "ლოკომოტივის" სტადიონმა უმასპინძლა, დღეს უკვე თითქმის ჩემპიონებს კარგს არაფერს უქადდა. პირველივე წუთებიდან მასპინძლებმა ხელთ იგდეს ინიციატივა. მართალია, სოლიდურ ტერიტორიულ უპირატესობას ვერ დაეუფლნენ, მაგრამ მათი თამაში გაცილებით უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებდა. პირველივე წუთებზე "ლოკომოტივმა" ძალიან კარგი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა: ტრავმამოშუშებული რუსიას ფლანგური გარღვევის შემდეგ ბურთი "დინამოს საჯარიმოში მყოფ ნანა ეშუანს მიუვიდა, რომელმაც ბურთი უკან დაუგორა "ცეცხლის ხაზზე" შეჭრილ ჭიჭვეიშვილს და ზოიძის დროული რეაქცია რომ არა, მისი დარტყმის შემდეგ ანგარიში გაიხსნებოდა. ეს მტკივნეული "ჩხვლეტა" საკმარისი არ აღმოჩნდა "დინამოს" გამოსაფხიზლებლად, ყოველ შემთხვევაში, პირველ ტაიმში მაინც. ჩემპიონატის ფავორიტის თამაშში იგრძნობოდა ნერვული დაძაბულობა. მთელი 45 წუთის განმავლობაში სტუმრებს ლომაიას კარისთვის ერთხელ ხეირიანად არ შეუტევიათ. პირიქით: ტაიმის მიწურულს ეროვნული ნაკრების კიდევ ერთ ლოკომოტიველ წევრს, სირაძეს რომ თავით უფრო ზუსტად დაერტყა, "დინამო" ცენტრიდან განაახლებდა თამაშს. სწორედ ამ წუთებში მასპინძელთა აქტიურმა შავკანიანმა თავდამსხმელმა ეშუანმა ტრავმა მიიღო, რამაც მისი გუნდის შეტევებს სიმწვავე მოაკლო.



დინამოელები მოგებამ გაახარა

მეორე ნახევარში ვითარება კარდინალურად შეიცვალა. როგორც ჩანს, შესვენებისთვის განკუთვნილი 15 წუთი შუშაკმა სწორად გამოიყენა. "დინამო" სიტუაციის სრული ბატონპატრონი გახდა და მეთოდურად დაიწყო მასპინძელთა შევიწროება. თამაშმა მთლიანად "ლოკომოტივის" ნახევარზე გადაინაცვლა, სტუმართა იერიშები სულ უფრო მეტ სიმწვავეს იძენდა და ნათელი გახდა, რომ რკინიგზელები დიდხანს ვეღარ გაძლებდნენ. ასეც მოხდა. თუ როგორ განვითარდა მოვლენები 69-ე წუთზე, უკვე მოგახსენეთ.

დარჩენილ დროში თუ ვინმეს შეეძლო გოლის გატანა, ისევ "დინამოს", რომელსაც "ლოკომოტივის" დამარცხებაში უკვე ტრავმამოშუშებული კარლოს და როჩაც ეხმარებოდა. სერგო კვარაცხელიას საფინალო სასტვენმა "დინამოს", თუ შეიძლება ასე ითქვას, "ნახევარჩემპიონობა" დააფიქსირა, რის "გამთლიანებასაც" შუშაკი და კომპანია 30 მაისს შეეცდება.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე "ლოკომოტივის" პერუელი მწვრთნელი ლუის ცაკარიასი არ მოვიდა. გთავაზობთ მხოლოდ ივო შუშაკის კომენტარს.

"ძალიან რთული და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ. ამ მატჩის წინ ჩვენს წინააღმდეგ რამდენიმე ფაქტორი მოქმედებდა. პირველ რიგში, დასაძლევი გვქონდა ფსიქოლოგიური ბარიერი, რომელიც მსგავს გადამწყვეტ შეხვედრებს ახლავს. გარდა ამისა, გვიწევდა ისეთი გუნდის მეოთხედ დამარცხება, რომელსაც მცირე ხნის განმავლობაში ზედიზედ სამჯერ მოვუგეთ. არადა, "ლოკომოტივმა" "ვიტ ჯორჯიასთან" წინა ტურში დაამტკიცა, რომ მაღალი კლასის გუნდია. პირველ ტაიმში ჩემი ფეხბურთელების თამაშში მაინც იგრძნობოდა ფსიქოლოგიური წნეხი, მეორე ნახევარში კი ჩვენი თამაში ვითამაშეთ და ალექსიძის ლამაზი გოლით გავიმარჯვეთ. 30 მაისს უნდა დავამტკიცოთ, რომ "დინამო" დღეს საქართველოს უძლიერესი გუნდია და ჩემპიონობას იმსახურებს. თუმცა, მანამდე კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მატჩი - დავით ყიფიანის თასის ფინალი გველის. ჩვენ, როგორც სეზონის დასაწყისში ვაცხადებდით, "დუბლის" შესრულებას ვგეგმავთ."

### ლოკომოტივი 0-1 დინამო

**ლოკომოტივი:** *ლომაია, ბალაშვილი, სალუქვაძე, ლაცაბიძე, ონიანი, ბურნაძე (სოსელია, 77`), ჭიჭვეიშვილი, კვარაცხელია (ძამსაშვილი, 61`), სირაძე, რუსია, ეშუანი (ძოძუაშვილი, 44`). მთავარი მწვრთნელი: ლუის ცაკარიასი*
**დინამო:** *ზოიძე, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, გოგობერიშვილი, ანჩაბაძე (სახვაძე, 86`), ბურდული (კარლოსი, 61`), კვირკველია, დარასელია, ალექსიძე, ახალაია (კანდელაკი, 80`).*
**მთავარი მწვრთნელი:** *ივო შუშაკი*
**გოლი:** *0:1 (ალექსიძე, 69`)*
**გაფრთხილებები:** *ხიზანეიშვილი, დარასელია, სირაძე.*
**მთავარი მსაჯი:** *სერგო კვარაცხელია.*

პარალელური მატჩი, რომელშიც "ვიტ ჯორჯია" ქუთაისის "ტორპედოს" მასპინძლობდა, სტუმართა გამარჯვებით – 1:0 დასრულდა. მატჩის პირველ ტაიმში თავი გამოიჩინა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა იონანიძემ. მეორე ნახევარში მასპინძლებს ანგარიშის გათანაბრების რამდენიმე ხელსაყრელი შანსი მიეცათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს და არათუ ჩემპიონობისთვის, მეორე ადგილისთვის ბრძოლასაც ჩამოცილდნენ.

**მდგომარეობა ბოლო ტურის წინ**

| | | |
|---|---|---|
| დინამო | 9 | 45 |
| ტორპედო | 9 | 43 |
| ვიტ ჯორჯია | 9 | 40 |
| ლოკომოტივი | 9 | 38 |
| სიონი | 9 | 23 |
| კოლხეთი | 9 | 19 |

*ბოლო ტურში ერთმანეთს შეხვდებიან: დინამო – სიონი, ტორპედო – ლოკომოტივი, ვიტ ჯორჯია – კოლხეთი.*

# იკერ კასილიასი: „პრივილეგირებული ადამიანი ვარ - მე ხომ „რეალის" მეკარე გახლავართ"

*რამდენიმე წლის წინათ იკერ კასილიასის დაბადების დღე ნამდვილი ზეიმი იყო, რომელსაც უამრავი ჟურნალისტი აშუქებდა. დრო შეიცვალა, კასილიასს წლები მოემატა და უკანასკნელ ხანს დაბადების დღის აღნიშვნას ვიწრო წრეში ამჯობინებს. სამი დღის წინათ კასილიასი 22 წლის გახდა, თუმცა, ამ თარიღის აღნიშვნამდე ის ცნობილი ესპანური გაზეთის, "As"-ის კორესპონდენტს შეხვდა და ინტერვიუ მისცა.*

- კარგად მახსოვს ჩემი დებიუტი "რეალის" შემადგენლობაში. თითქოს გუშინ იყო. მაშინ ძუძუმწოვარა ვიყავი. ახლა უკვე გავიზარდე - როგორც ადამიანი და როგორც მეკარე. ყოველთვის მახსოვს, რომ ასაკთან ერთად პასუხისმგებლობის გრძნობაც მემატება. აღარ მაქვს უფლება, უწინდელივით გულუბრყვილო ვიყო.

**- ოღონდაც არ თქვა, რომ უკმაყოფილო ხარ...**

- პირიქით. მე პრივილეგირებული ადამიანი ვარ და ამას ხმამაღლა ვამბობ. მე მადრიდის "რეალის" ძირითადი შემადგენლობის მეკარე ვარ. ეს რაღაც დაუჯერებელია. ვცდილობ, ხასიათი ისე ჩამომიყალიბდეს, რომ მომავალშიც ყველაფერი კარგად გაგრძელდეს და ვერავითარმა ზეწოლამ ჩემზე გავლენა ვერ იქონიოს.

**- თვალებში შემომხედე და ისე მითხარი: ტურინში განცდილი მარცხი დიდი ტრავმა იყო?**

- პირველ ორ დღეს, ისევე როგორც მთელი გუნდი, ძალიან განვიცდიდი. გულშემატკივრებმა და ჟურნალისტებმა თქვეს, რომ ამ "რეალმა" ხუთ წელიწადში სამი თასითა და ორი ნახევარფინალით დაასრულა ეს ისტორიული ციკლი. ამის გამო უკმაყოფილო უნდა ვიყოთ? ცხადია, არა. ჩვენ მივაჩვიეთ ხალხი იმას, რომ ყოველთვის ვიმარჯვებთ და ეს არ არის კარგი. ჩემპიონთა ლიგის მოგება ძალიან ძნელია.



იკერ კასილასი 22 წლის გახდა

**- სინდისი ხომ არ გქენჯნის "იუვენტუსთან" გაშვებული რომელიმე გოლის გამო?**

- მე ვნახე ამ მატჩის ჩანაწერი. მესმის, რომ დამნაშავეების პოვნა ადვილია. გულთან ახლოს არ მიმაქვს, როდესაც ყველა მაქებს. ასევე ვფიქრობ, რომ იმ მატჩის გახსენება არაკორექტულია. საკუთარი თავის მიმართ ძალიან მომთხოვნი ვარ, თუმცა, იმ ბურთების აღება ძალიან ძნელი იქნებოდა.

**- რატომ უშვებ ამდენ ბურთს?**

- ამ თემაზე ამდენი საუბარი არ არის საჭირო. თქვენ ამას იმიტომ ამბობთ, რომ "სოსიედადის", "მანჩესტერისა" და "მაიორკის" წინააღმდეგ მატჩებში ბევრი ბურთი გაგვიტანეს. ოქტომბერში ცოტა გავუშვი, მაგრამ ეს არავის აღუნიშნავს.

**- რას იტყვი იმაზე, რომ ფერნანდო იეროს დაბრუნების შემდეგ, ამ ფეხბურთელის კლასისა და გამოცდილების მიუხედავად, თქვენი დაცვა უფრო არასაიმედო გახდა.**

- ეს უსამართლობაა. როდესაც ვიმარჯვებთ, ამას მთელი გუნდი ერთად აკეთებს. ადვილი სათქმელია, რომ ტურინში განცდილი მარცხი იეროს ბრალია. ის მატჩი მთელმა გუნდმა წააგო.

**- იმ მატჩის შემდეგ ზოგიერთებმა თქვეს, რომ ბუფონი შენზე კარგი მეკარეა.**

- შესანიშნავია! თქვენ ფიქრობთ, რომ ამის გამო გავბრაზდები? ბუფონი ჩემი კერპია. ის მსოფლიოს საუკეთესო მეკარეა და, ღმერთმა ქნას, მას შემადარონ. მაგრამ ამისთვის ჯერ მზად არა ვარ. როდესაც მას შემადარებენ, ეს იმის აღიარება იქნება, რომ მე ტოლდოზე და კანზე მაგარი ვარ.

**- პირადად მე, იკერ კასილიასს, ევროპის საუკეთესო მეკარედ ვთვლი და ასე ბევრი ფიქრობს...**

- გმადლობთ, თუმცა, იმასაც გეტყვით, რომ სანამ 25 წლის არ გავხდები, თქვენ ვერ იხილავთ საუკეთესო კასილიასს. ამ ასაკისთვის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ სიმწიფეს მივაღწევ და ეს ჩემს თამაშზეც აისახება. მე გამუდმებით ვვარჯიშობ, რათა უკეთესად ვითამაშო. ეს ბანალური ფრაზაა, მაგრამ მართალია.

**- ახლა ისევ თვალებში შემომხედე და მითხარი: დელ ბოსკე მწვრთნელის პოსტზე უნდა დარჩეს?**

- დარწმუნებული ვარ, დელ ბოსკე "რეალისთვის" იდეალური მწვრთნელია. მისი დარჩენა ჩვენთვის კარგი იქნება. ის ყოველთვის გვიცავს, მაშინაც კი, როდესაც გუნდი მის ინსტრუქციებს არ ასრულებს. ის ნამდვილი დიდოსტატია, როგორც მწვრთნელი და როგორც ადამიანი.

**- თქვენ აღარ საუბრობთ სეზარზე. თავს "რეალის" კარის პატრონად თვლით?**

- არა, მე მხოლოდ ჩემი თავის პატრონი ვარ. აქ, შესაძლოა, ორ თამაშში შევცდე და ყველაფერი მორჩება. ეს მადრიდია...

# ჩაწყობილი ბოლო ტური?

წლევანდელი ბუნდესლიგა ამ კვირის ბოლოს მთავრდება. შაბათ-კვირას საბოლოოდ გაირკვევა, ვინ მოხვდება ჩემპიონთა ლიგაში, ვინ უეფას თასზე და ვინ გადავა მეორე ლიგაში. ყველაზე მძიმე დღეში გავარდნის კანდიდატები არიან. "ბაიერის", "ბილეფელდისა" და "მიონხენგლადბახის" ბედი სწორედ უკანასკნელ ტურში წყდება. ამიტომ მატჩები მათი მონაწილეობით მეტად მნიშვნელოვანია.

ამ საყოველთაო დაძაბულობისა და ნერვიულობის ფონზე ყუმბარის გასროლასავით გაისმა უიმედო აუტსაიდერის, "ნიურნბერგის" პრეზიდენტის, მიხაელ როტის განცხადება: ჩვენთვის უკეთესი იქნება, თუ "ბაიერი" ბუნდესლიგაში დარჩება, რადგან მომავალ წელს ასეთ ძლიერ მეტოქესთან ბრძოლა აღარ მოგვიწევს უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლადო. თითქოს რა უნდა იყოს ცუდი იმაში, რომ როტს "ბაიერის" გავარდნა არ უნდოდეს, მისი მსჯელობა ხომ ლოგიკას მოკლებული არ არის: თუ "ბაიერი" ახალ სეზონში მეორე ლიგაში ითამაშებს, "ასპირინებთან" მეტოქეობა, მართლაც, გაუჭირდება "ნიურნბერგს". ამიტომ როტისთვის ჯობს, "ბაიერი" ბუნდესლიგაში დარჩეს. მაგრამ საქმე ასე მარტივად სულაც არ გახლავთ.

ბოლო ტურში ლევერკუზენელები სწორედ როტის კლუბს ხვდებიან და მოგების შემთხვევაში ბუნდესლიგაში ადგილს ინარჩუნებენ. ხომ არ ნიშნავს როტის სიტყვები იმას, რომ გავარდნილი "ნიურნბერგი" უკვე წინასწარ აცხადებს კაპიტულაციას და "ბაიერს" ხელს არ შეუშლის? ბუნდესლიგის აუტსაიდერები სწორედ ასე ფიქრობენ და მიაჩნიათ, რომ როტმა და კალმუნდმა საქმე ჩააწყვეს. აბა, სხვა რითი უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ "ბაიერმა" მაინცდამაინც ახლა დააპირა "ნიურნბერგის" საუკეთესო ფორვარდის დავიდ იაროლიმის შეძენა? ეს ხომ უკვე შეთანხმებაა? როგორ ფიქრობთ, რა ურჩევნია იაროლიმს, "ნიურნბერგის" წაგება და ბუნდესლიგაში დარჩენა "ბაიერთან" ერთად თუ თავისი მომავალი კლუბისთვის გოლის გატანა და მერე მეორე დივიზიონში თამაში? ალბათ, პირველი ვარიანტი, არა? თავად ფეხბურთელი კი ირწმუნება, ეს მატჩი ჩემთვის არაფრით განსაკუთრებული არ არისო, მაგრამ ძნელი სავარაუდოა, რომ მართლა ასე იყოს. ნუთუ ბუნდესლიგის ბოლო ტურის ამ უმნიშვნელოვანესი შეხვედრის ბედი უკვე წინასწარაა გადაწყვეტილი?

კალათბურთი

# დინამომ რევანში აიღო

ვაჟა თოთაძე

- მაგარი თამაში იქნება ვითომ?
- აბა, რა იქნება. "დინამოს", მოგების გარდა, სხვა გზა არა აქვს და თავს მოიკლავს.
- რა, "ბასკოს" აქვს სხვა გზა?
- მაგას ერთი თამაში მაინც აქვს მოგებული და დღეს უფრო მშვიდად იქნება. წააგებს უთუოდ.
- რატომ ვითომ?
- რატომ და მოთამაშეები კონცენტრაციას ვერ მოახერხებენ გუშინდელი მოგების შემდეგ.
- რაებს ჩმახავ, სხვა საქმეებით არიან დატვირთულები თუ რა?
- გუშინ დიდი ანგარიშით შემთხვევით მოიგეს. არაა "ბასკო" "დინამოზე" იმდენად ძლიერი, ასე უგებდეს.
- აბა, გუშინ სხვანაირად ჭიკჭიკებდი! შენ არ იყავი, რომ ამბობდი, ფინალს სამ მატჩში დავამთავრებთო?
- მოგებამ გამაგიჟა. ბიჭებსაც ასე დაემართებოდათ.
- შენ და ისინი ერთი ხართ? შენ შეიძლება აფორიაქდე, მაგრამ ისინი ხომ პროფესიონალები არიან...
- კი, ეგრე ჰქვიათ.
- ის სადაა, სახელი არ მახსოვს, ბრაიკოვიჩის თარჯიმანი?
- დღეს ფეხბურთია და შუშაკს ეხმარება, "დინამოს" ჩემპიონობის ბედი წყდება.
- აბა, აქ რას შვებიან, სახალისოდ თამაშობენ?
- არა, მაგრამ ფეხბურთი უფრო მნიშვნელოვანია, თანაც, ეგ ბიჭი შუშაკს ჰყავს მიჩენილი.
- აბა, ბრაიკოვიჩმა რა ქნას?
- ან მაგან უნდა ისწავლოს ქართული, ან ბიჭებს ასწავლოს ხორვატული.
- დაწყებითი კლასის მასწავლებელი ხომ არ გგონია, ყველაფერი ასწავლოს.
- კაი, კაი, მოვრჩეთ მაგაზე ლაპარაკს, დაიწყო თამაში. მოუძებნიან ვინმეს, აბა, ისე ხომ არ დატოვებენ?
- თორთლაძე არ დააყენა ხუთეულში...
- გუშინ ვერ ითამაშა კარგად და იმიტომ. მე მგონი, ეს შემადგენლობა ჯობს.
- გუშინდელივით დაიწყო. ჯერ თანაბარი თამაში იყო, მერე კი აირია.
- კარგია, კარგი. უკვე 11:4-ია. ასე თუ გაგრძელდა...
- შენ არ ამბობდი ცოტა ხნის წინ, წააგებს "ბასკოო"?
- იქნებ ვცდებოდი?
- მე მგონი, არა, ერთი ქულაღაა სხვაობა.
- ხომ გეუბნებოდი, ეს შემადგენლობა ჯობს-მეთქი.
- ჰო, ეგრეა, "დინამო" უკვე 19:15 დაწინაურდა.
- კარგად თამაშობენ აბრამიძე და ხოშტარია.
- ვენსკუნასი რა, ცუდია?



ლევან ხერხეულიძის ფოტო

"დინამომ" "ბასკო" უშანსოდ დატოვა

- ჰო, ეგეც კარგია. საერთოდ, დღეს ყველა უკეთ თამაშობს.
- აჰა, დამთავრდა მეოთხედი, 29:18-ია. რას იტყვი?
- კაცო, ეს მსაჯი რაღაც ნამეტანი ბევრს უსტვენს "დინამოს" სასარგებლოდ.
- ნუ დაიწყე ახლა. მსაჯის რა ბრალია, კალათში რომ ვერ აგდებთ.
- ვერც მეორე მეოთხედში დაეწყო გუნდი. ცინცაძეს რაღა სჭირს?
- არაფერი, უბრალოდ, გუშინ არავინ ეთამაშებოდა, დღეს კი ეთამაშებიან.
- არა, არა, თვითონ ვერ თამაშობს.
- გეუბნები, არ ათამაშებენ-მეთქი.
- აუჰ, უკვე 14 ქულით ვაგებთ. ხედავ, ბრაიკოვიჩმა ახლა გააკეთა პირველი შეცვლა.
- ჰო, თორთლაძე გამოიყვანა აბრამიძის ნაცვლად.
- 17 ქულით ვაგებთ. ახლა ორი თამაში ბათუმშია, ხო?
- უკვე მომავალ თამაშებზე ფიქრობ?
- აბა, დღეს არ ვართ მომგები.
- რა ყურები ჩამოყარე, კაცო, 17 ქულამ შეგაშინა?
- არა, თამაშმა და მსაჯმა.
- რას გადაეკიდე ამ მსაჯს, მშვენივრად მსაჯობს.
- არ ითვლი, ვის სასარგებლოდ რამდენჯერ უსტვენს?
- რამდენჯერაც არის საჭირო, იმდენჯერ უსტვენს. მაგას რა დამათვლევინებს.
- მე მგონი, ათამაშდა ცინცაძე.
- მაგან თუ დაიწყო... სასწრაფოდ უნდა დაკეტონ, თორემ დაღუპულია "დინამო".
- ხუთ წუთში 12 ქულა გააკეთა.
- დაკეტეს, როგორც იქნა. ეს მეოთხედი ერთი ქულით წავაგეთ. არა უშავს, მაინც სოლიდურად ვიგებთ.
- არა, არა, ბათუმში ორივე უნდა მოვიგოთ.
- მაგაზე მერე ვილაპარაკოთ. ჯერ ეს მორჩეს.
- მორჩა და ეგაა. თამაშს ხომ ეტყობა, ვინ რისი მაქნისია. დღეს ვერც დაცვაში ვითამაშეთ კარგად და ვერც შეტევაში.
- ბრაიკოვიჩი შენ სულელი ხომ არ გეგონა, გუშინდელი თამაშიდან დასკვნები ვერ გამოეტანა.
- არა, რა თქმა უნდა, მაგრამ, ალოგიკურია, ერთ თამაშს 20 ქულით იგებდე, მეორეს კი იგივე სხვაობით აგებდე.
- ჰო, ალბათ.
- დამთავრდეს რა, დროზე, ტყუილად დადიან მოედანზე. როდისაა ბათუმში თამაშები?
- აჰა, მორჩა – 107:87. კარგი ანგარიშია. წავედი, ტომარაძე უნდა ვნახო.
- მოიცა, არ გაინტერესებს, კანდელაკი რას იტყვის?
- წამო, ეგეც ვნახოთ. აგერაა, ვკითხოთ, სანამ წასულა.
- რა გითხრათ, უმთავრესად ჩვენი ბრალია, რომ დავმარცხდით. მეტოქე მაქსიმალურად კონცენტრირებული იყო, ჩვენ კი ამის გაკეთება ვერ შევძელით.
- საინტერესოა, ტომარაძე რას იტყვის...
- გუშინდელი მატჩისგან განსხვავებით, დღეს გუნდმა აჩვენა თავისი შესაძლებლობები. გუშინ ბიჭები ზედმეტად დაძაბულები იყვნენ და ამიტომაც დაუშვეს ბევრი შეცდომა. ამის შესახებ ღამე ბევრი ვისაუბრეთ, გავარჩიეთ როგორც ჩვენი, ისე მეტოქის თამაში და რაღაც დასკვნები გამოვიტანეთ. როგორც გამოჩნდა, სწორი დასკვნები. დღევანდელმა მოგებამ ბიჭებს რწმენა შემატა და, ვიმედოვნებ, დარჩენილ მატჩებშიც გამოიჩენენ თავს.
- რას ამბობდი, ბათუმში თამაშები როდის არისო?
- ორშაბათს და სამშაბათს.
- ესე იგი, სამშაბათს საღამოს "ბასკო" ჩემპიონი იქნება.
- არა მგონია, ყველაფერი ეგრე იოლად დამთავრდეს.
- რაღა დარჩა სამშაბათამდე...

### დინამო 107:87 ბასკო

**დინამო:** *აბრამიძე (12), ხოშტარია (18), ბეჟანიშვილი (22), თორთლაძე (9), მარკოიშვილი (2), ვენსკუნასი (15), ჩუბინიძე (10), ჩხეიძე (9), ოგანესიანი (10)*
**ბასკო:** *ბაბიაშვილი (20), წოწელია (3), ნიკოლაძე (13), ცინცაძე (17), კეშელავა (2), ქარაბაკი (10), კეიდია (17), როდუმტა (2), შენგელია (3)*

Giro d'Italia

# ლებლანის კოშმარული ღამეები

ირაკლი ბერიაშვილი

კიდევ ერთი მეტოქე ოთხმოცდაათგრადუსიანი მოსახვევის სახით ზედ ფინიშთან ელოდებოდა მარიო ჩიპოლინის. ვიღაცას თუ რაღაცას ძალიან უნდოდა და ყველაფერი ისე დაამთხვია ერთმანეთს, რომ მესამე ეტაპის მოგება შეუძლებელი გახდა. მაინცდამაინც მაშინ წამოვიდა წვიმა, მაინცდამაინც ჩიპოლინის გვერდით აღმოჩნდა ის მწვანემაისურიანი კაცი, როცა "ჩიპო" მოსახვევიდან გადიოდა და საფინიშო სპურტი უნდა დაეწყო. "მწვანე კაცმა" ველოსიპედი ვერ დაიმორჩილა, მოსრიალდა და სპრინტის მეფეც თან გაიყოლა.

ამ შემთხვევამ ქვეყანაზე ორად ორი კაცი გააბედნიერა. ერთი ეტაპის გამარჯვებული, ავსტრალიელი მაკივენი იყო, მეორე – ტურ დე ფრანსის საორგანიზაციო კომიტეტის დირექტორი ჟან მარი ლებლანი.

ჟან მარის კიდევ დავუბრუნდებით. ჯერჯერობით კი ჯიროს წარსულში სამოგზაუროდ გეპატიჟებით.




რობი მაკივენმა პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი

### ნინო პრიმა

1926 წლიდან მოყოლებული, ოთხი წლის განმავლობაში, ჯიროს ერთი და იგივე კაცი იგებდა. ალფრედო ბინდამ 1926-1929 წლებში "პოკერი" შეასრულა და არნახული სახელი დაიგდო.

1930 წელსაც ფავორიტად, რაღა თქმა უნდა, ბინდა ითვლებოდა და ჯიროს ორგანიზატორებსაც, ცოტა არ იყოს, უცნაური იდეა მოუვიდათ. მათ მიიჩნიეს, რომ ბინდას იოლი გამარჯვებები ჯიროს ხიბლს უკარგავდა, რომ რბოლები ძველებურად საინტერესო აღარ იყო. სწორედ ამიტომ ტურნირის ხელმძღვანელობამ ბინდას შინ დატოვება განიზრახა. სპორტსმენს 22500 ლირა მისცეს მხოლოდ იმისთვის, რომ შინ დარჩენილიყო და სხვა მონაწილეებისთვის ხელი არ შეეშალა. ბინდას უარი არ უთქვამს. რა ენაღვლებოდა – 22500 ლირით ხომ ტურნირის გამარჯვებულს აჯილდოებდნენ.

იმ წელიწადს ჯირო მოიგო ახალგაზრდა ლუიჯი მარკიზიომ, რომელმაც ცხვირწინ ააცალა გამარჯვება ბინდას არყოფნაში ფავორიტად მიჩნეულ ფრანგ მარშალს.

1931 წელს ჯიროს ლიდერმა პირველად ჩაიცვა დღეისთვის ასე სახელგანთქმული ვარდისფერი მაისურა. ვარდისფერი იმიტომ, რომ ჯიროს დამაარსებელი "გაძეტა დელო სპორტი" სწორედ ვარდისფერ ქაღალდზე იბეჭდებოდა. პირველი სპორტსმენი, ვინც ეს მაისურა ჩაიცვა, ლეაკრო გუერა იყო. 1933 წელს ტურნირის ორგანიზატორებმა ალფრედო ბინდას ხელი აღარ შეუშალეს და მანაც მეხუთედ მოიგო ჯირო.

### ირაკლი

როგორც ჩანს, არც თავიანთი რევოლუციური წარსულითა და არც ამ ბოლო ხანებში საკუთარი პარტნიორების ღალატით შელახული რეპუტაცია ფრანცუზიკებს სულაც არ ანაღვლებთ. არც ის არის გასაკვირი, რომ ლებლანი ახლა სპორტში ამკვიდრებს რაღაც მსგავს ტენდენციებს.

კარგა ხანია, ღია ჩემპიონატები საერთაშორისო ტურნირებად იქცა. ამ შეჯიბრებებს სახელიღა შერჩა ძველი, თორემ არც უიმბლდონს, არც აშშ-ს ღია პირველობას, არც ავსტრალიისას არავინ არ აღიქვამს იმ ქვეყნების ჩემპიონატებად. ყველა ამ ტურნირზე მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენებს იწვევენ და სწორადაც იქცევიან. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ უიმბლდონზე ან აშშ-ს პირველობაზე არ დაუშვან ჰიუიტი, აგასი ან რომელიც გნებავთ ოთხი დიდი ტურნირის თუნდაც ერთხელ მომგები...

ტურ დე ფრანსში, ისევე როგორც ჯიროსა და ვუელტაში, გუნდურ შედეგებსაც ითვლიან, მაგრამ ამ ასპარეზობების მთავარი ჯილდო ინდივიდუალურ შეჯიბრებაში გამარჯვებაა. მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრეს თუ ახსოვს, რომელ გუნდში გამოდიოდა მერქსი, ინო, ანკეტილი ანდა ინდურაინი...

ახლა ისევ ლებლანს მივუბრუნდეთ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო თორმეტი წლის განმავლობაში არც ერთ ფრანგს არ მოუგია არც ჯირო და არც ტური, ეს კაცი გამწარებული ზრდის ფრანგული გუნდების რაოდენობას. მიუხედავად იმისა, რომ მარკო პანტანის ერთ სეზონზე აქვს მოგებული ჯიროცა და ტურიც, რაც ველოსპორტის მთელი ისტორიის მანძილზე მხოლოდ ოთხმა კაცმა შეძლო, მესამე წელიწადია, ლებლანი პრინციპულად არ იწვევს პანტანის გუნდს შეჯიბრებაზე; მიუხედავად კარიერის მანძილზე მოგებული სამოცდათორმეტი ეტაპისა (ამათგან თხუთმეტი ტურზე მოდის), მიუხედავად ტურზე ზედიზედ მოგებული ოთხი ეტაპისა (ესეც რეკორდია), მიუხედავად არნახული პოპულარობისა, ტურის ეს მართლა პირწავარდნილი დიქტატორი შეჯიბრებაზე არ იწვევს საყოველთაოდ აღიარებულ სპრინტის მეფეს მარიო ჩიპოლინის. რატომ? კაცმა არ იცის. ალბათ, ფრანგული პასპორტი რომ არა აქვს, იმიტომ.

საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ სიარული მაინცდამაინც სასიამოვნო არ არის და ლებლანიც ჯიროში "ჩიპოს" მიერ შესანიშნავად მოგებული ორი ეტაპის მერე, ალბათ, გულმხურვალედ ევედრებოდა თავის ღმერთებს, რამე მოეხერხებინათ ამ კაცისთვის.

ამჯერად გაჭრა, მაგრამ ჯიროს ბოლომდე ხუთი თუ ექვსი ვაკე-ეტაპი კიდევ არის. ასე რომ, გადიქტატორებულ დირექტორს კოშმარული ღამეები გარანტირებული აქვს.

**P.S.** ჩიპოლინის ტრავმა იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ სპორტსმენი იძულებული გახდა, მიეტოვებინა ჯირო. ტურ დე ფრანსის საორგანიზაციო კომიტეტის მამაძაღლ დირექტორს ახლა შეუძლია, მშვიდად იძინოს.

### ტექნიკური შედეგები

**XI ეტაპი. ფაენცა სან დონა. 222 კმ.**

| | |
|---|---|
| 1. რობი მაკივენი ("ლოტო", ავსტრალია) | 5 სთ. 44 წთ. 13 წმ. |
| 2. ალესანდრო პეტაკი ("ფასა ბარტოლო", იტალია) | იგივე დრო. |
| 3. კრეშენცო დ`ამორე ("ტენაკსი", იტალია) | იგივე დრო. |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. ჯილბერტო სიმონი ("საეკო", იტალია) | 52 სთ. 10 წთ. 08 წმ. |
| 2. სტეფანო გარძელი ("ვინი კალდიროლა", იტალია) | +2 წმ. |
| 3. ანდრეა ნოე ("ალესიო", იტალია) | +56 წმ. |
| 4. ფრანკო პელიცოტი ("ალესიო", იტალია) | +1 წთ. 38 წმ. |
| 5. პაველ ტონკოვი ("CCC პოლსეტი", რუსეთი) | 1 წთ. 52 წმ. |
| 6. იაროსლავ პოპოვიჩი ("კოლნაგო", უკრაინა) | +1 წთ. 58 წმ. |

ფელიეტონი

ბიბა ბურასაშვილი

## ევერესტიდან ევერესტამდე

მტვერწაყრილ და გაყვითლებულ ფურცლებში ქექვა არ არის საჭირო იმისთვის, რომ ევერესტის ისტორია გადაიწეროს. ამ შემთხვევაში თოვლისა თუ ყინულის საფარქვეშ მოქცეული "კოდაკის" აპარატის მოძებნაც საკმარისია.

ზოგადად, დედამიწის უმაღლესი წერტილის დაპყრობისა თუ დალაშქვრის მცდელობათა ისტორიაში არაერთი მნიშვნელოვანი თარიღია, მაგრამ მათ შორის სამი გამოირჩევა. ამათგან ჯერ 1922 წელი იყო, როცა ბრიტანელთა მეორე ექსპედიციის წევრებმა ჯორჯ მელორიმ, ედვარდ ნორტონმა, ჰოვარდ სომერველმა და ჰენრი მორშიდმა პირველებმა შეძლეს 8 000-მეტრიანი ზღვარისთვის გადაებიჯებინათ. მეორე ის, რომ... მესამე - 1953 წლის 29 მაისს, 11 საათსა და 30 წუთზე, ევერესტზე ადამიანმა პირველად შედგა ფეხი. მაგრამ იქნებ თენზინგ ნორგეისა და ედმუნდ ჰილარის საარაკო ასვლამდეც ყოფილა ვინმე უმაღლეს მწვერვალზე?! სწორედ ამასთანაა დაკავშირებული მეორე მნიშვნელოვანი, ამასთან, საიდუმლოებით და, შესაძლოა, მისტიკურობით მოცული ტრაგედია, რომელიც 1924 წელს დატრიალდა.

ევერესტის ციცაბოებზე ბევრ მთამსვლელს უპოვია სამუდამო განსასვენებელი, მაგრამ ვერტიკალური სამყაროს ყველაზე იდუმალებით მოცული და გახმაურებული ტრაგედია, ალბათ, მაინც ბრიტანელთა მესამე ექსპედიციას დაატყდა. მსხვერპლი იმდენად დიდი არ ყოფილა, რამდენადაც ეჭვი, რომელიც აგერ უკვე 79 წლის განმავლობაში ღვივის და არაერთ კითხვას ბადებს. ევერესტს გაცილებით მასშტაბური ტრაგედიებიც ახსოვს, მაგრამ 1924 წლის ექსპედიცია იმითაა მნიშვნელოვანი, რომ, შესაძლოა, ევერესტზე პირველამსვლელთა სახელების გასწვრივ სხვათა გვარები ამოიტვიფროს.

1924 წლის ექსპედიცია თავიდანვე სავალალოდ დაიწყო. ჯერ იყო და, შერპებს ხელ-ფეხი მოეყინათ, ზოგმა ნეკნი და თავი გაიტეხა, ზოგსაც ფილტვების ანთება დაემართა. მერე ორი მებარგული დაეღუპათ, მაგრამ უკან დახევა აზრად არ მოსვლიათ. ერთ თოკში ჩაბმული ჯორჯ მელორი და ენდრიუ ირვინი 8 ივნისს მწვერვალისკენ გაემართნენ. კარგადაც მიდიოდნენ, მაგრამ... მელორს ექსპედიციაში წასვლამდე ცოლისთვის მიუწერია: "ეს უფრო ომს დაემსგავსება, ვიდრე ასვლას. იმედი არ მაქვს, რომ დავბრუნდები".

მელორის წინათგრძნობა გამართლდა. ბოლოს მათ მეორე საფეხურის, მწვერვალამდე ბოლო მთავარი ბარიერის სიახლოვეს მოჰკრეს თვალი. ამის შემდეგ ისინი აღარავის უნახავს.

გაჩნდა ეჭვი, რომ ერთმაც და მეორემაც მიაღწიეს მწვერვალს, ან იქნებ არც მიუღწევიათ, მაგრამ ორივე შემთხვევაში საჭირო იყო ამის დამადასტურებელი საბუთი. ექსპედიციას უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა. საიდუმლოს ამოსახსნელად 1999 წელს მელორისა და ირვინის ნაკვალევს გაუყვა ექსპედიცია ერიკ სიმონსონის ხელმძღვანელობით. გარდა იმისა, რომ მოსაძებნი იყო მელორისა და ირვინის გვამები, აუცილებელი იყო, მიეკვლიათ "კოდაკის" ფოტოაპარატისთვისაც, რომელსაც, შესაძლოა, ათეული წლების განმავლობაში დაგროვილ კითხვებზე გაეცა პასუხი. როგორც მათ იცოდნენ, "კოდაკის" კამერა მელორის ზურგჩანთაში უნდა ყოფილიყო. როდესაც აღმა-დაღმა მოხეტიალეებს ყველანაირი იმედი გადაეწურათ, ჩრდილო უნაგირზე, 8 150 მეტრზე, ქარისგან გადაწმენდილ შვერილზე რაღაც შენიშნეს. მიუახლოვდნენ და პირქვედამხობილი, კლდეზე ხელებით ჩაბღაუჭებული თეთრი, გაყინული, მუმიფიცირებული გვამი იხილეს. უცნობის ცხედარს ცალი ფეხი ორად ჰქონდა გადატეხილი, მეორეს კი ბათინკი იცავდა.

ექსპედიციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი დეივ ჰანი მოგვიანებით "მელორისა და ირვინის მკვლევართა ექსპედიციას" საბაზო ბანაკში ექვსი სიტყვისგან შემდგარ რადიოგრამას უგზავნის: "ვეშვებით, რათა სნიკერსი და ჩაი მივირთვათ". საბაზოში მყოფნი ყურებს არ უჯერებდნენ. ანუ, ჯადოსნური ექვსი სიტყვა ნიშნავდა: "ჩვენ ჯორჯ მელორის გვამს მივაგენით".

და მაინც, როგორ და რანაირად მიაკვლიეს მელორის გვამს. როგორც ჰანი აღნიშნავდა, ექსპედიცია ჩინელი მთამსვლელის ვანგ ჰონგ ბაოს, ასე ვთქვათ, ჩვენებას დაეყრდნო. ირკვევა, რომ 1975 წელს ჩინელი მთამსვლელი შემთხვევით მელორის გვამს გადაეყარა, მაგრამ ის კი არ იცოდა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო. ერთი კი დაასკვნა: "ძველი ინგლისელი მკვდარიაო". მაშინ მოწინავე მკვლევარებს მიაჩნდათ, რომ იგი ირვინს გულისხმობდა.

მას შემდეგ, რაც ჰონგ ბაომ ნანახის შესახებ სხვებსაც უამბო, ორ დღეში, ევერესტის ჩრდილოეთ მარშრუტზე გასულს, უცაბედად მოწყვეტილი ზვავი დაატყდა თავს და იმსხვერპლა.



ჯორჯ მელორი 1999 წელს ასეთ მდგომარეობაში აღმოაჩინეს

ჩინელის მონათხრობმა ექსპედიციას, მართლაც, კარგი სამსახური გაუწია.

უცნობის გვამი სწორედ იმ მიდამოებში აღმოაჩინეს, მაგრამ, იმავე ჰანის თქმით, მას და ექსპედიციის დანარჩენ წევრებსაც ეგონათ, რომ სწორედ ირვინის ცხედარს დაჰყურებდნენ. გვამის თვალიერებისას ფრთხილად შედგნენ. მოკრძალებით შეათვალიერეს ევერესტის ქარიშხლისგან ნაფლეთებად ქცეული, დღევანდელობისთვის პრიმიტიული შალის ტანისამოსი და მოულოდნელად პასუხსაც მიაგნეს: "ჯ. მელორი". სახელი, რომელიც პერანგზე იყო ამოლამბული.

"შევჩერდით და გაკვირვებულებმა ერთმანეთს გადავხედეთ. კი მაგრამ, რატომ უნდა ჩაეცვა ენდრიუ ირვინს ჯორჯ მელორის პერანგი?

ეჭვი არ შეგვპარვია, რომ 75 წლის განმავლობაში ევერესტს ჩაბღაუჭებულ ადამიანს დავყურებდით.

ტანსაცმლის მეტი ნაწილი დაფლეთილი იყო. შიშველი სხეული თეთრად ელავდა. ისეთი გრძნობა დამეუფლა, მეგონა, ბერძნულ ან რომაულ მარმარილოს ქანდაკებას დავყურებდი...

სხეულისთვის ხელი არ გვიხლია. თავში კი მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილ კითხვათა პასუხები გვიტრიალებდა".

ექსპედიციის წევრთა ვარაუდით, მელორი კლდიდან უნდა გადავარდნილიყო. ფეხმოტეხილმა კი გარკვეულ მანძილზე ისრიალა. მერე, თითქმის უგონო მდგომარეობაში, ხოხვით ცდილობდა ციცაბო ფერდობზე გადასვლას, მაგრამ მოტეხილი ფეხით ბევრი ვერ შეძლო. რაკი მიხვდა, რომ სიკვდილი გარდაუვალი იყო, ფეხები გადააჯვარედინა, რათა სიკვდილამდე ცოტაოდენი შვება მაინც ეგრძნო. აშკარა იყო, ამის მერე აღსასრულიც მალე ეწვია.

რამდენიმეწუთიანი დუმილის შემდეგ ექსპედიციის წევრები მელორის ძველი "კოდაკის" აპარატისა და ფირის ძებნას შეუდგნენ. მაგრამ...

